N 5 2025

მასწავლებელი

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„რემედიაციის გაკვეთილები“

№5(108), 2025
მასწავლებელი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ეკატერინე ხუციშვილი,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
**მანანა ბოჭორიშვილი,
თამთა დოლიძე, თამთა კობახიძე,
ლელა კოტორაშვილი,
თემურ სუყაშვილი,
მაია ფირჩხაძე, ნინო ლაბარტყავა,
თინათინ ზარდიაშვილი,
ქეთევან ოსიაშვილი,
ნინო ლომიძე, მაია მენაბდე,
ნათია ნაფეტვარიძე,
ლევან ალფაიძე, მარიამ გოდუაძე,
ნათია ფურცელაძე,
ირმა ტაველიძე, დიანა ანფიმიადი,
შორენა ტყეშელაშვილი,
ნასტასია არაბული**

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი:
FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.
ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალ „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.
ISSN 1987-6149 UDC 371.1 / 3-374

www.tpdc.ge

რედაქტორისგან

ნატო ინგოროყვა

სტენფორდის უნივერსიტეტის „ცხოვრების მოწყობის“ ლაბორატორიაში გამოკრულია პოსტერი, რომელზეც წერია: „თქვენ აქ ხართ“.

სტუდენტებმა უნდა მიმოიხედონ გარშემო, დააკვირდნენ საკუთარ თავს და გარემოს, მერე კი სიტყვებით გამოხატონ, „აქ ყოფნა“ რას ნიშნავს მათთვის. სამი მნიშვნელოვანი კითხვის დასმაც „სავალდებულოა“ . მათი კითხვები კი ასე გამოიყურება:

საით მივდივარ?

როგორ მივაღწევ იქამდე?

შემდეგ სად წავალ?

მასწავლებელი ამ კითხვებზე პასუხის პოვნაში მოსწავლეს უნდა ეხმარებოდეს. მოსწავლე მასწავლებელს უნდა ენდობოდეს!

ციფრული წიგნიერება

მანანა ბოჭორიშვილი

4 | მოსწავლის როლი ტრადიციულ, ინტერაქტიურ და ციფრულ გარემოში

ციფრული გარემო ქმნის ისეთ პირობებს, როდესაც მოსწავლე თავად ხდება საკუთარი სწავლების ავტორი – ახდენს მონაცემთა შეგროვებას, მათ ანალიზს და ცოდნის პრაქტიკულ ტრანსფორმაციას. სწორედ ამაში მდგომარეობს თანამედროვე განათლების არსი – ცოდნის შექმნა აქტიური ქმედებით.

ლევან ალფაიძე

47 | ახალი გამოღვიძება. ციფრული სამყარო და ჩვენ

ცხოვრების სულ უფრო მეტი ასპექტის ონლაინ რეჟიმში გადასვლამ (განსაკუთრებით – ნოუთბუქების კლასისათვის) გამოიწვია ის, რომ ადამიანებმა თვალნათლივ დაინახეს ის პირქუში აბსურდულობა, რომელიც თან ახლავს ამდენი დროის გატარებას უსახო, კონტექსტიდან ამოვარდნილ ციფრულ რეალობაში.

დაწყებითი განათლება

ნინო ლაბარტყავა

22 | პირველი ნაბიჯები სკოლაში: ტრანზიცია და პაწია ჭიანჭველას ამბავი

სკოლის წარმატებულად დაწყება ბავშვებისთვის საკმაოდ გრძელვადიან პოზიტიურ შედეგებს უკავშირდება. განვითარებული ქვეყნების თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში უკვე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვების უმტკივნეულო გადასვლას (ტრანზიციას) ერთი სისტემიდან მეორეში.

საგანმანათლებლო რესურსი

თემურ სუყაშვილი

17 | იუთუბერები და მათი ვიდეოები, როგორც სასწავლო რესურსი

თანამედროვე სამყაროში ციფრული პროდუქტი განათლების განუყოფელი ნაწილი გახდა. ახალგაზრდების ინტერესები იუთუბერების მიმართ იზრდება. ისინი უნიკალურ და საინტერესო ვიდეოებს ქმნიან.

მაია ფირჩხაძე

19 | „სასწავლო დუელის“, რეპროდუქციისა და ცოდნის ტრანსფერის ურთიერთმიმართება

თამაშის ტექნოლოგია, რეპროდუქცია და ცოდნის ტრანსფერი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებები და ერთი მთლიანი სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილებია. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ამ პროცესში თამაში და რეპროდუქტირება ცოდნის ტრანსფერის აუცილებელი წინაპირობაა.

თინათინ ზარდიაშვილი

26 | განვითარებიდან დაავადებამდე – სინციტინი-1-ის გენის დუალისტური ისტორია ადამიანის გენომში

ჩვენი გენომი, ერთი შეხედვით, უნიკალური და მხოლოდ ჩვენთვის დამახასიათებელი ინფორმაციის კრებულია, თუმცა მისი განხილვისას აღმოჩნდება, რომ უამრავ „უცხო“ ელემენტს შეიცავს. ისინი მილიონობით წლის წინ ჩვენ გენომში ვირუსების მიერ დატოვებული კვალია.

ნინო ლომიძე

37 | ტექსტი, როგორც თვითმიზანი

სკოლაში მხატვრული ლიტერატურის შესწავლასა და დამუშავებას დიდი დრო ეთმობა; კითხვასა და წიგნიერების ხელშეწყობას – ნაკლები. რა არსებითი განსხვავებაა შესწავლა-დამუშავებასა და წიგნიერების ხელშეწყობას შორის?

მაია მენაბდე

40 | „ნუცას სკოლა“ სკოლაში

გარდა სოციალური დატვირთვისა, სპექტაკლს საგანმანათლებლო დანიშნულებაც აქვს: უამრავ საჭირო უნარს ავითარებს. ისიც ფაქტია, რომ ხელოვნება, შემოქმედებითობა, ინტერესების სფეროს უფართოებს ადამიანს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს პიროვნების ჩამოყალიბებაში.

მოსაზრება

ნათია ფურცელაძე

55 | არა უშავს

გაინტერესებთ, რას წერენ ხშირად? რისი მოსმენა ამშვიდებთ ბავშვებს? დიახ, სწორად მიხვდით და უკვე ამოიკითხეთ კიდეც, როცა სათაურს დახედეთ: ეს არის „არა უშავს“.



სარჩევი

შეფასება

თამთა კობახიძე

11 | **განმსაზღვრელი შეფასებით გამოწვეული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები დაწყებით საფეხურზე**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულმა ცვლილებებმა, განმსაზღვრელ შეფასებასთან მიმართებით, საბოლოო შეფასებაში შემაჯამებელი დავალების წილის გაზრდის შესაძლებლობამ ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა სკოლები, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე.

27 ირმა ტაველიძე
საბედისწერო უფსკრულებთან:
გერონტი ქიქოძის ჩანაწერები

28 დიანა ანფიმიადი
დამოუკიდებელი მეცადინეობა მოზარდებში:
პასუხისმგებლობა და რუტინა

29 შორენა ტყეშელაშვილი
როგორ ყალიბდება მკითხველი

30 ნასტასია არაბული
როგორ შეცვლიან სწავლის მოდელს ხელოვნური ინტელექტით შეიარაღებული ბავშვები?

ენის სწავლება

მარიამ გოდუაძე

52 | **ენისა და მეტყველების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობანი**

ენა არის შეთანხმებული სიმბოლოების სისტემა, რომელიც კომუნიკაციისა და აზრის გადმოსაცემად გამოიყენება. სანამ ბავშვი სიტყვების, სიტყვათშეთანხმებისა და წინადადებების ფუნქციურად გამოყენებას შეძლებს, მანამდე ენისა და მეტყველების თერაპევტმა, ასევე მშობლებმა და ოჯახის წევრებმა, ბავშვს ბუნებრივ სიტუაციაში უნდა ასწავლონ მათი მნიშვნელობები.

გამოცდილება

თამთა დოლიძე

8 | **რას ვაკეთებთ, როცა არაფერს არ ვაკეთებთ**

შეიძლება თუ არა, არაფრის კეთება სასარგებლო საქმიანობად იქცეს?! ფოკუსირებული სუნთქვაც კი საკმარისია იმის მაგალითად, რომ ამ შეკითხვას დადებითი პასუხი გაეცეს. ამას გარდა, არსებობს არაერთი საინტერესო სავარჯიშო, რომელიც რუტინით დაღლილი მოსწავლეების თუ საკუთარი თავის „გადასატვირთად“ გამოგადგებათ.

ლელა კოტორაშვილი

13 | **მოსწავლეთა ინტერესების კვალდაკვალ**

წიგნები, წერა, ლექსები, ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიული დეტალები, სახალისო ვიქტორინები, საინტერესო ინსტრუქციები, რჩევები, ფიქრი და მსჯელობა, აზრის ჩამოყალიბება, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ბუნებასთან ურთიერთობა, ციტატები – ასე გამოიყურება ჩემი მოსწავლეებისთვის შექმნილი ვირტუალური სივრცე ინსტაგრამში.



განათლების ფსიქოლოგია

ქეთევან ოსიაშვილი

33 | **როგორ ამოვიცნოთ დისლექსია ბავშვებში**

დისლექსია განაჩენი ნამდვილად არ არის. სწორი დამოკიდებულების შემთხვევაში შეიძლება მისი დაძლევა. თუ დროულად გავაცნობიერებთ, რომ დისლექსიასთან გვაქვს საქმე და შევიმუშავებთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ბავშვს ექნება შანსი დაეუფლოს წერასა და კითხვას, გახდეს განათლებული ადამიანი და შეძლოს საკუთარი თავის რეალიზება.

ნათია ნაფეტვარიძე

44 | **ახალი მოსწავლე მერხთან**

გარდატეხის ასაკში მოსწავლეები არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ ემოციურადაც განიცდიან ძალიან მნიშვნელოვან ცვლილებებს. ეს პერიოდი ხშირად ეხმიანება თვითშეფასებისა და სოციალური თვითგაგების ახლებურ გააზრებას, რაც ბევრ დაბრკოლებას უკავშირდება.

მანანა ბოჭორიშვილი

მოსწავლის როლის ტრანსფორმაცია ტრადიციულ, ინტერაქტიურ და ციფრულ გარემოში

ციფრული გარემო ქმნის ისეთ პირობებს, როდესაც მოსწავლე თავად ხდება საკუთარი სწავლების ავტორი – ახდენს მონაცემთა შეგროვებას, მათ ანალიზს და ცოდნის პრაქტიკულ ტრანსფორმაციას. სწორედ ამაში მდგომარეობს თანამედროვე განათლების არსი – ცოდნის შექმნა აქტიური ქმედებით.

თანამედროვე განათლების სისტემა მუდმივი ტრანსფორმაციის პროცესშია. ტრადიციულად მოსწავლე აღიქმებოდა, როგორც ინფორმაციის პასიური მიმღები, რომლის მთავარი ამოცანა იყო მასწავლებლის მიერ გადმოცემული ცოდნის დამახსოვრება და გამეორება. თუმცა, ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში ეს მოდელი აღარ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. დღეს მოსწავლე არის აქტიური შემოქმედი, კვლევის მონაწილე.

სწავლის ახალი მოდელები ეფუძნება: 1. **კონსტ-რუქტივისტურ თეორიას** (Piaget, 1972; Vygotsky, 1978), რომლის თანახმად ცოდნა იქმნება ურთიერთქმედებისა და გამოცდილების გზით. ინტერაქტიური და ციფრული გარემო მოსწავ-ლეს აძლევს შესაძლებლობას, დამოუკიდებლად იფიქროს, შეისწავლოს და შექმნას. ამ პროცესში მასწავლებელი აღარ არის მხოლოდ ცოდნის გადამცემი, – ის ხდება მენტორი, დამკვირვებელი და პროცესის ხელშემწყობი. 2.**კონექტივიზმს** (Connectivism), რომელიც წარმოადგენს სწავ-ლების თანამედროვე თეორიას, რომელიც ხაზს უსვამს ცოდნის ქსელურ ბუნებასა და ურთიერთ-დამოკიდებულებას ადამიანებსა და ტექნოლო-გიურ სისტემებს შორის. ამ მიდგომის მიხედვით, სწავლა აღარ შემოიფარგლება ინდივიდის გონებ-რივი პროცესებით; იგი გარდაიქმნება **კავშირების ქსელად**, სადაც მოსწავლე აქტიურად ქმნის და აზიარებს ცოდნას ციფრულ გარემოში (Siemens, 2005; Anderson & Dron, 2011). კონექტივისტურ გარემოში მოსწავლე აღიქმება როგორც **ცოდნის თანაავტორი**, რომელიც სწავლობს არა მხო-ლოდ ინფორმაციის მიღებით, არამედ ციფრულ პლატფორმებზე ნავიგაციით, კოლაბორაციით და გლობალურ ქსელებში ჩართულობით.

როგორ მოხდა მოსწავლის როლის ტრანსფორ-მაცია ტრადიციულ, ინტერაქტიურ და ციფრულ გარემოში? განვიხილოთ რამდენიმე ქეისი.

მაგალითი 1: ტრადიციული საკლასო ოთახი – ცოდნის მიღება და გამეორება

ტრადიციულ კლასში მასწავლებელი თემას იწყებს ახსნით. ის ხსნის ტერმინებს – „კლიმატის ცვლილება“, „გლობალური დათბობა“, „კარბონის ემისიები“. მოსწავლეები წერენ ჩანაწერებს და პასუხობენ წიგნში მოცემულ კითხვებს. მასწავლებელი აძლევს დავალებას: დაწერონ ნაშრომი თემაზე – *„რატომ არის მნიშვნელოვანი გარემოს დაცვა?“* მოსწავლეები ინფორმაციის მოძიების ნაცვლად იმეორებენ უკვე მოსმენილს.

მოსწავლის როლი: ცოდნის პასიური მიმღები
სწავლების შედეგი: ცოდნის მიღება და ფაქტების დამახსოვრება.
ინტერაქცია: ერთმხრივი (მასწავლებელი → მოსწავლე).
შეფასება: წერილობითი ტესტი ან კითხვა-პასუხი.

მაგალითი 2: ინტერაქტიური კლასი – თანამშრომლობა და ანალიზი

ინტერაქტიურ გარემოში მასწავლებელი იყენებს თამაშებს, ჯგუფურ მუშაობას და კვლევით

მიდგომებს. მოსწავლეები იყოფიან გუნდებად და იღებენ დავალებას:
„დაგეგმეთ კამპანია თქვენი სკოლის ეზოს ეკოლოგიური გაუმჯობესებისთვის.“

თითოეული ჯგუფი იკვლევს საკუთარ თემას – ენერგიის დაზოგვა, ნარჩენების გადამუშავება, მცენარეების დარგვა. მოსწავლეები ქმნიან პლაკატებს, პრეზენტაციებს და თავიანთ ხედვას უზიარებენ სხვებს. აქ ცოდნა აღარ არის მხოლოდ ფაქტების დამახსოვრება – ის გარდაიქმნება მოქმედებად.

მოსწავლის როლი: აქტიური მონაწილე და თანამშრომელი.
სწავლების შედეგი: კრიტიკული აზროვნება, პასუხისმგებლობა, გუნდური მუშაობა.
ინტერაქცია: ორმხრივი (მასწავლებელი ↔ მოსწავლე; მოსწავლე ↔ მოსწავლე).
შეფასება: პრეზენტაცია, ერთობლივი შეფასება.

მაგალითი 3: ციფრული გარემო – კვლევა, ანალიზი და ინოვაცია

ციფრულ გარემოში მოსწავლე აღარ არის მხოლოდ მომხმარებელი, ის აქტიური შემოქმედია. მასწავლებელი სთავაზობს დავალებას:

„შეისწავლეთ თქვენი ქალაქის კლიმატის ცვლილების ტენდენციები და შექმენით ციფრული რუკა ან ვიდეოპრეზენტაცია.“

მოსწავლეები იყენებენ ონლაინ რესურსებს (NASA Climate Data, Google Earth), აგროვებენ მონაცემებს ტემპერატურის ცვლილებაზე, აანალიზებენ შედეგებს და ქმნიან ციფრულ პროდუქტს – ვიდეოს ან ინტერაქტიურ ინფოგრაფიკას.

მოსწავლის როლი: მკვლევარი, შემოქმედი და ინფორმაციის კრიტიკული დეკოდირება.
სწავლების შედეგი: ციფრული წიგნიერება, კვლევითი უნარები, პრობლემის გადაჭრა.
ინტერაქცია: მრავალმხრივი (მასწავლებელი ↔ მოსწავლე ↔ გლობალური ციფრული ქსელი).
შეფასება: პროექტზე დაფუძნებული შეფასება, ონლაინ პრეზენტაცია.

მოსწავლის როლის შედარება სხვადასხვა გარემოში

ასპექტი	ტრადიციული კლასი	ინტერაქტიური კლასი	ციფრული გარემო
როლი	ინფორმაციის მიმღები	თანამშრომელი და მსჯელობის მონაწილე	კვლევითი, შემოქმედებითი
სწავლების ფორმა	მოსმენა და გამეორება	ჯგუფური მუშაობა, დისკუსია	კვლევა, ციფრული პროექტი
ინტერაქცია	ერთმხრივი	ორმხრივი	მრავალმხრივი
შეფასება	ტესტი, კითხვა-პასუხი	პრეზენტაცია, თანატოლთა შეფასება	ციფრული პროდუქტი, ონლაინ პრეზენტაცია, და ა.შ.
მოსწავლის ჩართულობა	დაბალი	საშუალო	მაღალი
უნარები	მეხსიერება, ყურადღება	კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია	ციფრული წიგნიერება, ინოვაცია
მოტივაცია	გარეგანი (ქულა, შეფასება)	შინაგანი (ინტერესით მოქმედება)	შინაგანი (შედეგის შექმნის სურვილი)

სამივე მაგალითი გვიჩვენებს მოსწავლის როლის დინამიკურ ტრანსფორმაციას. **ტრადიციული მოდელი** ეფუძნება რეპროდუქციულ სწავლებას, სადაც მოსწავლე არის მსმენელი. **ინტერაქტიურ მოდელში** ის ხდება აქტიური მონაწილე, **ხოლო ციფრულში** – დამოუკიდებელი შემოქმედი, რომელიც თავად განსაზღვრავს ცოდნის მიღებისა და გამოყენების გზებს.

ციფრული განათლება ავითარებს:
- კრიტიკულ და სისტემურ აზროვნებას;
- თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარს;
- ინფორმაციულ წიგნიერებას და მედიაწიგნიერებას;
- პასუხისმგებლობასა და გლობალურ ცნობიერებას.

ეს მოდელი აღიარებს მოსწავლეს როგორც სუბიექტს, რომელსაც შეუძლია ცოდნის შექმნა, შეფასება და პრაქტიკაში გამოყენება.

UNESCO-ს 2023 წლის ანგარიშში *Reimagining Our Futures Together: A New Social Contract for*

ციფრულ ეპოქაში მოსწავლის როლი სცილდება ტრადიციული შემსწავლელის ჩარჩოს – ის იქცევა აქტიურ, შემოქმედებით და პასუხისმგებლიან ციფრულ მოქალაქედ.

*Education*ხაზგასმულია, რომ ციფრულ ეპოქაში განათლება აღარ არის მხოლოდ ინფორმაციის გადაცემა ან აკადემიური უნარების შეძენა. ის უნდა ეფუძნებოდეს **თანაარსებობას, თანამშრომლობას და მდგრად განვითარებას** – ანუ ისეთ სწავლას, რომელიც აყალიბებს მოსწავლეს როგორც **ციფრულ მოქალაქეს**, პასუხისმგებელს ცოდნის ეთიკურ გამოყენებაზე და საზოგადოების კეთილდღეობაზე.

1. თანაარსებობა ციფრულ სივრცეში – ციფრულ ეპოქაში თანაარსებობა გულისხმობს ადამიანთა შორის ციფრული კულტურის ფარგლებში ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ კომუნიკაციას. მოსწავლე აღარ არის პასიური მომხმარებელი, არამედ **აქტიურად ოპერირებს ონლაინ გარემოში**.

პრაქტიკული მაგალითი – მე-8 კლასის მოსწავლეები მონაწილეობენ პროექტში *„ციფრული ქცევის წესები“*. ისინი ქმნიან პოსტერებსა და ვიდეორგოლებს თემაზე – *ციფრული ბულინგის პრევენცია*. ერთმა ჯგუფმა მოამზადა ვიდეო – „სიტყვასაც აქვს

წონა“, სადაც აჩვენეს, როგორ შეიძლება ერთი კომენტარით ადამიანის დაჩაგვრა. დისკუსიისას მოსწავლეებმა თავად შეიმუშავეს „კლასის ციფრული ეთიკის კოდექსი“.

განვითარებული კომპეტენცია – კომუნიკაციური კულტურა, ემპათია, ციფრული ეთიკა და სოციალური თანასწორობა.

2. **თანამშრომლობა ციფრულ გარემოში** – თანამშრომლობა ციფრულ ეპოქაში არის ცოდნის შექმნის პროცესი, რომელიც სცილდება საკლასო სივრცეს და ეფუძნება **გლობალურ ქსელურ სწავლებას**.

პრაქტიკული მაგალითი – გეოგრაფიის გაკვეთილზე თემა – *კლიმატის ცვლილება.* საქართველოს და იტალიის სკოლები თანამშრომლობენ eTwinning პლატფორმაზე და ქმნიან ერთობლივ ციფრულ რუკას Google My Maps-ში. მოსწავლეები აჩვენებენ, როგორ იცვლება კლიმატი სხვადასხვა რეგიონში და რა ქმედებებმა შეიძლება შეამციროს ზიანი. საბოლოოდ, ისინი ქმნიან ერთობლივ პრეზენტაციას „Our Planet, Our Future“.

განვითარებული კომპეტენცია – გლობალური აზროვნება, მონაცემთა ანალიზი, კრიტიკული აზროვნება, გუნდური მუშაობა და ინტერკულტურული კომუნიკაცია.

3. **მდგრადი განვითარება და ეკოლოგიური ცნობიერება** – UNESCO-ს ხედვის თანახმად, მოსწავლე უნდა აღიქმებოდეს როგორც აქტიური მოქალაქე, რომელიც პასუხისმგებელია გარემოსა და რესურსების დაცვაზე.

პრაქტიკული მაგალითი – მე-9 კლასის მოსწავლეები ახორციელებენ პროექტს *„მწვანე სკოლა“*. ისინი სმარტფონით ზომავენ ენერგომოხმარებას, ქმნიან მონაცემთა ცხრილებს Excel-ში და ანგარიშობენ, რა რესურსების დაზოგვა შეიძლება. საბოლოოდ, მოსწავლეები სკოლას წარუდგენენ რეკომენდაციებს ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

განვითარებული კომპეტენცია – პრობლემის გადაჭრა, მონაცემთა ინტერპრეტაცია, მდგრადი აზროვნება და პასუხისმგებლობა გარემოს მიმართ.

4. **ცოდნის ეთიკური გამოყენება** – ციფრულ ეპოქაში ინფორმაციის უზარმაზარი ნაკადები მოითხოვს **ეთიკურ ცნობიერებასა და კრიტიკულ ანალიზს**. მოსწავლე უნდა სწავლობდეს ინფორმაციის შეფასებას, წყაროს გადამოწმებას და ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლიანად გამოყენებას.

პრაქტიკული მაგალითი – მოსწავლეები ქმნიან პრეზენტაციას თემაზე *„მომავალი სკოლა“* ChatGPT-ისა და Canva-ს გამოყენებით. შემდეგ მსჯელობენ, რა შეიქმნა ადამიანის შემოქმედებით და რა – ალგორითმის გზით. ეს დისკუსია ეხმარება მათ გააცნობიერონ, რა არის პლაგიატი, როგორ უნდა აღინიშნოს ციფრული ავტორობა და როგორ გამოიყენონ ტექნოლოგია ეთიკურად.

განვითარებული კომპეტენცია – ციფრული მოქალაქეობა, მედიაწიგნიერება, პასუხისმგებლობა და ინოვაციური აზროვნება.

ციფრულ ეპოქაში მოსწავლის როლი სცილდება ტრადიციული შემსწავლელის ჩარჩოს – ის იქცევა **აქტიურ, შემოქმედებით და პასუხისმგებლიან ციფრულ მოქალაქედ.**

მოსწავლე არა მხოლოდ იძენს ცოდნას, არამედ ქმნის. ის უბრალოდ კი არ ასრულებს დავალებას, არამედ თანამშრომლობს. ის ზრუნავს ადამიანებზე და არა მხოლოდ საკუთარ ქულაზე. ასე ყალიბდება განათლების ახალი ფილოსოფია – **„სწავლა საერთო კეთილდღეობისთვის“ (learning for the common good)**, რომელიც ემყარება ეთიკურ, ტექნოლოგიურ და სოციალურ ინტეგრაციას.

სწავლების პროცესის ტრანსფორმაცია მოითხოვს მოსწავლის როლის გადაფასებას.

დღეს მოსწავლე არის:

- ცოდნის შემქმნელი,
- სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური მონაწილე,
- ინოვატორი.

ციფრული გარემო ქმნის ისეთ პირობებს, როდესაც მოსწავლე თავად ხდება საკუთარი სწავლების ავტორი – ახდენს მონაცემთა შეგროვებას, მათ ანალიზს და ცოდნის პრაქტიკულ ტრანსფორმაციას. სწორედ ამაში მდგომარეობს თანამედროვე განათლების არსი – ცოდნის შექმნა აქტიური ქმედებით.

ბიბლიოგრაფია

1. Anderson, T., & Dron, J. (2011). Three generations of distance education pedagogy. *International Review of Research in Open and Distance Learning*, 12(3), 80–97. https://doi.org/10.19173/irrodl.v12i3.890
2. Fullan, M., & Langworthy, M. (2014). *A rich seam: How new pedagogies find deep learning.* Pearson.
3. Mishra, P., & Koehler, M. J. (2006). Technological Pedagogical Content Knowledge: A framework for teacher knowledge. *Teachers College Record*, 108(6), 1017-1054.
4. OECD. (2021). *21st Century Skills and Digital Competence in Education.* OECD Publishing.
5. Piaget, J. (1972). *The psychology of the child.* Basic Books.
6. Siemens, G. (2005). Connectivism: A learning theory for the digital age. *International Journal of Instructional Technology and Distance Learning*, 2(1), 3-10.
7. UNESCO. (2023). *Reimagining our futures together: A new social contract for education.* https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000379707
8. Vygotsky, L. S. (1978). *Mind in society: The development of higher psychological processes.* Harvard University Press.

თამთა დოლიძე

რას ვაკეთებთ, როცა არაფერს არ ვაკეთებთ

დაიწყო ახალი სასწავლო წელი. მოსამზადებელი ფაციფუცისა და ბიუროკრატიული აურზაურის მიუხედავად, ყველას გვიხარია სკოლაში დაბრუნება, რადგან დიდი ხნის უნახავ ადამიანებთან (კოლეგები, მოსწავლეები, მეგობრები...) შეხვედრის საშუალება გვეძლევა. თუმცა, სასკოლო რუტინისგან თავისუფალი თვეების შემდეგ, სამუშაო პროცესთან შეგუება პატარებს კი არა, უფროსებსაც ძალიან გვიჭირს.

ამ თემაზე არსებული წიგნებიდან, რომელთა წაკითხვასაც საზაფხულო არდადეგებიდან დაბრუნებულ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს ვურჩევ, ერთ-ერთი არის მეგან მაკდონალდსის „ჯუდი მუდი ცუდ გუნებაზეა“ (პირველი წიგნი). ჯუდიც ისევე ვერ ელევა ზაფხულს, როგორც ჩემი მოსწავლეების დიდი ნაწილი. მას თმის დავარცხნაც კი ეზარება, რომ არაფერი ვთქვათ სკოლაში ახალი სიტყვების დაზეპირებასა თუ წებოჭამია თანაკლასელის გვერდით ჯდომაზე. მას არც ახალი ნივთები ახარებს და არც – მამის მომზადებული საუზმე, განსაკუთრებით კი ის ადარდებს, რომ არაფერი აქვს თანაკლასელებისთვის მოსაყოლი, რადგან მისი აზრით, ზაფხულში გამორჩეული არაფერი უკეთებია...

და მაინც, რას ნიშნავს არაფრის კეთება? ნუთუ შეუძლია ადამიანს, მართლა არ გააკეთოს არაფერი თუნდაც ერთი წუთის განმავლობაში? მოდი, ერთად ვიფიქროთ ამაზე.

ადამიანთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ დასვენება და არაფრის კეთება ერთი და იგივე რამაა. იმისათვის, რომ გავიაზროთ, რას ნიშნავს „სწორად“ დასვენება, სჯობს, ქვემოთ მოცემულ ბმულს მივყვეთ: https://www.youtube.com/watch?v=8ZW9EYByNDE

ამ ვიდეოზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანის გადაღლას (ფიზიკურ თუ გონებრივ გადაწვას) „სწორად დაღლის/დასვენების“ ტექნიკების არცოდნა განაპირობებს. ამას გარდა, დასვენება სულაც არ ნიშნავს არაფრის კეთებას და ამ უნარსაც ისევე სჭირდება გამომუშავება, როგორც სხვა ნებისმიერ უნარს.

როცა არაფერს ვაკეთებთ, სინამდვილეში ბევრი საინტერესო რამ ხდება: ენერგიის აღდგენა/შევსება (როგორც ფიზიკური, ასევე – გონებრივი და ემოციური), ფიქრი/საკუთარ თავში ჩაღრმავება (სწორედ ამ დროს ხდება შეუმჩნეველი პრობლემების დანახვა, იდეების გენერირება და სხვ.), მეხსიერებისა და ემოციების „გავარჯიშება“ (მოგონებებში გადაშვება, ემოციების გამოწვევა, სტრესის მართვა და სხვ.), დღე-ღამის ბიორიტმისა და მოქნილობის სტიმულირება (ზომიერი შეჩერება/რუტინული რიტმიდან ამოვარდნა ხელს უწყობს გონებრივ მრავალფეროვნებას, წარმოსახვისა და შემოქმედებითი უნარების გაუმჯობესებას) და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა, არაფრის კეთება სასარგებლო საქმიანობად იქცეს?! ფოკუსირებული სუნთქვაც კი საკმარისია იმის მაგალითად, რომ ამ შეკითხვას დადებითი პასუხი გაეცეს. ამას გარდა, არსებობს არაერთი საინტერესო სავარჯიშო, რომელიც რუტინით დაღლილი მოსწავლეების თუ საკუთარი თავის „გადასატვირთად" გამოგადგებათ. აი, მაგალითად:

დახუჭეთ თვალები და შეეცადეთ გაიგონოთ 5 ხმა, 4 შეგრძნება, 3 სურნელი და ა.შ. (სენსორული სავარჯიშო)

როცა ეს ვარჯიში პირველად გავაკეთე კლასში, შედეგმა გამაოცა. მოსწავლეებმა არა მარტო კლასში არსებული ხმები „დაიჭირეს", არც სკოლის ეზოს ხმების გარჩევა გასჭირვებიათ და არც არსებული გარემოს შეგრძნებების ენაზე აღწერა. ფანჯრიდან შემოჭრილი ტყის სურნელი კი ინსპირაციის წყაროდ აქციეს... ჩემი აზრით, დამღლელი სასწავლო დღის ყველაზე კრიტიკულ მომენტში ამგვარი პაუზების გაკეთება სასარგებლოცაა და სასიამოვნოც.

ასევე სასარგებლო შესვენებად ითვლება ემოციური გადატვირთვისას მცირე პაუზის აღება. მაგალითად, როცა რაღაცის კეთება არ გამოგდის და ბრაზიც იმატებს, სჯობს, ცოტა ხნით გვერდზე გადადო ის შენი საკეთებელი და გონება „გადართო". ამ მეთოდს უფროსები ხშირად მივმართავთ, მაგრამ პატარებს დამოუკიდებლად უჭირთ სწორი მომენტის შერჩევა შესასვენებლად, ბრაზის კონტროლი და ა.შ. მათ სჭირდებათ მითითება, თუ როგორ მიუდგნენ წარუმატებლობას სწავლის პროცესში, რას ნიშნავს შეცდომებზე სწავლა, როგორ არ დავნებდეთ განმეორებადი მარცხის შემთხვევაში, როგორ გავიხაროთ პირადი პროგრესით და ა.შ. ასეთ დროს ფრაზა „ცოტა ხნით არაფერი აკეთო" შეიძლება მოსწავლეს ერთგვარ მაშველ რგოლად მოევლინოს.

ფსიქოლოგები გვირჩევენ, რომ ყოველდღიურ ჩვევად ვაქციოთ თუნდაც 10-15 წუთიანი სეირნობა ყურსასმენებისა და საქმიანი ფიქრების გარეშე. დავაკვირდეთ ნაცნობ გარემოს – სახლებს, ხეებს, ხმებს... მოვუსმინოთ საკუთარ სხეულს, შევიგრძნოთ მისი ბუნებრივი ტემპი, არ ავაჩქაროთ საკუთარი თავი, არ დავუსახოთ კონკრეტული მიზანი (კალორიების დაწვა თუ გადაადგილების აუცილებლობა), უბრალოდ, ვასეირნოთ. კარგი იქნება, თუ აღნიშნულ პრაქტიკას ყოველდღიურობაში დავნერგავთ და ყოველგვარი მუსიკალური ფონისა თუ ნაცნობებთან საუბრის გარეშე, ცოტა ხნით მაინც მოვუსმენთ საკუთარ სხეულსა და გარემოს, რომელშიც ვცხოვრობთ.

21-ე საუკუნე წარმოუდგენელია ე.წ. ელექტრონული ხმაურის გარეშე. საჭმელს, უმეტესად, რომელიმე სატელევიზიო გადაცემის ან ფილმის ყურების პროცესში მივირთმევთ, ჩაისაც კი სმარტფონში სქროლვის თანხლებით ვსვამთ, რაც ხელს გვიშლის საკუთარი ორგანიზმის მოსმენასა (ნაყროვანების განცდა) და თავად სმის პროცესით ტკბობაში. ამიტომ, თქვენთან ერთად საკუთარ თავსაც ვურჩევ, დღეში ერთხელ მაინც დავისხათ ჩაი ან ყავა, დავსხდეთ განმარტოებით/სიჩუმეში და აუჩქარებლად, ნება-ნება დავლიოთ საყვარელი სასმელი, დავაკვირდეთ მის გემოს, არომატს, შეგრძნებებს, რომლებიც მისი სმის პროცესში გვეუფლება... იქნებ ასე მაინც მივაგნოთ პასუხს შეკითხვაზე, რატომ გვიყვარს ეს სასმელი ასე ძალიან, ან იქნებ სულაც არ გვიყვარს და უბრალოდ, „არაფრის კეთების" პროცესში კარგი კომპანიონია?!

მოსწავლეებს შეგვიძლია შევთავაზოთ რამდენიმე მარტივი სავარჯიშო, რომელიც არაფრის კეთებას სასარგებლო და სასიამოვნო საქმიანობად აქცევს:

ფანჯრიდან დანახული სამყარო

ჩემი საკლასო ოთახის ფანჯრიდან საოცარი ხედი იშლება, ამიტომაც ხშირად ვთხოვ გადაღლილ მოსწავლეებს, გაიხედონ ფანჯრიდან და 1-2 წუთის განმავლობაში უყურონ ცას, ღრუბლებს, ფანჯრის წინ ასვეტილ მთას, მოშრიალე ხეებზე მოხტუნავე ციყვებს... არ ეცადონ ფიქრების გაჩერება-გაკონტროლებას, უბრალოდ მიყვნენ მათ. ზოგ შემთხვევაში ამ შეგრძნებებს ამინდის შესაბამისი მუსიკით ვამძაფრებ, უფროს კლასებში კი ერთგვარ „შეგრძნებების დღიურში" ჩანაწერებსაც ვაკეთებინებ მოსწავლეებს.

სუნთქვითი ვარჯიში განტვირთვისთვის

ხშირად განტვირთვისთვის საკუთარ სუნთქვაზე დაკვირვებაც საკმარისია. სჯობს, თვალები დახუჭოთ და საკუ-

შეიძლება თუ არა, არაფრის კეთება სასარგებლო საქმიანობად იქცეს?! ფოკუსირებული სუნთქვაც კი საკმარისია იმის მაგალითად, რომ ამ შეკითხვას დადებითი პასუხი გაეცეს. ამას გარდა, არსებობს არაერთი საინტერესო სავარჯიშო, რომელიც რუტინით დაღლილი მოსწავლეების თუ საკუთარი თავის „გადასატვირთად" გამოგადგებათ.

მოსწავლეებს ხშირად ახასიათებთ აზრების მოჭარბება, თუნდაც „არაფრის კეთების“ პროცესში. მე მათ ამ დროს მოკლე ჩანაწერების კეთებას ვურჩევ, რადგან ერთი შეხედვით არასაჭირო იდეა შესაძლოა სხვა დროს გამოგადგეთ, თან მოჭარბებული ფიქრებისგან ტვინსაც განტვირთავენ.

თარ სუნთქვას ისე დაუგდოთ ყური. ჩაისუნთქეთ, რამდენიმე წამით შეჩერდით, შემდეგ კი ამოისუნთქეთ... 1-2 წუთიც კი საკმარისია ტვინის „განიავებისთვის“. უფროსკლასელებისთვის სუნთქვის მარტივი ვარჯიშების შეთავაზებაც შეიძლება.

აზრებისგან დაცლა

მოსწავლეებს ხშირად ახასიათებთ აზრების მოჭარბება, თუნდაც „არაფრის კეთების“ პროცესში. მე მათ ამ დროს მოკლე ჩანაწერების კეთებას ვურჩევ, რადგან ერთი შეხედვით არასაჭირო იდეა შესაძლოა სხვა დროს გამოგადგეთ, თან მოჭარბებული ფიქრებისგან ტვინსაც განტვირთავენ. ფსიქოლოგების თქმით, ამგვარი პატარა პაუზები ამცირებს სტრესს, ზრდის კონცენტრაციას, ააქტიურებს ფანტაზიას და მოაქვს სიმშვიდის შეგრძნება.

სწორად დასვენების დღიური

მოსწავლეებს შეგვიძლია შევთავაზოთ მარტივი გეგმა, თუ როგორ აქციონ ყოველდღიურ რუტინაში არაფრის კეთება სასარგებლო პროცესად და გააანალიზონ შედეგები. აქვე გაგიზიარებთ დღიურის ერთგვარ ნიმუშს.

დღე N1 – გაიხედე ფანჯრიდან (5 წუთი)

დაჯექი ფანჯარასთან, დააკვირდი გარემოს, მიეცი ფიქრებს უფლება, თავისით მოვიდნენ და წავიდნენ. შეეცადე, შეაჩერო საქმიანი ფიქრები/აზრები.

დღე N2 – დალიე სიჩუმე (5 წუთი)

დაისხი საყვარელი სასმელი. გამორთე ან გადადე ტელეფონი და სხვა ელექტრონული მოწყობილობა, შეეცადე დალიო ჩაი ან სხვა სასმელი მარტომ/სიჩუმეში. დააკვირდი მის სუნს, გემოს და ტემპერატურას, იმ შეგრძნებებს, რასაც ეს სასმელი შენში იწვევს. ისიამოვნე მხოლოდ ერთი რამის კეთებით.

დღე N3 – ისეირნე სეირნობისთვის (5-10 წუთი)

გადი ეზოში ან სახლთან ახლოს მდებარე სკვერში/ქუჩაში. არ ჩართო მუსიკა, სასურველია, არც არავის გაესაუბრო. დააკვირდი საკუთარ ნაბიჯებს, შეიგრძენი სხეულის რიტმი, დააკვირდი ნაცნობ გარემოს, აი ნახავ, რამდენ უცნობ დეტალს აღმოაჩენ.

დღე N4 – დააკვირდი სუნთქვას (2-3 წუთი)

დაჯექი ან დაწექი კომფორტულად და კონცენტრირდი სუნთქვის პროცესზე. ჩაისუნთქე, რამდენიმე წამით შეჩერდი და ამოისუნთქე. შეგიძლია ეს სავარჯიშო გააკეთო პირით (ხმამაღალი სუნთქვა), ცხვირით ან შერეულად (ჩავისუნთქავთ პირით და ამოვისუნთქავთ ცხვირით ან პირიქით). შეეცადე, არაფერზე იფიქრო და მთლიანად სუნთქვის პროცესზე კონცენტრირდე.

დღე N5 – დაიცალე აზრებისგან (5-7 წუთი)

აიღე ფურცელი და კალამი. ჩაიწერე ყველაფერი, რაც თავში მოგივა (ფიქრები, იდეები, ემოციები...). არ დაალაგო, უბრალოდ გადმოყარე ფურცელზე ყველაფერი, რაც გონებას ტვირთავს. შემდეგ კი ფურცელი გვერდზე გადადე და შეწყვეტილ საქმიანობას მიუბრუნდი. აუცილებლად იგრძნობ, თუ რა ეფექტურად მუშაობს ზედმეტი ფიქრებისგან დაცლილი გონება.

დღე N6 – გაავარჯიშე სენსორული მეხსიერება (3-5 წუთი)

დახუჭე თვალები და შეეცადე, ქუჩიდან შემომავალი ხმები ერთმანეთისგან განაცალკევო და წარმოიდგინო, თუ რომელი ობიექტები გამოსცემენ ამ ხმებს, ან პირიქით – გაიკეთე ყურის საცობები, გაიხედე ფანჯრიდან და შეეცადე „გაიგონო“, თუ როგორ ხმას გამოსცემს ესა თუ ის ობიექტი. ამგვარადვე შეგიძლია გაიაქტიურო ყნოსვისა და გემოს რეცეპტორები. შეეცადე გამოიცნო, თუ რომელ საჭმელს ამზადებენ მეზობლები, რომელ ტკბილეულს აცხობენ მახლობელ საფუნთუშეში და სხვ. კერძის გამოცნობის შემდეგ, ვფიქრობ, მისი გემოს გახსენება სულაც არ გაგიჭირდება.

დღე N7 – მიეცი შენს თავს სწორად დასვენების უფლება

სასურველია, ეს აქტივობა კვირადღეს ან ისეთ დღეს დაამთხვიო, როცა აუცილებლად გასაკეთებელი საქმე არ გაქვს. პირველ რიგში, გააჩუმე საკუთარ თავში კრიტიკოსი. იძინე იქამდე, სადამდეც გსურს, ნუ გაუბრაზდები საკუთარ თავს „უსაქმურობის“ გამო, ჰკითხე მას, რისი კეთება სურს? იქნებ ემოციური ენერგიის შესავსებად სპექტაკლის ან ფილმის სანახავად წაიყვანო, ან ბუნებას მონატრებული, შემოდგომის ტყეში გაასეირნო...

გირჩევთ, ერთხელ მაინც სცადოთ სწორად დასვენების ამგვარი თუ არა, თქვენეული გეგმის შემუშავება და ნახეთ, იქნებ არაფრის კეთებამ თქვენც მოგიტანოთ სარგებელი.

თამთა კობახიძე

განმსაზღვრელი შეფასებით გამოწვეული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები დაწყებით საფეხურზე – რა როლი აქვს შემაჯამებელ დავალებას?

სსიპ ქ. ქუთაისის 30-ე საჯარო სკოლის გამოცდილება

განსამზღვრელ და განმავითარებელ შეფასებაზე უკვე ძალიან ბევრი ქართულენოვანი ლიტერატურა, კვლევა თუ სტატია დაგროვდა, თუმცა პროცესის ხასიათიდან გამომდინარე თემა ამოუწურავია. შესაბამისად, საკითხი კვლავ აქტუალურია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულმა ცვლილებებმა, განმსაზღვრელ შეფასებასთან მიმართებით, საბოლოო შეფასებაში შემაჯამებელი დავალების წილის გაზრდის შესაძლებლობამ, ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა სკოლები, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე.

სწორედ აღნიშნული პრობლემები გახდა 2024-2025 სასწავლო წელს სსიპ ქ. ქუთაისის, 30-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების – ბელა გიორხელიძისა და თამარ ასათიანის კვლევის საგანი. აღნიშნულ სასწავლო წელს, 9 თვის მაძილზე განხორციელებულმა პრაქტიკის კვლევამ ძალიან საინტერესო შედეგები აჩვენა, რომლის განზოგადება მსგავსი ტიპის სკოლებისათვის სავსებით შესაძლებელია.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს ცვლილებებამდე გააჩნდათ გარკვეული პრობლემები მთელი ქვეყნის მასშტაბით განმავითარებელი შეფასებიდან განმსაზღვრელ შეფასებაზე გადასვლის ეტაპზე. ამ პრობლემების შესწავლის მიზნით ჯერ კიდევ 2010-2011 წელს დაიწყო სკოლებში პრაქტიკის კვლევების განხორციელება (იხ.სტატია: https://mastsavlebeli.ge/?p=2559). კვლევები მიუთითებდნენ, რომ მეოთხე კლასიდან მეხუთეში გადასვლისას შეფასებაში ვარდნა არ უკავშირდებოდა განმავითარებელი შეფასების შემოღებას. ეს პრობლემა არსებობდა განმავითარებელი შეფასების შემოღებამდე. პრობლემის გადაჭრელად გაცემულ რეკომენდაციებში ვკითხულობთ, რომ მეოთხე და მეხუთე კლასების მასწავლებლების ერთობლივად მუშაობისა და მეხუთე კლასში გადასვლის პირველ პერიოდში მხოლოდ განმავითარებელი შეფასების გამოყენებას მკვლევრები აქტიურ რეკომენდაციას უწევდნენ.

ერთის მხრივ, ეროვნულ სასწავლო გეგმაში განხორციელებულმა ცვლილებებმა საშუალება მისცა მასწავლებლებს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის გარემოს შეგუების ფაქტორები შეერბილებინათ მეხუთე კლასის პირველ სემესტრში, თუმცა გამოწვევა კვლავ დარჩა და განსაკუთრებით მძაფრად იმ სკოლებისათვის წარმოჩინდა, რომლებმაც შეფასების მეორე მოდელი აირჩიეს და შემაჯამებელ დავალებას სხვა შეფასებებთან შედარებით მაღალი წონა მიანიჭეს.

მასწავლებლებმა კვლევის ობიექტად მეხუთე კლასი აირჩიეს და პროცესის მიმდინარეობა პრაქტიკის კვლევის პრინციპებით დაგეგმეს.

პრობლემის შესწავლის ეტაპზე მათ გააკეთეს უკვე განხორციელებული შემაჯამებელი დავალების ანალიზი, **გამოკითხვის** საშუალებით შეისწავლეს მშობელთა მოლოდინები თავიანთი შვილების აკადემიური მოსწრების შესახებ, ასევე მასწავლებ-

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულმა ცვლილებებმა, განმსაზღვრელ შეფასებასთან მიმართებით, საბოლოო შეფასებაში შემაჯამებელი დავალების წილის გაზრდის შესაძლებლობამ, ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა სკოლები, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე.

შედეგების ანალიზმა გამოავლინა, რომ მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი არ შეესაბამებოდა მათ ასაკობრივ განვითარებასა და ცოდნას, რაც მიუთითებდა მშობლების გადაჭარბებულ ჩარევაზე დავალების შესრულების პროცესში.

ლის მიერ შემაჯამებელი დავალების დაგეგმვის პროცესის შესახებ. მათ ასევე **გააანალიზეს** უკვე ჩატარებული შემაჯამებელი სამუშაოს დროს გამოყენებული პირობები – რამდენად შეესაბამებოდა სტანდარტებს და წარმოადგენდა შედეგის გაზომვის სანდო და ობიექტურ ინსტრუმენტს.

მიღებული შედეგების ანალიზმა გამოავლინა, რომ მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი არ შეესაბამებოდა მათ ასაკობრივ განვითარებასა და ცოდნას, რაც მიუთითებდა მშობლების გადაჭარბებულ ჩარევაზე დავალების შესრულების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვის ეტაპზე მშობლები ამას უარყოფდნენ, მოსწავლეებთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ, ხშირ შემთხვევაში, მშობლები დიდი დოზით ერეოდნენ დავალების შესრულებაში, რაც, თავის მხრივ, გამოწვეული იყო გარკვეული შიშებით, რომელიც მათი შვილების არასასურველ აკადემიურ მოსწრებას და ამის შედეგად გამოწვეულ სხვადასხვა გარემოებებს უკავშირდებოდა. მშობლები, იაზრებდნენ რა საკლასო-საშინაო კომპონენტის კავშირს შემაჯამებელ დავალებასთან და ასევე საერთო შეფასებაში მის როლს, მაქიმალურად ცდილობდნენ გავლენა მოეხდინათ საკუთარი შვილების აკადემიურ მიღწევებზე.

ინტერვენციების ეტაპზე მასწავლებლებმა დაგეგმეს შეხვედრები მშობლებთან, სადაც დეტალურად იქნა განხილული სტანდარტი და სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა. შეხვედრებს ჰქონდა საგანმანათლებლო ხასიათიც, რადგან მათ მშობლებს გაუზიარეს კვლევის შედეგები, რომლებიც კონკრეტულად შვილების სასკოლო ცხოვრებაში არასწორ ჩარევას და მისგან გამოწვეულ უარყოფით შედეგებზე მიუთითებდნენ. მეორე ეტაპზე მასწავლებლებმა ასევე შეცვალეს დავალების ტიპი და შეადგინეს კომბინირებული ტესტი, რომელიც დამოუკიდებელი მუშაობის მეტ შესაძლებლობას იძლეოდა. ასევე აქცენტირებულად იმუშავეს მოსწავლეებთან იმ საჭიროებების აღმოფხვრის მიზნით, რაც პირველ შემაჯამებელ დავალებაში გამოვლინდა (მაგ.მწირი ლექსიკური მარაგი).

ინტერვენციების შეფასებამ აჩვენა, რომ მოსწავლეებმა საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე გამოავლინეს ცოდნა. კარგად ჩანდა, რომ მოთხრობის ჟანრი უკეთ ჰქონდათ გააზრებული. ლექსიკა იყო უფრო ბუნებრივი და ასაკისთვის შესაფერისი. მოთხრობის რუკაზე მუშაობისას კარგად გამოკვეთეს პრობლემა, მოქმედების ადგილი, დრო, ვითარება, პერსონაჟები. ობიექტურად შეფასდა ტექსტის ცოდნის დონე, ხოლო ბოლო დავალებაში გამოვლინდა, რომ მოსწავლეს შეუძლია, პერსონაჟი სხვა ხედვის კუთხიდან დაინახოს და თავადაც მოირგოს განსხვავებული როლი.

მოსწავლეებისგან უკუკავშირი შეგროვდა ბარათების მეშვეობით, ხოლო მიღებული შედეგები გაზიარდა მშობლებთან. საერთო რეკომენდაციები კი შემდეგნაირად გამოიყურება:

- მოსწავლეთა დროული და სრულყოფილი მომზადება: შემაჯამებელი შეფასების წინ მოსწავლეებს დეტალურად უნდა ავუხსნათ შეფასების მიზანი, კრიტერიუმები, ფორმატები და მისი წონა საბოლოო შეფასებაში;
- შეფასების ინსტრუმენტების დივერსიფიკაცია და სტანდარტთან შესაბამისობა;
- მკაფიო რუბრიკების გამოყენება;
- კონსტრუქციული უკუკავშირი;
- შემაჯამებლამდე აქტივობების სწორად შერჩევა;
- აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან.

აღნიშნული გამოცდილების გაზიარება შეუძლიათ იმ სკოლებს, ვინც მსგავსი გამოწვევის წინაშეა. სკოლა აგრძელებს კვლევას და შეფასების სისტემის გაუმჯობესებაზე მუშაობას.



ლელა კოტორაშვილი

მოსწავლეთა ინტერესების კვალდაკვალ

მოსწავლეთა ინტერესების კვლევა ფონად გასდევს ჩემს პროფესიულ საქმიანობას. ვაკვირდები, რას უსმენენ, უყურებენ, როგორ საუბრობენ, გართობის რომელ ფორმებს ანიჭებენ უპირატესობას. მასწავლებლობისას მეშინია, არ დამავიწყდეს ჩემი ბავშობა. ამიტომ ვებღაუჭები ჩემს ძველ დღიურებს, ფოტოებს, წერილებს – ყველაფერს, რაც ჩემს მოზარდობას ასახავს და მახსენებს, როგორი ვიყავი ჩემი მოსწავლეების თანატოლი. მათი ინტერესების გათვალისწინება მოსწავლეების გულების მოშინაურებაში მეხმარება. მთავარია, დავარწმუნო, რომ მათი მესმის. სწორედ ამ მიზეზების გამო და, ამავე დროს, ჩემს მოზარდ შვილებზე დაკვირვებით, მივხვდი, რომ სოციალური ქსელებიდან მათი თანატოლები ინსტაგრამს ანიჭებენ უპირატესობას. თავად ინსტაგრამის ვირტუალური გარემო უფრო საინტერესოდ არის აკინძული. მეტი შესაძლებლობაა სასწავლო რესურსების გასაზიარებლად. ჩემი მოსწავლეებისთვის ინტაგრამ-გვერდის შექმნის იდეა რამდენიმე თვის წინ დამებადა. ზაფხულის არდადეგების დასაწყისში კი დრო გამოვძებნე და დიდი შემართებით დავიწყე ჩანაფიქრის ასრულება.

რამდენიმე მოტივი მამოძრავებდა:

1. ვიცოდი, რომ ბავშვები დიდ დროს ატარებენ ამ სივრცეში. შემეცნებითი პოსტების შექმნით ბავშვების ვირტუალურ დროს მრავალფეროვანს გავხდიდი;
2. გაკვეთილზე ხშირად მოთენთილები, უძილოები და მშივრები სხედან. ინსტაგრამ-გვერდზე ატვირთული დავალებების ინსტრუქციებისა თუ ჩემი პირადი გამოცდილების ნახვას კი სასურველ დროს შეძლებენ;
3. ბავშვებს მოსწონთ, როდესაც მასწავლებელი მათ ინტერესებს ერგება;
4. მოსწავლეებისთვის შექმნილ ინტაგრამ-გვერდზე მხოლოდ ისინი არიან. ამ გარემოში უფროსების ყოფნამ შესაძლოა დააკომპლექსოს ისინი. ამგვარად გავაერთიანე ჩემი ოთხივე კლასისა და შაბათის მკითხველთა კლუბის მოსწავლეები. ამ სივრცეში გაერთიანებულ მოზარდებზე რომ ვფიქრობ, მახსენდება, არაფორმალურ გარემოში დაგეგმილი პროექტები, მაგალითად, ლიტერატურული კაფეები, სადაც ხშირად სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეები იყრიან თავს. ჩემი დაკვირვებით, ამგვარი ერთიანობა დადებითად აისახება თითოეულ მოსწავლეზე. თითქოს სასწავლო პროცესს სულ სხვა ელფერი ეძლევა და სასიცოცხლო ენერგიით იმუხტება.

მოსწავლეთა ჩატებში გავაზიარე ინფორმაცია ჩემი გვერდის შესახებ და ვთხოვე, თუ სურვილი ექნებოდათ, ახალ წამოწყებაში გამომყოლოდნენ. ასე შეიქმნა ჩემი კლასი ინსტაგრამზე.

პოსტების შინაარსი

ამჟერად სულ 14 პოსტი მაქვს გამოყენებული. რამდენიმეს გაგიზიარებთ:

1. ზაფხულის დილა

7 ივლისის დილას ფანჯრიდან გადავიღე მერცხლების ფრენა და ვიდეოს შემდეგი ტექსტი დავურთე:

„დილა მშვიდობისა, ჩემო უსაყვარლესო ბავშვებო. რომელ

ჩვენი მწერლები ძალიან ბევრს წერენ სიტყვის ძალის შესახებ. რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, გურამიშვილი – აქედან დავიწყოთ. როცა საუბრობ, გულს დააკვირდი. როგორ ტალღაზე გადაჰყავს შენს ნათქვამ სიტყვას გული? ეს არის საზომი, მართალი ხარ თუ – არა. გული არ მოგატყუებს. ბილწისტყვაობა აზიანებს სხეულს, გონებას“.

საათზე ილვიძებთ? მე დილის 5 საათიდან მღვიძავს. მიყვარს ეს დრო. დაჰკვირვებიხართ მერცხლების ფრენას გამთენიისას? გიფიქრიათ, როგორი იმედითა და ხალისით ავსებს ადამიანს მერცხლის ჭიკჭიკი? იაკობ გოგებაშვილი მერცხლებზე ასეთ რამეს ამბობს: „რა კარგი იქნებოდა, რომ ყველა ადამიანი და ყველა ყმაწვილი იყოს იმისთანა კეთილი, უვნებელი, გამრჯელი, მხიარული, მოსიყვარულე, სასიამოვნო და სასარგებლო ქვეყნისათვის, როგორიც არის მერცხალი!" იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი" ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი პირველი წიგნია, ახლა კი – სანუკვარი საკითხავი".

ამ პოსტის მიზანი იყო, ბავშვები დამეფიქრებინა დღის რეჟიმზე, ბუნებასა და იაკობ გოგებაშვილზე.

2. ბავშვობის წიგნი

„აბა, მომიყევით, რას კითხულობთ თქვენ. მე ჩემი ბავშვობის უსაყვარლეს წიგნს, ჟიულ ვერნის „კაპიტან გრანტის შვილებს", ვკითხულობ და ვტკბები.

ჟიულ ვერნი ფრანგი მწერალია, მაგრამ ამ წიგნის მთავარი პერსონაჟები შოტლანდიელები არიან. ჟიულ ვერნმა ამგვარად თანადგომა გამოხატა ინგლისის დამპყრობლური პოლიტიკის გამო დაზარლებული შოტლანდიელებისადმი და მთელ მსოფლიოს გააცნო 37-ე განედზე ჩაძირული გემის კაპიტნის, ჰარი გრანტის, საძებნელად წასულ ცოლ-ქმარი გლენარვანები და კიდევ სხვა შოტლანდიელები.

კაცთმოყვარეობა – ეს თვისება ამოძრავებს და აერთიანებს რომანის მთავარ პერსონაჟებს.

მეც მათთან ერთად ვმოგზაურობ გემით, სახელად „დუნკანი". მერე რა, რომ გლდანულის მეორე კორპუსის მეცხრე სართულზე ვარ გამოკეტილი. წიგნის ძალით დავნავარდობ მსოფლიოს გარშემო. გუშინ არგენტინაში ვიყავი, დღეს ავტრალიაში აღმოვჩნდი".

ტექსტს თან დავურთე შოტლანდიის ჰიმნი. ვცდილობ, ბავშვების მუსიკალური ცნობიერებაც ავამაღლო. ამასთანავე, ჩემი დაკვირვებით, რაც დრო გადის, მით უფრო ნაკლები დრო რჩებათ მოზარდებს კითხვისთვის. სწორედ ამიტომ ჩემი ბავშვობის წიგნის მათთვის გაზიარებით იქნებ თავადაც გასჩენოდათ კითხვის სურვილი.

3. ფოტოამბავი და წინდები

მესამე პოსტმა დაუვიწყარი მოგონებები გვაჩუქა. გადავწყვიტე, წერითი დავალებითვის, ბავშვების მოტივაციის ასამაღლებლად, ჯილდო დამეწესებინა. საჩუქარზე ფიქრისას გამახსენდა, რომ ჩემს შვილებს წინდები გამუდმებით ეკარგებათ. მაღაზიაში საგულდაგულოდ შევარჩიე ულამაზესი წინდები გოგოებისა და ბიჭებისთვის. წერით დავალებად მათთვის კარგად ნაცნობი ინსტრუქცია შევთავაზე ფოტოამბის შესახებ. პირობა ამგვარი იყო: პირველი სამი მოსწავლე, რომელიც ჩემ მიერ შეთავაზებული ფოტოს შესახებ თემას დაწერდა და გამომიგზავნიდა, წინდებით დაჯილდოვდებოდა. პირველი თემა ჩემმა შვილმა, რომელიც ასევე ჩემი მოსწავლეა, კომენტარში ატვირთა. თეკლას გამოვლენილმა ინტერესმა დამარწმუნა, რომ ჩანაფიქრმა გაამართლა. სულ ოთხი მოსწავლე გამოეხმაურა ამ პატარა წერით კონკურსს და ოთხივემ ძალიან საინტერესო თემა დაწერა. წინდების გადაცემის პროცესმაც გაგვახალისა: თეკლას რაჭაში გავუგზავნე, ნატალისა და ნინის ეზოში შევხვდი, მეთერთმეტეკლასელი ანანო სოფელში იყო და დღეს, გაკვეთილის დაწყებისას, გადავეცი.

გიზიარებთ ფოტოამბის შესახებ ჩემს პოსტს:

„წერითი ინსტრუქციის დრო დადგა და გადავწყვიტე, თქვენი მოტივაციის ასამაღლებლად პირველი სამი მოსწავლე, რომელიც ამ ინსტრუქციის მიხედვით ჩატში თემას გამომიგზავნის, დავაჯილდოო.

ყველამ კარგად იცის ფოტოამბის შესახებ. ვფიქრობ, ეს იყო სემესტრის ყველაზე საყვარელი დავალება. გთავაზობთ ფოტოებს ჩემი

მობილური ტელეფონიდან და სათაურებს. თუ სურვილი გექნება:

- შეარჩიე ფოტო;
- დააკვირდი და აღწერე, რას ხედავ;
- მომიყევი, შენ რას გახსენებს ეს ფოტო;
- დაწერე, ახლა რა ხდება შენთან (სად ხარ? რა გესმის? რას ხედავ? რას ფიქრობ? რა გახსენდება? რას გრძნობ?...)
- დასვი ერთი შეკითხვა.

ჯილდო არის ერთი წყვილი წინდა."

4. დღის ჩანაწერი

აგვისტოში დღის ჩანაწერის შესახებ ავტვირთე პოსტი. წერის სურვილის გაღვივება მქონდა მიზნად:

„ახლა ვზივარ მეორე სართულის აივანზე. ველოდები მზის ამოსვლას. ჩემმა მეზობელმა ნათიამ ჩაიარა. ნესტანთან მიდის ყავის დასალევად. ამ სოფელში, 7 წელია, ვისვენებ და დილას ნაზი დეიდასთან ყავის დალევის რიტუალი უცვლელია. ნათიას ვთხოვე, თუ ონში წავა, თეკლას სათამაშო კუ წაუღოს. მთელი გულით გაეცინა. მიყვარს სოფელში მცხოვრები ადამიანების მიმღებლობა, წვრილმანებით გახარების უნარი და უბრალოება. მესმის ჩიტების ჭიკჭიკის, ძროხების ეჟვნების წკარუნის, მამლის ყივილის, მდინარე ჯეჯორისა და მეზობლების გადალაპარაკების ხმები. ვხედავ ძეწნის ხეს, მთებს, ყავის ფინჯანს, მუხლზე შემოდებულ წიგნს, მერცხლებსა და მთიდან ამომავალ მზეს. ვფიქრობ ათას რამეზე: ვარჯიშზე, ჩემი შვილების დღის მენიუზე, ბავშვებზე, რომლებიც ამ ჩანაწერს წაიკითხავენ. ვგრძნობ სიხარულს, სიყვარულსა და სიმშვიდეს. ბედნიერი ვარ, რომ ამ სამყაროს ნაწილი ვარ. მახსენდება გუშინდელი საღამო და შვილებთან ერთად სამაგიდო თამაშისას განცდილი სიამოვნება. ბზიკების ბუდე რომ არ მოვანგრიო მთელი აგვისტო, შევძლებ?

სანამ მე მუსიკას ვარჩევდი, მზე ამოვიდა.

P.S. **ბავშვებო, თქვენ წერთ დღის ჩანაწერებს? ძალიან გამახარებთ, თუ ამ პოსტის ქვეშ დამიწერთ თქვენი დღის ჩანაწერებს".**

5. ფიქრები „ვეფხისტყაოსნის" აფორიზმების შესახებ

დედაენის ბაღში რკინის ჯიხურებზე ამოტვიფრული აფორიზმების შესახებ კი შემდეგი მოსაზრებები გავუზიარე:

„კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა".

წიგნები, წერა, ლექსები, ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიული დეტალები, სახალისო ვიქტორინები, საინტერესო ინსტრუქციები, რჩევები, ფიქრი და მსჯელობა, აზრის ჩამოყალიბება, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ბუნებასთან ურთიერთობა, ციტატები - ასე გამოიყურება ჩემი მოსწავლეებისთვის შექმნილი ვირტუალური სივრცე ინსტაგრამში.

„კოკასა შიგან რაცა დგას,
იგივე წარმოდინდების“.

„ავსა კაცსა ავი სიტყვა ურ-
ჩევნია სულსა გულსა“.

დღეს ამ სამ აფორიზმზე ფიქრს გთავაზობთ.

ვინ არის მოყვარე? ის, ვისაც უყ-ვარხარ, თუ ყოველი ადამიანი ამქვეყნად მოყვარეა? როდის ხდება ადამიანების დამოყვ-რება? სულ მიკვირს, „ვეფხისტ-ყაოსნის“ გმირები მყისიერად რომ მეგობრდებიან. რა მაგარი შეგრძნებაა, არა? დადიხარ დედამიწაზე, ხვდები უცხო ადა-მიანს დ პირველივე შეხვედრის წამიდან მასთან თავს ჰარმონი-ულად გრძნობ.

რასაც და რაზე ვლაპარაკობთ, ის ვართ ჩვენ. რაც გვაქვს შინაგანად, ის გადმოდინდება ჩვენგან. შენ როგორ ცდილობ შენი შინაგანი სამყაროს გაკე-თილშობილებას?

ჩვენი მწერლები ძალიან ბევრს წერენ სიტყვის ძალის შესახებ. რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, გურამიშვილი – აქედან დავიწყოთ. როცა საუბრობ, გულს დააკვირდი. როგორ ტალღაზე გადაჰყავს შენს ნათქვამ სიტყვას გული? ეს არის საზომი, მართალი ხარ თუ – არა. გული არ მოგატყუებს. ბილწისტყვაობა აზიანებს სხეულს, გონებას“.

ამას მოჰყვა შემდეგი ში-ნაარსის პოსტები:

- მტკვრის პირას გადაღე-ბული ვიდეო, რომელშიც ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსს „ფიქრნი მტკვრის პირას“ ვკითხულობ. ლექსის ზეპირად სწავლისა და მო-ულოდნელად მისი წაკითხ-ვის სურვილზე გავამახვილე ყურადღება.
- ჩემი ფეისბუკ-გვერდის ფოტო, რომელზეც ასახუ-ლია 15 წლის წინ ლათინუ-რი შრიფტით გამოქყვეყნე-ბული სტატუსი. ამ ბოლო დროს დავაკვირდი, რომ ბავშვები ერთმანეთს ლა-თინური შრიფტით წერენ. ვფიქრობ, კითხვის სურვი-ლის გაქრობას ესეც ხელს უწყობს. სწორედ ამიტომ თვალსაჩინოებად გამოვი-ყენე, თუ როგორ ვწერდი მეც ლათინური შრიფტით და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ დაუფიქრებელ ჩვევას.
- „მშრალ ხიდზე“ ძველმანე-ბით მოვაჭრეებთან გადა-ღებული ვიდეო, რომელიც უცნობი მასწავლებლისა და მისი მოსწავლეების ფოტოებს ეხებოდა; ასევე, გავუზიარე ვიდეო, რომელშიც ბუკინისტი ვერმეერის ბიოგრაფიას მაცნობდა.
- მიხაი ზიჩის ძეგლთან კი უნგრელი მხატვრის შესახებ ვსაუბრობ და „ვეფხისტ-ყაოსნის“ ილუსტრაციების-თვის ცოცხალ ადამიანებს რომ ეძებდა პოემის პერსო-ნაჟების პროტოტიპებად, ისიც ვუამბე.

წიგნები, წერა, ლექსები, ცნობი-ლი ადამიანების ბიოგრაფიული დეტალები, სახალისო ვიქტო-რინები, საინტერესო ინსტ-რუქციები, რჩევები, ფიქრი და მსჯელობა, აზრის ჩამოყალი-ბება, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ბუნებასთან ურთიერთობა, ციტატები – ასე გამოიყურება ჩემი მოსწავლეებისთვის შექმ-ნილი ვირტუალური სივრცე ინსტაგრამში.

ფოტო-ვიდეო მასალა, მუსიკა და ტექსტი – თანამედროვე ცხოვრებაში ამბის თხრო-ბის გავრცელებული გზაა. სტატიაში გამიჭირდა ინს-ტაგრამ-გვერდზე საგანგებოდ მოსწავლეებისთვის შექმნილი ატმოსფეროს ზუსტი აღწერა, რადგან სოციალურ ქსელში ყველა კადრს განსაკუთრე-ბული მნიშვნელობა აქვს და ვიზუალური თხრობა ტექსტს აძლიერებს.

ვიცი, რომ მოზარდებს მოსწონთ „ინსტაგრამ-კლასი“. მჯერა, რომ თავის კვალს დატოვებს ჩემი მცდელობა და მათთვის მოფიქრებული გზავნილები. აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ინსტაგრამზე ატვირთულ ინსტრუქციებს ხშირად ვიყენებ და მომავალშიც მრავალჯერ მივუბრუნდები.

თქვენც სცადეთ თქვენი საკლასო ოთახის შექმნა ინს-ტაგრამზე.

თემურ სუყაშვილი

იუთუბერები და მათი ვიდეოები, როგორც სასწავლო რესურსი

თანამედროვე სამყაროში ციფრული პროდუქტი განათლების განუყოფელი ნაწილი გახდა. ახალგაზრდების ინტერესები იუთუბერების მიმართ იზრდება. ისინი უნიკალურ და საინტერესო ვიდეოებს ქმნიან. ერთმანეთს ეჯიბრებიან. მათი არხები და შექმნილი ვიდეოები ნელ-ნელა ანაცვლებს ტელევიზიებს, ცნობილი ტელეარხების მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმებს. მოსწავლეებთან საუბრისას აღმოვაჩინე, რომ ისინი დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს ქართველ იუთუბერებს, რომლებიც ცდილობენ, მაყურებელს აჩვენონ მიუწვდომელი ადგილები და გააცნონ ამბები.

ამ აღმოჩენის შემდეგ აქტიურად დავიწყე იუთუბ-ვიდეოების სასწავლო პროცესში გამოყენება. მიდგომამ საშუალება მომცა საგნობრივი თემები დამეკავშირებინა რეალურ ამბებთან. მით უმეტეს, მათთვის გასაგებ და პოპულარულ ენაზე მოსმენილი თავგადასავლები უფრო თვალსაჩინოსა და აღქმადს ხდის თანამედროვე პრობლემებს.

სტატიაში გაგიზიარებთ სოსო ნებიერიძის (Soso Around The World) ორ ვიდეოს, რომლებიც წარმატებით გამოვიყენე საგანმანათლებლო მიზნებისთვის.

მოგზაურობა ჩრდილოეთ კორეაში

პოლიტიკური იდეოლოგიები და რეჟიმები საგნების – მოქალაქეობა, ისტორია, გეოგრაფია – ფარგლებში ისწავლება საბაზო და საშუალო საფეხურებზე. საკითხის დამუშავებისას მოსწავლემ უნდა დაინახოს ამა თუ იმ პოლიტიკური იდეოლოგიისა თუ რეჟიმის გავლენა ადამიანსა

თანამედროვე სამყაროში ციფრული პროდუქტი განათლების განუყოფელი ნაწილი გახდა. ახალგაზრდების ინტერესები იუთუბერების მიმართ იზრდება. ისინი უნიკალურ და საინტერესო ვიდეოებს ქმნიან.



და საზოგადოებაზე. სახელმძღვანელოები, ძირითადად, საბჭოთა და ნაცისტური გერმანიის მაგალითებს განიხილავენ, თუმცა, მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ ტოტალიტარიზმი მხოლოდ წარსულის გამოძახილი არ არის. დღეს, XXI საუკუნეშიც ადვილი შესაძლებელია ადამიანების სრულად დამორჩილება. ჩრდილოეთ კორეა კი ამის თვალსაჩინო მაგალითია.

„მოგზაურობა ჩრდილოეთ კორეაში“ არის ბოლო პერიოდის ყველაზე გახმაურებული იუთუბ-ვიდეო ქართულ რეალობაში. რესურსი საუკეთესოა დიქტატურის, ერთპიროვნული მმართველობის, ადამიანების დამორჩილებისა თუ დამონების პროცესის თვალსაჩინოდ საჩვენებლად. ვიდეოში ნაჩვენები თითოეული ეპიზოდი კარგად ასახავს იმ უბედურებას, ნამდვილ ტრაგიზმს, რომელიც მოაქვს დიქტატორულ მმართველობას მოსახლეობისთვის.

დავალების პირობა: ფილმის ყურების დროს შეაგროვე ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევები, მოამზადე წერილი გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის სახელზე. წერილში მიუთითე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ის მუხლები, რომლებიც ყველაზე ხშირად ირღვევა ჩრდილოეთ კორეაში.

მოჩვენებების ქალაქი, რომელიც 50 წლის წინ მიატოვეს

2004 წელს კვიპროსი გახდა ევროკავშირის წევრი ისე, რომ ტერიტორიული მთლიანობა იყო დარღვეული. ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი დღემდე რჩება თურქეთის კონტროლქვეშ. ეს და სხვა მიზეზი კვიპროსს საქართველოსთვის საინტერესო და სამაგალითო ქვეყნად აქცევს.

კონფლიქტი, მშობლიურ სახლებს მოწყვეტილი მოსახლეობა, ორად გაყოფილი ქვეყანა და დედაქალაქი, ტრავმა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვებათ ადამიანებს, რომლებმაც საკუთარ თავზე იწვნიეს ომი და მისი შედეგები.

სოსო ნებიერიძის მორიგი ეპიზოდი – „მოჩვენებების ქალაქი, რომელიც 50 წლის წინ მიატოვეს“ – კარგად აჩვენებს კონფლიქტის უარყოფით მხარეებს.

ეს ვიდეო განსაკუთრებით აქტუალურია ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნებისთვის, რადგან ის მშრალი ფაქტების ნაცვლად, ემოციურ და რეალურ მაგალითებს გვთავაზობს.

სადისკუსიო კითხვები:

- რა განცდები გაგიჩნდათ ვიდეოს ყურებისას?
- როგორ ფიქრობთ, რა პრობლემებია ნაჩვენები ამ ვიდეოში და როგორ უკავშირდება ის ქართულ რეალობას?
- როგორ შეიძლება ამ ვიდეოში ნაჩვენები პრობლემების მოგვარება? თქვენ რომ ამ ქვეყნის მოქალაქე იყოთ, რას გააკეთებდით?
- როგორ გავლენას ახდენს ოკუპაცია და კონფლიქტები ადამიანებზე?

მაია ფირჩხაძე

„სასწავლო დუელის“, რეპროდუქტიულისა და ცოდნის ტრანსფერის ურთიერთმიმართება

„სასწავლო დუელის“, როგორც რეპროდუქტიული ხასიათის ინტერაქციული დავალების გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია ახალი მასალის გამყარების ეტაპზე, თემის შემაჯამებელ გაკვეთილზე და სასწავლო პროცესის სწრაფი შეფასებისას. მასწავლებელს შეუძლია მასზე დაყრდნობით შექმნას ინოვაციური სასწავლო გარემო და მიაღწიოს მაღალ აკადემიურ შედეგს.

თამაშის ტექნოლოგია, რეპროდუქტირება და **ცოდნის ტრანსფერი** ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებები და ერთი მთლიანი სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილებია. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ამ პროცესში თამაში და რეპროდუქტირება ცოდნის ტრანსფერის აუცილებელი წინაპირობაა:

- **თამაშისას იქმნება** აქტიური, ემოციური, მამოტივირებელი გარემო, სადაც მოსწავლეების საზროვნო უნარები აქტიურდება;
- **რეპროდუქტირებისას** (უკვე მიღებული ცოდნისა და ქმედებების განმეორებითი რეპროდუქტირება შედეგის მისაღებად) მოსწავლე ზუსტად აღადგენს ნასწავლ ფაქტებს და პასუხობს კითხვებზე: ვინ? სად? როდის? როგორ? და ა.შ.
- კარგად დამახსოვრებული და სტრუქტურირებული ინფორმაცია კი ადვილად ტრანსფორმირდება ახალ ცოდნად.

პრაქტიკული მაგალითი VII კლასის ისტორიის საგნობრივი კურსიდან:

> თემა – „ბრინჯაოს ხანა და ძველი აღმოსავლეთი“. მასწავლებელი ირჩევს სათამაშო ტექნოლოგიას „სასწავლო დუელი“ და თემასთან დაკავშირებით ადგენს შეკითხვებს, მოსწავლეებმა კი სწრაფად (განსაზღვრულ დროში) და სწორად უნდა უპასუხონ:

1. რა ტექნოლოგიურმა მიღწევამ განაპირობა ბრინჯაოს ხანის დასაწყისი?
2. როგორ შეცვალა ლითონის დამუშავებამ ადამიანთა შრომა და წარმოება?
3. რატომ გაჩნდა ქონებრივი უთანასწორობა პირველყოფილ თემებში?
4. რა ფუნქცია ჰქონდა ყორღნებს და რას გამოხატავდნენ ისინი?
5. რატომ წარმოიშვა პირველი სახელმწიფოები მდინარეთა ხეობებში?
6. რა ნიშნით იყო აუცილებელი კანონების არსებობა ძველ სახელმწიფოებში?
7. რა კავშირები ჰქონდა დიაოხს მეზობელ აღმოსავლურ ქვეყნებთან?
8. რა ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები ჰქონდა კოლხას სხვა რეგიონებთან?
9. რატომ მოიხსენებენ აქემენიანთა სპარსეთს როგორც პირველ სახმელეთო იმპერიას?
10. რა გზით აღმოჩნდნენ ქართველური ტომები აქემენიანთა სპარსეთის შემადგენლობაში?
11. რატომ არის მნიშვნელოვანი ძველი აღმოსავლეთის შესწავლა თანამედროვე ისტორიული ცნობიერებისთვის? და ა.შ.

> მოცემული შეკითხვებით მასწავლებელი ქმნის ცოდნის რეპროდუქტირებისა და ტრანსფერის შესაძლებლობას. კერძოდ, კითხვაზე:

- „რა ტექნოლოგიურმა მიღწევამ განაპირობა ბრინჯაოს ხანის დასაწყისი?“ – მოსწავლე პირდაპირ იხსენებს და იყენებს ნასწავლ ფაქტს (ლითონის დამუშავება);



თამაშის ტექნოლოგია, რეპროდუქტიულობა და ცოდნის ტრანსფერი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებები და ერთი მთლიანი სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილებია. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ამ პროცესში თამაში და რეპროდუქცირება ცოდნის ტრანსფერის აუცილებელი წინაპირობაა.

- „რა ნიშნით იყო აუცილებელი კანონების არსებობა ძველ სახელმწიფოებში?“ (პასუხი საჭიროებს ზუსტი განმარტების გახსენებას და ესეც რეპროდუცირებაა) და ა.შ.,
- „რატომ არის მნიშვნელოვანი ძველი აღმოსავლეთის შესწავლა თანამედროვეობისათვის, თანამედროვე ისტორიკოსებისათვის ან თუნდაც ისტორიული ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის?“ (კითხვაზე პასუხის ძიებისას მოსწავლე ნასწავლ მასალას გამოიყენებს ახალ სიტუაციაში: ფაქტებს დააკავშირებს თანამედროვეობასთან და საკუთარ გამოცდილებასთან, რაც ტრანსფერული ცოდნა და უნარებია);
- „რატომ მოიხსენებენ აქემენიანთა სპარსეთს როგორც პირველ სახმელეთო იმპერიას?“ (მსგავსი კითხვის პასუხი მოითხოვს ცოდნის გადატანას უფრო ფართო ისტორიულ კონტექსტში და მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის გამოყენებას, რაც ხელს უწყობს ტრანსფერული ცოდნის ფორმირებას).

დავალების შესრულების პროცესში სწრაფი პასუხის საჭიროება აიძულებს მოსწავლეს, იმუშაოს არა მხოლოდ მეხსიერებაზე, არამედ ოპერატიულ ანალიზზე, რაც არის ტრანსფერის რეალური აქტივაცია.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, კითხვებზე პასუხის გაცემის პროცესში, ცოდნის ტრანსფერი გამოვლინდა რამდენიმე დონეზე:

- **ფაქტობრივი ცოდნის გადატანა:** მოსწავლემ არა მხოლოდ გაიხსენა ლითონის დამუშავების ტექნოლოგია, არამედ ეს ცოდნა დააკავშირა სხვა ეპოქების ტექნოლოგიურ რევოლუციებთან (მაგ., ნეოლითური რევოლუცია);
- **მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მოძიება:** ბრინჯაოს ხანაში რესურსების არათანაბარი განაწილების გააზრებით მოსწავლემ აღმოაჩინა, როგორ იბადება სოციალური დიფერენციაცია ადამიანებს შორის;
- **„ღირებულებითი“ ტრანსფერი:** თრიალეთის ყორღნების შესწავლის მაგალითზე მოსწავლემ გაიაზრა, როგორ იყენებს საზოგადოება სიმბოლოებს სოციალური იერარქიის გამოსახატავად, და ამ იდეას ადარებს თანამედროვე პრაქტიკას (მაგალითად, მემორიალები, ეროვნული სიმბოლიკები).
- **პრაქტიკული ტრანსფერი:** ბრინჯაოს ხანის სახელმწიფოებრივი მართვის პრინციპები (სარწყავი სისტემების მართვა, სამართლის შექმნა და ა.შ.) დაეხმარა მოსწავლეს თანამედროვე სახელმწიფო მმართველობასთან პარალელების გავლებაში და ცნება „სახელმწიფოს“ უკეთესად გააზრებაში.

სქემა-ტრანსფერის სხვადასხვა საფეხური თემაზე „ბრინჯაოს ხანა და ძველი აღმოსავლეთი“

კითხვა	პროცესი	ტრანსფერის მაგალითი
„რა ტექნოლოგიურმა მიღწევამ განაპირობა ბრინჯაოს ხანის დასაწყისი?“	რეპროდუქტირება	ტექნოლოგიური ინოვაციის გამოყენება სხვა ეპოქების გაანალიზებისას (მაგალითად, თანამედროვე ტექნოლოგიური რევოლუციები).
„რატომ გაჩნდა ქონებრივი უთანასწორობა პირველყოფილ თემებში?“	რეპროდუქტირება + მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი	სოციალური უთანასწორობის მოდელის შექმნა სხვა საზოგადოებებზე (თანამედროვე სოციალური სტრუქტურების გააზრება).
„რატომ იყო აუცილებელი კანონების არსებობა ძველ სახელმწიფოებში?“	რეპროდუქტირება	პარალელები თანამედროვე სამართლებრივ სისტემებთან, კანონის სოციალური ფუნქციის გაცნობიერება.
„რატომ არის მნიშვნელოვანი ძველი აღმოსავლეთის შესწავლა თანამედროვე ისტორიული საზოგადოებისათვის?“	მაღალი დონის ტრანსფერი	ისტორიული გამოცდილების გადატანა პირად და საზოგადოებრივ ცნობიერებაზე.

აღსანიშნავია, რომ რეპოდუქცირება და ტრანსფერი თავად სათამაშო ტექნოლოგიის დინამიკასთან მჭიდრო კავშირშია:

- თამაშის პროცესში (რომელიც კითხვა-პასუხის სხვადასხვა რეჟიმით შეიძლება იყოს წარმოდგენილი, როგორიცაა – ვიქტორინა, კროსვორდი და სხვ.), მოსწავლეები ჯერ იხსენებენ ფაქტობრივ ცოდნას (რეპროდუქტირება), შემდეგ ამ ცოდნას გადაიტანენ ფართო კონტექსტში, ისეთ სიტუაციაში, რომელიც უშუალოდ არ ემთხვევა სწავლების საწყის პირობებს, იაზრებენ მნიშვნელობას, ადგენენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და ქმნიან ახალ ინტერპრეტაციებს (ცოდნის ტრანსფერი);
- მოსწავლეს, ფაქტობრივად, სწრაფი პასუხის საჭიროება აიძულებს, იმუშაოს არა მხოლოდ მეხსიერებაზე, არამედ ანალიზზე და ტრანსფერული ცოდნის ჩამოყალიბებაზე.

თამაშის ტექნოლოგია „სასწავლო დუელი“ ერთგვარი **დამაკავშირებელი მექანიზმი აღმოჩნდა, რომელმაც გააერთიანა** რეპროდუქტირება და ტრანსფერი (კითხვებზე სწრაფი პასუხის მეშვეობით მოსწავლემ ჯერ გაიხსენა ფაქტები, გამოიყენა ცოდნა, შემდეგ კი ამ ცოდნის საფუძველზე ახალი კავშირები დაამყარა). თამაშის ტექნოლოგიის სტრუქტურამ გააძლიერა მათი ურთიერთკავშირი და სასწავლო პროცესი ხარისხობრივად ახალ ეტაპზე აიყვანა.

„სასწავლო დუელის“, როგორც რეპროდუქტიული ხასიათის ინტერაქციული დავალების გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია ახალი მასალის გამყარების ეტაპზე, თემის შემაჯამებელ გაკვეთილზე და სასწავლო პროცესის სწრაფი შეფასებისას. მასწავლებელს შეუძლია მასზე დაყრდნობით შექმნას ინოვაციური სასწავლო გარემო და მიაღწიოს მაღალ აკადემიურ შედეგს.

ნინო ლაბარტყავა

პირველი ნაბიჯები სკოლაში: ტრანზიცია და პაწია ჭიანჭველას ამბავი

ხატვა ხელს უწყობს: თვითგამოხატვას, შემოქმედებითი აზროვნების, ემოციური ინტელექტის განვითარებას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ზღაპრის გაცნობის ამგვარი აქტივობები ავითარებს კომუნიკაციის უნარებს რაც თავის მხრივ მოზარდს უადვილებს ახალ გარემოში ადაპტაციას.

ყველასთვის ცნობილია, რომ სკოლის წარმატებულად დაწყება ბავშვებისთვის საკმაოდ გრძელვადიან პოზიტიურ შედეგებს უკავშირდება. განვითარებული ქვეყნების თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში უკვე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვების უმტკივნეულო გადასვლას (ტრანზიციას) ერთი სისტემიდან მეორეში.

ტრანზიციის პროცესი, ბავშვის საკეთილდღეოდ, მოიაზრებს სკოლის თანამშრომლობას ბავშვის ოჯახს, სკოლამდელ დაწესებულებასა და/ან ადრეული განვითარების მომსახურებას შორის.

ტრანზიციის პროცესი შემდეგ ნაბიჯებს გულისხმობს:

- სკოლაში დარეგისტრირებული ბავშვების მშობლებთან კომუნიკაციას ბავშვების საჭიროებებისა და მშობლების მოლოდინების შესასწავლად;
- ტრანზიციის პროცესზე პასუხისმგებელი პირისა თუ ჯგუფის გამოყოფას;
- კლასების დამრიგებლების განსაზღვრას;
- თანამშრომლობასა და ერთობივი ღონისძიებების განხორციელებას სკოლამდელ დაწესებულებასთან;
- სწავლის დაწყებამდე ბავშვებისა და მშობლების ვიზიტების ორგანიზებას – სადაც მოხდება მასწავლებლისა და ბავშვების გაცნობა;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის დამატებითი/გაფართოებული მხარდაჭერის უზრუნველყოფას;
- სკოლის დაწყების შემდგომ მხარდაჭერას – სკოლის პირველი დღეების დაგეგმვას; პროცესის შეფასებასა და თვითრეფლექსიას – პროცესის დახვეწის მიზნით.

სტატიაში ერთ სტრატეგიას შემოგთავაზებთ, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია სწავლის დაწყების შემდგომ. ქვემოთ მოყოლილი ზღაპარი ძალიან მოსწონდათ ჩემს მოსწავლეებს. მათთვის ეს იყო შესაძლებლობა, ესაუბრათ ახალი გარემოთი თუ ცვლილებებით გამოწვეულ ემოციებზე.

ამბავი პაწია ჭიანჭველაზე, რომელიც სკოლაში წავიდა

ერთი ტყის შუაგულში, მარწყვის მდელოზე, ჭიანჭველები ცხოვრობდნენ. უფროსი ჭიანჭველები ყოველ დღე სამსახურში დადიოდნენ. პატარა ჭიანჭველები კი ან ბებია-ბაბუასთან რჩებოდნენ, ან მშობლებს ჭიანჭველების საბავშვო ბაღში მიჰყავდათ.

მარწვის მდელოზე დრო სწრაფად გადიოდა და პატარა ჭიანჭველების სკოლაში შესვლის დროც მოახლოვდა. იცით, რას ასწავლიან ჭიანჭველების სკოლაში? კითხვას, წერას, თვლას, საინტერესო ამბებს ტყის ცხოვრებასა და იმ ჭიანჭველებზე, რომლებიც პატარა ჭიანჭველების დაბადებამდე ცხოვრობდნენ მდელოზე.

პატარა ჭიანჭველების სკოლაში შესვლა ტყის მდელოზე ნამდვილი ზეიმია. ამისათვის მშობელი

ჭიანჭველები საგანგებოდ ემზადებიან. გაინტერესებთ როგორ? პატარებისთვის ყიდულობენ ზურგჩანთებს, ფანქრებს და ხის ქერქისაგან დამზადებულ რვეულებს.

ჭიანჭველების სკოლას ასეთი წესი აქვს: სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, პატარა ჭიანჭველები მშობლებთან ერთად მიდიან სკოლში, რათა დაათვალიერონ ახალი გარემო. მასწავლებელი ჭიანჭველა სკოლის კართან ხვდება, ეცნობა პატარა ჭიანჭველებსა და მათ მშობლებს, აცნობს პატარებს თანაკლასელებს, ხან ზღაპარს უამბობს, ხან კი დიდ ლუპებს ურიგებს და სთხოვს, ერთად დააკვირდნენ მარწყვებსა და ხის ფოთლებს. ზოგჯერ პატარები თავისთვის თამაშობენ ეზოში. ჭიანჭველების სკოლაში თვლიან, რომ პატარები ასე ნელ-ნელა უკეთ შეეჩვევიან და შეიყვარებენ სკოლას.

და აი, დადგა სკოლაში წასვლის დღეც. პატარა ჭიანჭველები სკოლაში მშობლებმა მიიყვანეს. სკოლის კართან ისევ მასწავლებელი დახვდათ, თბილად მიესალმა და პატარები კლასში შეიყვანა. ზოგიერთი პატარა ჭიანჭველა ხალისით დარბოდა და მანამდე გაცნობილ მეგობრებს ეძებდა, ზოგს კი მაინც ღელვა ეტყობოდა. ასეთი იყო ჩვენი ზღაპრის მთავარი გმირიც, პაწია ჭიანჭველაც. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელს უკვე შეხვდა და რამდენიმე თანაკლასელთანაც ითამაშა, მაინც ძლიერად უცემდა გული და სულ დედაზე ფიქრობდა... შესვენებაზეც კი სულ მარტო იჯდა მოწყენილი. ისეც ხდებოდა, რომ ზოგჯერ, დილაობით, სკოლაშიც არ უნდოდა წასვლა. ასე გადიოდა დღეები და პაწია ჭიანჭველას ეგონა, აწი სულ ასე იქნებაო.

ერთ ჩვეულებრივ დღეს, პაწია ჭიანჭველა სკოლაში წასასვლელად ემზადებოდა. ცაც მოღრუბლული იყო და ეს კიდევ უფრო ასევდიანებდა მას. მოწყენილი სახით ცას შეჰყურებდა და ღრუბლებს ხან რას მიამსგავსებდა და ხან რას. ამ დროს დედამ თაფლიანი ბუტერბროდი გაუმზადა, შუბლზე აკოცა და შეახსენა, სკოლაში არ დაგაგვიანდესო.

პატარა ჭიანჭველა უხასიათოდ გაუდგა სკოლის გზას. ამ დროს ციდან წვიმის წვეთი ჩამოვარდა და პაწია ჭიანჭველას მხარზე მოკალათდა.

– გამარჯობა! – უთხრა წვეთმა. – რატომ ხარ მოწყენილი?

– გამარჯობა! რატომ და სკოლაში მივდივარ! – უპასუხა უხასიათოდ ჭიანჭველამ.

– სკოლაში?! და ეს ხომ ძალიან კარგია! მოსწავლე ყოფილხარ! მე კიდევ ღრუბლებიდან ვაკვირდები, როგორ დადიან პატარები სკოლაში და სულ ვოცნებობ, ნეტავ, წვეთებიც დავდიოდეთ სკოლაში-მეთქი.

– რა გინდა ამ სკოლაში! – გაუკვირდა პაწია ჭიანჭველას. – იცი, იქ რა ძნელია? მერხთან უნდა იჯდე, ყურადღებით ისმინო და თანაც, იქ დედა არ არის!

ყველასთვის ცნობილია, რომ სკოლის წარმატებულად დაწყება ბავშვებისთვის საკმაოდ გრძელვადიან პოზიტიურ შედეგებს უკავშირდება. განვითარებული ქვეყნების თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში უკვე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვების უმტკივნეულო გადასვლას (ტრანზიციას) ერთი სისტემიდან მეორეში.

– დედა ხომ სამსახურშია! – მხრები აიჩეჩა წვეთმა. – მასაც ხომ საქმე აქვს. მე კიდევ იცი რა მომწონს სკოლაში? პატარები წიგნებს რომ ათვალიერებენ, თამაშობენ და რაღაც „აბლაბუდებს“ რომ ხატავენ რვეულში.

– რა აბლაბუდებს! ეს ასოებია! – შეიცხადა ჭიანჭველამ.

– ასოებიო? – გაიკვირვა წვეთმა. – კიდევ რა გასწავლეს ამ სკოლაში?

– რა მასწავლეს და ... წელში გაიმართა პაწია ჭიანჭველა. – ასოებს ვსწავლობ, კიდევ ვიცი, რომ ასოებისგან იქმნება სიტყვები, სიტყვებისაგან წინადადებები და რომ კიდევ არსებობს ძალიან საინტერესო წიგნები.

– შენ რა, კითხვაც იცი? – ვერ მალავდა გაოცებას წვეთი.

– ყველა ასო ჯერ არ გვისწავლია. მხოლოდ რამდენიმე, მე ჯერ მასწავლებელი მიკითხავს, მაგრამ მალე ყველა ასო გვეცოდინება და ჩვენითაც წავიკითხავთ საინტერესო წიგნებს.

– ეეეჰ, მეც როგორ მინდა თქვენთან ერთად სწავლა! – ამოიხვნეშა წვიმის წვეთმა. – რამდენ საინტერესო ისტორიას იგებთ სკოლაში, რამდენ პატარა ჭიანჭველას იცნობთ! თან ეს ამბავი მარტო შენ კი არა, ალბათ შენს მშობლებსაც ახარებს. დაბრუნდები სკოლიდან და მოუყვები, ვის ეთამაშე, რა გააკეთე, რა გითხათ მასწავლებელმა. შენ გექნება დრო, როცა დამოუკიდებლად ახალ რაღაცებს ისწავლი და საღამოს ხალისით მოუყვები სხვებს!

– და იცი, რა ძნელია, ახალი რაღაცების სწავლა?!

– გეთანხმები, იოლი არ არის, მაგრამ სულ ადვილი რაღაცები რომ აკეთო მგონი მოგეწყინება! მაგრამ იცი, შენი კარგად მესმის. ზოგი ჭიანჭველა იოლად ეჩვევა სკოლას, ზოგს კი დრო უნდა. ყველა ჭიანჭველა ხომ ერთნაირი არ არის. მაგრამ, ჩემი აზრით, სკოლა და სახლი გავს კიდეც რაღაცით ერთმანეთს. ორივეგან უფროსები საინტერესო ამბებს ყვებიან, პატარებს ეხმარებიან, ასწავლიან და მხარს უჭერენ, არა? ახლა კი გაიქეცი, სკოლაში არ დაგავიანდეს! საღამოს კი მოუყევი დედიკოს, ვისთან ითამაშე, რა გაიგე ახალი.



– მართალი ხარ, წვეთო! მართლაც, არ დამაგვიანდეს! – გამოცოცხლდა პაწია ჭიანჭველა. – დროებით!

პატარა ჭიანჭველა სირბილით გაიქცა სკოლისკენ, კლასში შევარდა და ერთ კლასელ ჭიანჭველას მიუჯდა.

– გამარჯობა! – მიესალმა გაკვირვებული კლასელი – რა კარგია, დღეს რომ კარგ ხასიათზე ხარ!

– გამარჯობა! – გაუღიმა პაწია ჭიანჭველამაც.

ამ დროს კლასში მასწავლებელი შემოვიდა, მოსწავლეებს მიესალმა და დიდი, ფერადი ალბომი მაგიდაზე დადო.

პაწია ჭიანჭველამ გაიხედა ფანჯარაში. და იცით, რა იგრძნო? რომ მოღრუბლული ცა სულაც აღარ ეჩვენებოდა ისე სევდიანად, ვინაიდან იცოდა, რომ იქ ძალიან საყვარელი წვიმის წვეთები ცხოვრობდნენ, შემდეგ შეხედა მასწავლებელს და მიხვდა, რომ არც ის აღარ იყო მისთვის ძალიან უცხო და ისევ გაეღიმა. „მე მოსწავლე ვარ!“ გაიფიქრა ამაყად და ინტერესით შეხედა მასწავლებლის ფერად ალბომს.

საღამოს კი, როდესაც მშობლები დაბრუნდნენ სამსახურიდან, პაწია ჭიანჭველამ უამბო, რომ დღეს სკოლაში ისწავლეს ახალი ასოები, ერთი სასაცილო სიმღერა, დაათვალიერეს ჰერბარიუმი და რომ ახლა სასწრაფოდ უნდა დახატოს შემოდგომა, რადგან ასეთი საშინაო დავალება მისცა მასწავლებელმა. ხვალ კი ადრე უნდა გაიღვიძოს, ვინაიდან ერთი სული აქვს, თუ როდის აჩვენებს მასწავლებელს და კლასელებს საშინაო დავალებას.

ტექსტის წაკითხვის შემდეგ, შეგიძლიათ პატარა მოსწავლეებს მსგავსი შეკითხვები დაუსვათ:

შეკითხვები

1. სად ცხოვრობდნენ ჭიანჭველები?
2. რას ასწავლიან ჭიანჭველების სკოლაში?
3. ვინ დახვდა პატარა ჭიანჭველებს სკოლის კართან?
4. რას გრძნობდა პაწია ჭიანჭველა, როცა სკოლაში მიდიოდა?
5. რატომ იყო პატარა ჭიანჭველა მოწყენილი?
6. შენ რას გრძნობდი, როცა პირველად სკოლაში მიხვედი? / შენი აზრით, რას გრძნობენ პირველკლასელები, როცა სკოლაში მოდიან?
7. შენ რას ეტყოდი პაწია ჭიანჭველას, მოწყენილი რომ არ ყოფილიყო?
8. როგორ ფიქრობ, რით ჰგავს სკოლა სახლს?
9. დახატე ან მოიფიქრე შენი საყვარელი საგანი ან რაიმე, რაც ყველაზე მეტად მოგწონს სკოლაში.
10. წარმოიდგინე, რომ შენც შეხვდი ერთ პატარა წვეთს – რაზე ილაპარაკებდი მასთან?

ზღაპრის მოსმენის შემდეგ, ბავშვებს ძალიან მოეწონათ ილუსტრაციების შექმნა . ამით გამოხატეს საკუთარი ემოციები და დამოკიდებულებები. ხატვა ხელს უწყობს: თვითგამოხატვას, შემოქმედებითი აზროვნების, ემოციური ინტელექტის განვითარებას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ზღაპრის გაცნობის ამგვარი აქტივობები ავითარებს კომუნიკაციის უნარებს რაც თავის მხრივ მოზარდს უადვილებს ახალ გარემოში ადაპტაციას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. წულაძე, მ. (2021) მზად ვართ პირველკლასელების დასახვედრად – ბავშვების სკოლაში ტრანზიციის მხარდაჭერის სახელმძღვანელო. „ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისთვის“
2. Malaspina, D, Rimm-Kaufman, S.E ,,Early Predictors of School Performance Declines at School Transition Points.'' RMLE Online – Volume 31, No. 9
3. Хухлаева О. В. Тропинка к своему я. Генезис. 2004.

თინათინ ზარდიაშვილი

განვითარებიდან დაავადებამდე – სინციტინი-1-ის გენის დუალისტური ისტორია ადამიანის გენომში

ჩვენი გენომი, ერთი შეხედვით, უნიკალური და მხოლოდ ჩვენთვის დამახასიათებელი ინფორმაციის კრებულია, თუმცა მისი განხილვისას აღმოჩნდება, რომ უამრავ „უცხო“ ელემენტს შეიცავს. ისინი მილიონობით წლის წინ ჩვენ გენომში ვირუსების მიერ დატოვებული კვალია.

ჩვენი გენომი, ერთი შეხედვით, უნიკალური და მხოლოდ ჩვენთვის დამახასიათებელი ინფორმაციის კრებულია, თუმცა მისი განხილვისას აღმოჩნდება, რომ უამრავ „უცხო“ ელემენტს შეიცავს. ისინი მილიონობით წლის წინ ჩვენს გენომში ვირუსების მიერ დატოვებული კვალია. ერთ-ერთი ასეთი მოულოდნელი „სტუმარია“ გენი, სახელად ERVW-1, ის ჩვენი გენეტიკური კოდის განუყოფელი ნაწილი გახდა. აკოდირებს ცილას სინციტინი-1. ამბავი ორსულობის პერიოდში იწყება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პლაცენტის აშენებით, თუმცა ზოგჯერ მთავრდება მიელინის გარსის დაზიანებითა და გაფანტული სკლეროზის ჩამოყალიბებით. ე.ი. ვირუსის გენი სიცოცხლეს აშენებს და ანგრევს კიდეც.

გთავაზობთ რესურსს, რომლითაც ბიოლოგიის გაკვეთილზე არა მხოლოდ თეორიული ცოდნის გადაცემას შეძლებთ, არამედ კრიტიკული აზროვნებისა და კვლევითი უნარების განვითარებასაც შეუწყობთ ხელს. სტატია საშუალებას მოგცემთ, მოსწავლეებს აჩვენოთ, როგორ ურთიერთქმედებს ევოლუცია, გენეტიკა, მედიცინა და ვირუსოლოგია. ეს არის ისტორია, რომელიც ადასტურებს, რომ ჩვენი გენომი ცოცხალი და დინამიკური არქივია, სადაც წარსულის მოვლენები მომავალზე ახდენს გავლენას.

მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს შესთავაზოს აქტივობები, რომლებიც გაკვეთილს ინტერაქციულსა და საინტერესოს გახდის:

აქტივობა 1: ქეისის ანალიზი – პრობლემის გადაჭრა

- **დავალება:** მოსწავლეები დაიყოფიან ჯგუფებად და თითოეული ჯგუფი გააანალიზებს სტატიაში დასმულ კითხვას;
- **შედეგი:** მოსწავლეები შექმნიან პრეზენტაციას ან პოსტერს, სადაც წარმოადგენენ პასუხს.

აქტივობა 2: დებატები

- **სავარაუდო თემა** – „ენდოგენური რეტროვირუსები – გენომის მავნე ნარჩენები თუ სასარგებლო სტუმრები“.
- **შედეგი:** მოსწავლეები გაიყოფიან ორ ჯგუფად და თითოეული ჯგუფი განიხილავს ვირუსის გენის როლის არგუმენტებს გენის სასარგებლოდ ან პირიქით; მოსწავლეებში კომუნიკაციისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარებს გააუმჯობესებს.

აქტივობა 3: ინფოგრაფიკის შექმნა:

- **დავალება:** მოსწავლეები წყვილებში შექმნიან ინფოგრაფიკს, რომელიც ასახავს სინციტინ-1-ის მოგზაურობას, ვირუსული გენიდან პლაცენტის ჩამოყალიბებამდე და ბოლოს დაავადების განვითარებამდე.
- **შედეგი:** აქტივობა ხელს შეუწყობს რთული ინფორმაციის მარტივად და გასაგებად გადმოცემას.

აქტივობა 4: კითხვა პასუხი „ვირუსოლოგები“

- **დავალება:** მასწავლებელი მოსწავლეებს შესთავაზებს, წარმოიდგინონ თავი ვირუსოლოგად და დასმულ კითხვებს უპასუხონ სამეცნიერო ტერმინების გამოყენებით.
- **შედეგი:** აქტივობა ხელს შეუწყობს ტერმინების დამახსოვრებას და ცნებების გააზრებას.

აქტივობა 5: თავსატეხი – ეს აქტივობა უფრო თამაშს ჰგავს, ის ხელს უწყობს კომუნიკაციასა და თანამშრომლობას.

- *ნაბიჯი 1: მოსწავლეები დაყავით 2-3-კაციან ჯგუფებად;*
- *ნაბიჯი 2: დაწერეთ ლექსიკონის ყველა ტერმინი ცალ-ცალკე ფურცელზე;*

www.mastsavlebeli.ge

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

ირმა ტაველიძე

საბედისწერო უფსკრულებთან: გერონტი ქიქოძის ჩანაწერები

ვეძებ. სულ ვეძებ ასეთ საკითხავს, ახლიდან, ახლებურად რომ დამანახებს იმას, რაც იყო. წარსულს, რომლის შესახებ ნათქვამ სიტყვას, თვითმხილველისას, ფართოდ თვალგახელილი მოწმისას დიდი ფასი აქვს. მეორეა, როგორ წერს გერონტი ქიქოძე, როგორი ენით. მისი ჩანაწერების პატარა წიგნს, ახლად გამოცემულს, სხვა წიგნის ძებნისას გადავაწყდი, ვიყიდე და კითხვა დაუყოვნებლივ დავიწყე.

გასული საუკუნის პირველი ნახევრის მთავარი ამბების მოყოლისას ავტორი მათაც საყურადღებოდ აღწერს, ვინც მკაფიოდ გასარჩევი კვალი დატოვეს, ვისმა გადაწყვეტილებებმაც – გაუმართლებელმაც, გამართლებულმაც – ისტორია მეტ-ნაკლებად შეცვალეს. არც „დემაგოგიური აქცენტის ტლანქ მატერიალიზმთან“ ერთად „ზნეობრივი ოპტიმიზმის“ მქადაგებელი ნოე ჟორდანიაა დავიწყებული და არც ლავრენტი ბერია, რომლის ყურებსაც „ყველაფერი ესმოდათ, თვით ქალ-ვაჟის ჩურული სიყვარულის სარეცელზე, თვით მრგვალი მაგიდის გარშემო მსხდომარე მეგობრების ნელი საუბარი; რაც შეეხება სულთმობრძავთა ხრიალს, მას თბილისის დიქტატორი ისე იყო შეჩვეული, რომ ალბათ მისი შეწყვეტისთანავე ეღვიძებოდა, როგორც ეღვიძება მეწისქვილეს, როცა დოლაბის ხრიალი ჩერდება“.

მომნუსხველი შედარებები მრავლადაა ამ წიგნში, რომელშიც მწერლებსაც შევხვდებით, ყველაზე სახელიან შემოქმედებს. მიხეილ ჯავახიშვილის გარეგნობის აღწერას ავტორი შემდეგ სიტყვებს მოაყოლებს: მახვილ ჭკუასთან ერთად რაღაც ბავშვურ გულუბრყვილობასაც ავლენდაო. იქვე კი მის „მტკივნეულ პატრიოტიზმსაც“ ახსენებს. დაუფარავად დასცინის გრიგოლ რობაქიძეს – დიდად პატივმოყვარე იყო და ფიქრობდა, რომ სამშობლოში მის ნიჭს სათანადოდ არ აფასებდნენო: „გადაწყვიტა, ხმალი გადაეტეხა ბაზალეთის ტბასთან დამარცხებულ გიორგი სააკაძესავით და უცხოეთში გადახვეწილიყო, რათა იქიდან უმადური თანამემამულეების დაპყრობა ეცადნა“.

მძიმეა 1921 წლის 24 თებერვლის მოგონება. ცოტა ხნით ადრე თბილისში დარწმუნებულები იყვნენ, რომ „ქართული დემოკრატიის კიდობანი მტკიცედ იყო შეკრული და ყოველ წარღვნას გაუძლებდა“. მაგრამ დადგა დღე, რომელმაც თავის მოტყუება შეუძლებელი გახადა. „24 თებერვალს ერთს ჩემ მეგობართან ერთად უძილო ღამე გავატარე, – წერს გერონტი ქიქოძე. – ქალაქის ქუჩებში საოცარი სიჩუმე იდგა. თოვლის ფანტელები უხმოდ ეცემოდნენ ქვაფენილებს. უკან ჩამორჩენილი ჯარისკაცები ჩრდილებივით მოძრაობდნენ, ზოგი მათგანი კედელზე აყუდებდა ან მიწაზე აგდებდა თავის თოფსა და სავაზნეს. ქალაქი ჩაბნელებული იყო“. მარტში რევოლუციური კომიტეტი მას დასავლეთ საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად აგზავნის. გასავლელი გზის სირთულეს საშინელი სიცივეც ემატება: „კაცს ეგონებოდა, დარიალის კარი ფართოდ გაიღო და ჩრდილოეთის უსაზღვრო სივრცეებიდან საქართველოში სუსხიანი ქარები შემოიჭრნენო“.

30-იანი წლების ქრონიკა კიდევ უფრო გულისმომკვლელია. შიში და უიმედობის, უმომავლობის განცდა. სიკვდილის დაუჯერებელი სიახლოვე. ყოველ ნაბიჯზე დაგებული ხაფანგები. „დატყვევებულთა ერთ ნაწილს კონვეიერის სისტემით ხოცავდნენ, როგორც ხარებს ხოცავენ



ჩიკაგოს სასაფლაოზე, ხოლო მეორე ნაწილს შრომის ბანაკებში გზავნიდნენ, სადაც მათ ნელ-ნელა ჩაფერფვლა ელოდათ, აუტანელი შრომისა და საკვების ნაკლებობის გამო“, – ვკითხულობთ წიგნში, რომლის ავტორი იმასაც ამბობს, შიშის მიზეზი ისიც იყო, რომ ხალხი ხედავდა – კომუნიზმი მეტისმეტად სწრაფად მიჰქროდა საბედისწერო უფსკრულების ნაპირასო.

ბევრი დასამახსოვრებელი ამბავია გერონტი ქიქოძის ჩანაწერების ამ წიგნში, ბევრი ისეთი დაკვირვება თუ შეფასებაა, წარმოსახვასაც რომ აღიზიანებს და შემაწუხებელ შეკითხვებსაც აჩენს. მაინც რა ჩანს წარსულის უფსკრულებში? მაინც სადამდე მივაწვდინეთ თვალი?

ამასწინათ ჩემი სკოლის მეგობარს შევხვდი, მასაც ჩემი შვილის ასაკის შვილი ჰყავს, ანუ გაგანია თინეიჯერი – 14 წლის. მოვიკითხმივიკითხეთ ერთმანეთი, კლასელების ამბები, მშობლების ჯანმრთელობა, შვილებსაც მივადექით:

– არის რა, ისევე როგორც მისი ასაკის ყველა ბავშვს, მეცადინეობა აღარ უნდა – მითხრა თავისი და, უნდა ვაღიარო, ჩემი გულისტკივილიც. ჩემთანაც იგივეა, 13 წლის გახდა თუ არა, მეცადინეობა მისთვის საძულველი რუტინა გახდა, მე კი, ვიღაც საშინელი ოჯახის წევრი, რომელიც სწავლას აიძულებს.

თინეიჯერობა, ასაკობრივ, ჰორმონალურ, ფსიქოლოგიურ ცვლილებებთან ერთად აკადემიური წესრიგის ცვლილებაცაა, სწავლების საბაზო და მაღალი საფეხურის მასწავლებლები დამეთანხმებიან, რომ თანდათანობით სწავლის მოტივაცია იკლებს და მეცადინეობის პროცესიც უფრო და უფრო რთული ხდება.

აქვე, რა თქმა უნდა, არსებობენ მოსწავლეები, რომლებიც ყველა ასაკსა და მდგომარეობაში იდეალური სასწავლო უნარებით, პასუხისმგებლობითა და მოტივაციით არიან აღსავსენი, მათ მშობლებსა და მასწავლებლებს გაუმართლათ, ეს სტატია მათთვის არ არის.

მოკლედ, მოტივაცია იკლებს, პასუხისმგებლობა კი ჯერ არაა სათანადო სიმაღლეზე, შედეგად კი – შეუსრულებელ დავალებებსა და გაუარესებულ აკადემიურ მოსწრებას ვიღებთ.

მთავარი ამ ასაკში – დამოუკიდებლად მეცადინეობის ჩვევაა, რომელიც დაწყებითი კლასების მთავარი ნაყოფი, შედეგი თუ უნარია, მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ ეს ჩვევა სათანადოდ ვერ განვითარდა? ჩვენ, ყველანი, ხანდახან ხომ ვყოფილვართ მშობლები, რომლებიც მოსწავლეებს გვერდით ვუსხედვართ და მეცადინეობაში ვეხმარებით, ზოგჯერ ამის გარეშე უბრალოდ შეუძლებელია.

დამოუკიდებლად მეცადინეობა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უნარი, რომელიც მოსწავლეს სკოლის გარეთაც მოჰყვება – უნივერსიტეტში, სამსახურსა თუ პირად ცხოვრებაში. თუმცა, მოზარდისთვის ეს პროცესი მარტივი არაა: ის მოითხოვს მოტივაციას, დროის მართვას, თვითორგანიზებასა და პასუხისმგებლობას. ამ უნარის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი აქვთ მასწავლებლებსა და მშობლებს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ეს დახმარება გახდეს თანადგომა და არა ზედამხედველობა.

სხვადასხვა კვლევით დადგენილია, რომ წარმატებული მოსწავლეები, თავად ადგენენ მიზნებს, გეგმავენ სწავლის პროცესს, იყენებენ სტრატეგიებს და ახდენენ თვითშეფასებას. ანუ დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევა, სწავლისა და სწავლების სტრატეგიების ცოდნა პირდაპირ დაკავშირებულია წარმატებასთან, ეს მნიშვნელოვანი მოდულია, რომლის განვითარება სწავლების ერთ-ერთი პრიორიტეტია.

როგორ დავეხმაროთ მოზარდს სრულყოფილი და ორგანიზებული დამოუკიდებელი სწავლის პროცესის განვითარებაში?

1. სწავლის რუტინის შექმნა: მოზარდს სჭირდება სტაბილური გარემო, რომელშიც სწავლა მისი ცხოვრების ბუნებრივ ნაწილად იქცევა.
2. დროის განსაზღვრა – მაგალითად, ყოველდღე ერთსა და იმავე დროს გამოვყოფთ სამეცადინო საათს.

დიანა ანფიმიადი

დამოუკიდებელი მეცადინეობა მოზარდებში: პასუხისმგებლობა და რუტინა

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
გაკვეთილების ცხრილი 1. 2. 3. 4. 5. 6. 7.	გაკვეთილების ცხრილი 1. 2. 3. 4. 5. 6. 7.	გაკვეთილების ცხრილი 1. 2. 3. 4. 5. 6. 7.	გაკვეთილების ცხრილი 1. 2. 3. 4. 5. 6. 7.	გაკვეთილების ცხრილი 1. 2. 3. 4. 5. 6. 7.		
წერითი დავალება	წერითი დავალება	წერითი დავალება	წერითი დავალება	წერითი დავალება	წერითი დავალება	
ზეპირი დავალება	ზეპირი დავალება	ზეპირი დავალება	ზეპირი დავალება	ზეპირი დავალება	ზეპირი დავალება	
ყველაზე რთული დავალება	ყველაზე რთული დავალება	ყველაზე რთული დავალება	ყველაზე რთული დავალება	ყველაზე რთული დავალება	ყველაზე რთული დავალება	
ყველაზე მარტივი დავალება	ყველაზე მარტივი დავალება	ყველაზე მარტივი დავალება	ყველაზე მარტივი დავალება	ყველაზე მარტივი დავალება	ყველაზე მარტივი დავალება	
დრო გამეორებისათვის	დრო გამეორებისათვის	დრო გამეორებისათვის	დრო გამეორებისათვის	დრო გამეორებისათვის	დრო გამეორებისათვის	
დამატებითი მასალა	დამატებითი მასალა	დამატებითი მასალა	დამატებითი მასალა	დამატებითი მასალა	დამატებითი მასალა	
თვითშეფასება: რა გამირთულდა რა გამიადვილდა რა მოვასწარი რა ვერ მოვასწარი	თვითშეფასება: რა გამირთულდა რა გამიადვილდა რა მოვასწარი რა ვერ მოვასწარი	თვითშეფასება: რა გამირთულდა რა გამიადვილდა რა მოვასწარი რა ვერ მოვასწარი	თვითშეფასება: რა გამირთულდა რა გამიადვილდა რა მოვასწარი რა ვერ მოვასწარი	თვითშეფასება: რა გამირთულდა რა გამიადვილდა რა მოვასწარი რა ვერ მოვასწარი	თვითშეფასება: რა გამირთულდა რა გამიადვილდა რა მოვასწარი რა ვერ მოვასწარი	

3. ფიზიკური სივრცის ორგანიზება – მშვიდი, მოწესრიგებული ადგილი განათებით, ნივთებით, რაც ყურადღებას არ უფანტავს.
4. მიზნების დასახვა და დაგეგმვა: სწავლა გაცილებით ეფექტურია, როდესაც მოსწავლის დავალებები კონკრეტულ, მიზნობრივად შესასრულებელ ამოცანად არის დახარისხებული. მნიშვნელოვანია, რომ ეს ამოცანები სწორად – მარტივიდან რთულისკენ.
5. ყოველდღიური და კვირეული გეგმის შექმნა: მოზარდს დაეხმარეთ კვირის გეგმების შედგენაში. თავდაპირველად – ერთობლივად შეადგინეთ, შემდეგ – ის დამოუკიდებლად შეადგენს. მნიშვნელოვანია, დავიცვათ ბალანსი: ზედმეტი კონტროლი ამცირებს მოზარდის მოტივაციას და ზრდის დაძაბულობას. ფსიქოლოგიური კვლევები აჩვენებს, რომ ავტონომიის განცდა – ზრდის მოტივაციას, ინტერესსა და პასუხისმგებლობას.
6. მასწავლებლობანა – ყველაზე უკეთ ვიცით ის, რისი ახსნაც სხვებისთვის შეგვიძლია, ამიტომ მეგობრებისა და კლასელების ჯგუფური მუშაობა, ან შთაბეჭდილებისა და ცოდნის ოჯახის წევრებისთვის გაზიარება კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს მოზარდის ცოდნას.
7. გადატვირთულობა: შეამოწმეთ რეალისტურია თუ არა გეგმა, დაუშვით სასწავლო გრაფიკში თავისუფალი დრო, სუნთქვის საშუალება და, რაც მთავარია, არ გამოიყენოთ სწავლა როგორც დასჯის ფორმა.
8. გამეორება – პერიოდული გადახედვა ამტკიცებს ცოდნას და ააქტიურებს ინფორმაციას. გამეორების დღეების გრაფიკი შეგიძლიათ ცვალოთ, – პირველი, მესამე და მეშვიდე დღე.

იხილეთ ცხრილის ფორმა დამოუკიდებლად მეცადინეობის უნარის გასავითარებლად (წარმოდგენილია ერთი კვირის გეგმა): ამ ცხრილის შევსება მოსწავლეს მისცემს საშუალებას, თავად გადაანაწილოს სამუშაო, დრო, შესასრულებელი ამოცანების მიმდევრობა და არაფერი გამორჩეს.

შორენა ტყეშელაშვილი

როგორ ყალიბდება მკითხველი

„არ მომწონს თანამედროვე საბავშვო წიგნები. მე ჯერ პატარა ვარ და არ მინდა, ვიცოდე, როგორ კოცნიან გოგოები ბიჭებს; არ მინდა, ვიცოდე, რას ნიშნავს სექსი. ეს ინფორმაცია ჩემთვის ჯერ ძალიან ადრეა. სამაგიეროდ, შემიძლია გაუჩერებლად ვიკითხო ძველი საბავშვო წიგნები, მაგალითად ასტრიდ ლინდგრენის – პეპი გრძელიწინდა, კარლსონი, მადიკენი... ისეთი წიგნები, რომლებიც ძველი ცხოვრების ამბებს გვიყვებიან. იქ გმირები პატარა სოფლებსა და დაბებში ცხოვრობენ, არ აქვთ თანამედროვე ნივთები, დღესასწაულებს მხიარულად ზეიმობენ“, – გამიზიარა შთაბეჭდილება ერთმა პატარა მკითხველმა.

თუ ეს შესავალი უკვე წაიკითხე, ალბათ ჩემსავით იფიქრე, რომ პატარა მკითხველი საკმაოდ კრიტიკულია, თავად აკეთებს არჩევანს წიგნებს შორის, ტექსტს დამოუკიდებლად და თამამად აფასებს, თავად გვკარნახობს, როგორი წიგნები არის მის სამყაროსთან უფრო ახლოს, რა იზიდავს, რის ნახვა სურს ტექსტში... ვფიქრობ, ეს ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანი უნარია.

როგორ ყალიბდება მკითხველი?

მკითხველად ჩამოყალიბება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია ბავშვის პიროვნული და ინტელექტუალური განვითარების პროცესში. წიგნიერ გარემოში, სადაც წახალისებულია ბავშვების ურთიერთობა ტექსტებთან, ჯერ ჩნდება წიგნის მიმართ ბავშვის გამოხატული ინტერესი, შემდეგ ინტერესი კითხვის ჩვევაში გადაიზრდება, ბოლოს კი მკითხველი ტექსტის კრიტიკული და დამოუკიდებელი შემფასებელი ხდება.

ბავშვი წიგნების სამყაროში გზას ბუნებრივად მიიკვლევს, ის კითხულობს ყველაფერს, რაც ხელში მოხვდება, რასაც უფროსები მიაწოდებენ, რასაც მეგობრები ურჩევენ. მას ჯერ კიდევ არ აქვს კარგად ჩამოყალიბებული ლიტერატურული გემოვნება, არ აქვს გამოკვეთილი საყვარელი ლიტერატურული ჟანრი. მისთვის ყველაზე მთავარი – კითხვის პროცესით ტკბობა და ახალი ამბების აღმოჩენის სიხარულია. სწორედ ასე ეყრება საფუძველი მკითხველის გზას ლიტერატურის სამყაროსკენ.

კითხვის პროცესს, კითხვის ჩვევის განმტკიცებას, პირველ რიგში, მშობლები და გარემო უწყობენ ხელს, სადაც ბავშვი იზრდება და ვითარდება. ამიტომ, უაღრესად მნიშვნელოვანია, დაინტერესებულ პატარა მკითხველს მივაწოდოთ ისეთი საბავშვო ლიტერატურა, რომელიც შეესაბამება მის ასაკს, ინტერესებსა და გონებრივ შესაძლებლობებს. სწორად შერჩეული წიგნები, არა მარტო კითხვის სურვილს აღვივებს, ასევე ავითარებს ფანტაზიას და ბავშვის ემოციურ გამოცდილებასაც ამდიდრებს.

რა არის კითხვის მიზანი?

როდესაც ბავშვი წიგნს კითხულობს, მისი მთავარი მიზანია, იმოგზაუროს ამ სამყაროში, წარმოისახოს წაკითხული, იფანტაზიოროს და ისიამოვნოს ამ პროცესით. პატარა მკითხველი ამ დროს ნამდვილად არ ფიქრობს იმაზე, როგორ გაიმდიდროს ლექსიკური მარაგი, კრიტიკული თვალით წაიკითხოს ტექსტები, წაკითხულიდან შინაარსი გამოიტანოს, დეტალები საგანგებოდ დაიმახსოვროს, შემოქმედებითად განვითარდეს და ა.შ. მისი მთავარი საფიქრალი კითხვის პროცესით ტკბობაა, დანარჩენი კი, რაც ასე ძალიან გვსურს მივიღოთ წიგნებისგან, ძალდაუტანებლად მოდის პატარა მკითხველთან, ილექება მის გონებაში და თანდათან იწყებს გაცოცხლებას ახალი ცოდნის სახით ყოველდღიურ ცხოვრებაში.

შემდეგ ეტაპზე, როდესაც პატარა მკითხველი კითხვის გარკვეულ გამოცდილებას იძენს, ის ასევე იწყებს ტექსტის კრიტიკულ კითხვასაც.

ეს გულისხმობს:

- კითხვა-პასუხის გზით სიუჟეტის გააზრებას;
- პერსონაჟების ქცევისა და მოტივაციის შეფასებას;
- ტექსტში არსებული ღირებულებების გადამოწმებას პირად გამოცდილებასთან და ღირებულებებთან;
- ავტორის პოზიციის ამოცნობას;
- საკუთარი პოზიციის დასაბუთებას.

ერთ-ერთი საკვანძო კომპეტენცია

კრიტიკული აზროვნების განვითარება ერთ-ერთი საკვანძო კომპეტენციაა თანამედროვე სამყაროში, რომელიც ბავშვს/მოზარდს აძლევს იმის საშუალებას, აღარ იყოს მხოლოდ ტექსტის მიმღები, არამედ შეაფასოს, შეადაროს, ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრები და შეხედულებები გაბედულად.

ამიტომ მკითხველად ჩამოყალიბება გულისხმობს იმასაც, რომ მომავალში მოზარდმა შეძლოს, სწორად და კონსტრუქციულად ჩამოაყალიბოს საკუთარი სათქმელი და არ დაავიწყდეს სამყაროს კრიტიკული აღქმაც.

სკოლა და მასწავლებელი

კარგი მკითხველის ჩამოყალიბების პროცესში მასწავლებლის როლი გადამწყვეტია. კარგ პედაგოგს შეუძლია ცოცხალ, შემოქმედებით დიალოგად გადააქციოს წიგნის კითხვის პროცესი, მოსწავლეებთან ერთად კარგად შეისწავლოს ტექსტი, დასვას განმავითარებელი კითხვები, მოაწყოს დისკუსია კლასში, სადაც მოსწავლეები იმსჯელებენ, გაცვლიან აზრებს და მიეჩვევიან განსხვავებული შეხედულებების პატივისცემასაც. ბავშვებთან ერთად ერთობლივი ხმამაღლა კითხვა, პერსონაჟების გახმოვანება როლური თამაშებით, წაკითხულის დაკავშირება რეალურ ცხოვრებასთან, ყოველდღიურ მოვლენებთან – მკითხველად ჩამოყალიბების პროცესის შემადგენელი ელემენტებია.

სწრაფად ცვალებად სამყაროში, სადაც ბავშვები მეტ დროს ციფრულ მოწყობილობებთან ატარებენ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობა ბავშვის ინტელექტუალური და პიროვნული განვითარების ხელშეწყობისთვის. სწორედ ოჯახში იქმნება პირველი მყუდრო და მშვიდი განწყობა კითხვისთვის, რაც შემდეგ სკოლაში უნდა გაგრძელდეს ცოცხალი დიალოგის სახით – სადაც მოსწავლეს და მასწავლებელსაც ექნებათ საშუალება – ისაუბრონ წიგნებზე, იკამათონ ტექსტებზე და ერთად იკითხონ, რაც იქნება გაგრძელება მომავალი მკითხველის წიგნების სამყაროში მოგზაურობისა.

ისე მოხდა, რომ შარშანაც და წელსაც ზაფხულის რამდენიმე დღე მოზარდებისთვის განკუთვნილ ბანაკში, ლიდერისა და სპიკერის როლში გავატარე. პროგრამა ორივე წელს ერთნაირი იყო, განსხვავება კი უზარმაზარი – მარტივი დავალებები, რომლის გასაკეთებლადაც წინა წელს ბავშვებს ნერვიულობა, აზრთა-გაცვლა-გამოცვლა, დროის კონტროლი, როლების განაწილება და ზოგჯერ უფროსების ჩართულობაც სჭირდებოდა, ახლა წამებში სრულდებოდა. დავწეროთ ჰიმნი ბანაკისთვის – რა პრობლემაა; შევიმუშაოთ პროექტი, რომელიც ჩვენს თემში ცვლილებებს გამოიწვევს – ახლავე. ხელოვნური ინტელექტის ჩეტბოტებით აღჭურვილები ვხუმრობდით, რომ იმასაც კი CHATGPT-ს ეკითხებოდნენ, როგორ გრძნობდნენ თავს ახლა ან რა იყო პრობლემა, რომლის გადაჭრაც ყველაზე მეტად უჭირდათ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს დღეები იმის ასახსნელადაც გამოვიყენე, როგორ უნდა გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტი უნარების განსავითარებლად და არა საკუთარი თავის ჩამნაცვლებლად; ვილაპარაკე, როგორი მარტივია გაწაფული თვალისთვის ჩეტბოტის სინტაქსის ამოცნობა და რა უხერხული, როცა, მაგალითად, რაიმე პროგრამაში მონაწილეობაზე უარს მხოლოდ იმიტომ მიიღებ, რომ შენს მაგივრად ხელოვნურ ინტელექტს დააწერინე სამოტივაციო წერილი თუ რაიმე სხვა ტექსტი, მაინც გამომყვა ფიქრი იმაზე, როგორ შეცვლის როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური სწავლის ამ დრომდე ჩვენთვის ნაცნობ მოდელს ხელოვნური ინტელექტი. ამ საფიქრალის ნაწილია ტექნოლოგიებთან არამეგობრულ ურთიერთობაში მყოფი მასწავლებლები და მშობლები, რომლებიც შეიძლება ვერ მიხვდნენ AI-ის კონცენტრაციის დონეს მათი მოსწავლეების ცხოვრებაში და გაუჭირდეთ პრობლემის დროულად და სრულად იდენტიფიცირება. ცხოვრება ასეთია, ახალგაზრდები ყოველთვის უფრო სხარტები და მოხერხებულები არიან, ვიდრე უფროსები, რომლებიც მათ ნაცვლად იღებენ გადაწყვეტილებებს და ქმნიან სისტემებს, რომელთაგან თავის დაძვრენა არც თუ იშვიათად იქცევა ხოლმე ბავშვების მთავარ ამოცანად.

პანდემიამაც აჩვენა და ხელოვნური ინტელექტის აღზევებაც მხოლოდ ადასტურებს იმას, რომ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი გახდება **ინდივიდუალური საჭიროებების გამოკვეთა** და სასწავლო პროცესის ამის მიხედვით დაგეგმვა – ერთ ყალიბზე მოჭრილი სასწავლო გეგმები უმეტესობისთვის მოსაწყენი და არაფრისმთქმელია. ბავშვებმა ადრეული ასაკიდან ისწავლეს ინტერნეტში მათთვის საინტერესო კონტენტის პოვნა და უინტერესოს გამოხშირვა. და როცა სკოლა მათ ამ არჩევანს არ აძლევს, ის უბრალოდ ითიშება, ვეღარც იმას მიჰყვება, რაც აინტერესებს და არც იმის გამოტოვება შეუძლია, რაც ნაკლებად იზიდავს. არჩევანი, რომელიც ეკრანებთან უზრუნველყოფილია, სკოლამაც

ნასტასია არაბული

როგორ შეცვლიან სწავლის მოდელს ხელოვნური ინტელექტით შეიარაღებული ბავშვები?

უნდა უზრუნველყოს – სხვა შემთხვევაში ის გადაიქცევა ადგილად, სადაც ბავშვები უბრალოდ საათებს და წლებს დაითვლიან ხან გაკვეთილის, ხან სკოლის დამთავრებამდე, ცოდნას კი სხვადასხვა „პარტიზანული გზით“ მაინც დამოუკიდებლად მიიღებენ.

ასევე გამოსაკვეთია, **რას ვგულისხმობთ, როცა ცოდნის გადაცემაზე ვლაპარაკობთ** – ეს არის კონკრეტული ინფორმაციის გადაცემა ბავშვებისთვის თუ უნარების გადაცემა, ადაპტირების ჩვევების გამომუშავება, დიდ ინფორმაციულ ნაკადებში გზის გაკვლევის ხრიკების სწავლება, ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვის პრაქტიკების დაუფლება, მიმდინარე პროცესების ფრთხილად და კრიტიკულად მეთვალყურეობა, უწყვეტი განათლების პრინციპების გათავისება ადრეული ასაკიდანვე თუ გადარჩენისთვის საჭირო ჩვევებით მათი აღჭურვა. ყველა ის ცოდნა, რომელიც დღევანდელი ბავშვების მშობლებსა და მასწავლებლებს სავალდებულოდ უნდა მიგვეღო სკოლაში და არცთუ იშვიათად, საზეპიროდაც, დღეს წამში მოძიებადია – მაგრამ რამდენმა იცის ამ ცოდნის გამოყენება. როგორ ვასწავლით აურაცხელ ინფორმაციასთან მუშაობას ბავშვებს? – ამ კითხვაზე პასუხი ჯერ კიდევ მოსაძებნია.

ალბათ მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ იმ წვრილმანი საქმეების უმეტესობა, რასაც დღეს ადამიანები აკეთებენ არცთუ ისე მიმზიდველი ანაზღაურებისთვის, მომდევნო წლებში ავტომატიზებული გახდება და მათ რობოტები უფრო აკურატულად და, სავარაუდოდ, იაფადაც გააკეთებენ – ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ **ადამიანი უფრო ჭკვიანი უნდა იყოს**, რომ შეძლოს არა წვრილმანი სამუშაოების შესრულებით ირჩინოს თავი, არამედ თავად იყოს კონკურენტუნარიანი და საინტერესო ციფრული წიგნიერებისა და ინტელექტუალურ ტექნოლოგიებთან მუშაობის თვალსაზრისით. იმის სწავლა, როგორ ვისწავლოთ, გადარჩენისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი გახდება, უწყვეტი განათლების პრინციპი კი ცხოვრების წესი, თუ გვინდა მუდმივად ცვალებად სამყაროს საინტერესო და მეტ-ნაკლებად კეთილმოწყობილი ცხოვრება გამოვტყუოთ.

უფრო მეტად დაფასდება შემოქმედებითი უნარები და პრობლემების მოგვარების არაორდინარული გზები – ხელოვნურმა ინტელექტმა შეიძლება ისწავლოს ის გამოცდილებები, რომლებიც უკვე აქვს კაცობრიობას, თუმცა რთულად წარმოსადგენია, რომ მან, მაგალითად, თანაგრძნობით გამსჭვალულმა რამე ისეთი მოიფიქროს, რაც ინოვატორ, მამაც და გამბედავ ადამიანს შეუძლია გააკეთოს. ბავშვებს ალბათ ესეც უნდა ვასწავლოთ, დრო არ დაკარგონ იმის კეთებაში, რასაც რობოტები მათზე უკეთ და სწრაფად გააკეთებენ, მაგრამ მეტად განივითარონ ის მხარეები, რომლებიც ადამიანს ადამიანად აქცევს.

სკოლები ალბათ უფრო ნაკლებად უნდა იყოს სწავლების და მეტად სოციალური უნარების განვითარების ადგილი – უკვე დღეს არაერთი მოსწავლე ახასიათებს სასწავლო პროცესს, როგორც მოსაწყენსა და სტრესულს. სკოლა უნდა იქცეს ექსპერიმენტების, განვითარებისა და ცვლილებების ადგილად. ეს უნდა იყოს სივრცე თანასწორობისთვის, სადაც ყველას შეეძლება საკუთარი ინტერესების განვითარება, გარიყულობის დაძლევა და ემოციური და ფიზიკური განვითარება.

დაბოლოს, ალბათ ზრდასრულებიც უნდა დაფიქრდნენ იმაზე, რა შეუძლიათ მათ ასწავლონ ისეთი ბავშვებს, რასაც ჩეტბოტები ვერ ასწავლიან; რა არის ის უნიკალური გამოცდილება, რის გადაცემაც მათ შეუძლიათ მოზარდებისთვის მომავალში გზის გასაკვლევად. რა არის მათ საქმიანობაში შეუცვლელი და ღირებული?

- *ნაბიჯი 3: თითოეულ ჯგუფს მიეცით ბარათები ტერმინებით, ასევე ბარათები ტერმინების განმარტებებით;*
- *ნაბიჯი 4: ჯგუფებმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა დააკავშირონ ერთმანეთთან ტერმინი და განმარტება;*
- *ნაბიჯი 5: იმარჯვებს ერთი ჯგუფი, რომელიც ყველაზე სწრაფად, უშეცდომოდ დააკავშირებს ტერმინს განმარტებასთან;*
- *ნაბიჯი 6: თითოეული ჯგუფი წარადგენს რამდენიმე ტერმინს.*

საკითხავი მასალა:

საშვილოსნოში მოულოდნელად აღმოჩენილი გენი

ყველაფერი ძალიან მოულოდნელად დაიწყო – ადამიანის



პლაცენტის განვითარების შესწავლისას აღმოაჩინეს გენი, რომელიც მას არ ეკუთვნის. მისი სახელწოდებაა ERVW-1, აღნიშნული გენი აკოდირებს ცილას **სინციტინ-1**, სინციტინ-1 კი უკიდურესად მნიშვნელოვანია პლაცენტის ფუნქციონირებისთვის. მეცნიერები სწორედ იმან განაცვიფრა, რომ ეს გენი ეკუთვნის არა ადამიანის რომელიმე უძველეს წინაპარს, არამედ რეტროვირუსს.

მილიონობით წლის წინ, რეტროვირუსმა პრიმატების ერთ-ერთი წარმომადგენლის უჯრედი დაინფიცირა. სხვა ვირუსებისგან განსხვავებით, რეტროვირუსი შეიცავს ფერმენტ უკუტრანსკრიფტაზას, რომელიც რნმ-ში ჩაწერილ ინფორმაციას დნმ-ში გადაწერს. ფერმენტი ინტეგრაზა კი მიღებულ დნმ-ს მასპინძელი უჯრედის გენომში ჩააშენებს. თუ მასპინძელი უჯრედი სასქესოა, ვირუსი აღარ გამოდის ორგანიზმიდან. ამ ვირუსული ნარჩენების უმეტესობა ცნობილია როგორც ენდოგენური რეტროვირუსები (ERVs), სხვანაირად მათ ჩუმ ნაგავს უწოდებენ, თუმცა ERVW 1 სულაც არ არის „ნაგავი". ის აგებს პლაცენტას. ცილა სინციტინ-1 ოდესღაც ვირუსის ცილოვანი გარსის ნაწილი იყო, ახლა კი ემბრიონის უჯრედებს აერთიანებს და წარმოქმნის სინციტიოტროფობლასტს. ეს უკანასკნელი პლაცენტის ერთ-ერთი შრეა, რომელიც უზრუნველყოფს დედის ორგანიზმიდან საკვების გადასვლას, იცავს ემბრიონს, „ამშვიდებს" დედის იმუნურ სისტემას, რომ არ მოხდეს ჩანასახის განადგურება. სინციტინ-1-ის გარეშე ადამიანის სიცოცხლე შეუძლებელი იქნებოდა.

სხვა ძუძუმწოვრებს სინციტინ-1 არ აქვთ, მაგალითად კატებს, კურდღლებს და ძაღლებს ამავე ფუნქციის შესასრულებლად სხვა ვირუსული გენები აქვთ, რომლებიც მათთვის დამახასიათებელ ცილას ასინთეზებენ. ისინი ადრეულ პერიოდში სხვადასხვა ვირუსით დაინფიცირებისას შეიძინეს, მაგალითად, თაგვებს აქვთ სინციტინი-A, ის სხვა რეტროვირუსისგან მიიღეს.

ის ფაქტი, რომ ძუძუმწოვრების სხვადასხვა ჯგუფს ერთი და იმავე ცილის სხვადასხვა ვარიანტი აქვთ, კონვერგენტულ ევოლუციას ადასტურებს. კონვერგენცია ნიშან-თვისებების დამთხვევაა.

როცა წარსული უკან ბრუნდება

ეს ამბავი ორსულობის პერიოდით არ დამთავრებულა. მკვლევრებმა სინციტინ-1 აღმოაჩინეს გაფანტული სკლეროზით დაავადებული ადამიანების ტვინშიც. გაფანტული სკლეროზი მძიმე აუტოიმუნური დაავადებაა, ადამიანის სისტემა შეცდომით საკუთარ მიელინის გარსს ებრძვის. მიელინის ცხიმოვანი გარსის ფუნქცია ნეირონების ერთმანეთისგან იზოლირებაა. მისი დაზიანებისას ფერხდება ნერვული იმპულსის გავრცელება, ირღვევა უჯრედებს შორის კომუნიკაცია, საბოლოოდ ვითარდება კუნთების სისუსტე, მხედველობის დარღვევა და დასწავლის პროცესების შეფერხება.

გაფანტული სკლეროზით დაავადებული პაციენტების

ტვინის ქსოვილში მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ სინციტინ-1 განსაკუთრებულად აქტიურია ასტროციტებში. ეს ცილა იწვევს ანთებით პროცესს და იმუნური რეაქციები აქტიურდება. საბოლოოდ თავისუფლდება მოლეკულები, რომლებიც მიელინის გამომუშავებაზე პასუხისმგებელ ოლიგოდენდროციტებს აზიანებს. ლაბორატორიულ კვლევებში ტვინის უჯრედებში სინციტინ 1-ის შეტანას იმავე დაზიანების გამოწვევა შეუძლია.

ეპშტენ-ბარის ვირუსი

ერთი კითხვა პასუხისმგებელი რჩება. რატომ აქტიურდება სინციტინ-1 ტვინში? ERVW-1-ის გენი ჩვეულებრივ სიტუაციაში ზრდასრულ ქსოვილში სრულად გამორთულია. კითხვაზე პასუხი შესაძლოა სხვა ვირუსებში იმალებოდეს. კერძოდ, ეპშტენ-ბარის ვირუსში. ის იმდენად გავრცელებულია, დედამიწაზე თითქმის ყველა ადამიანი სიმპტომების გარეშე მისი მატარებელია. გაფანტული სკლეროზის მქონე თითქმის ყველა პაციენტს გადატანილი აქვს აღნიშნული ვირუსით გამოწვეული ინფექცია. ბოლო კვლევებით კი დადასტურებულია ეპშტენ-ბარის ვირუსის როლი გაფანტული სკლეროზის განვითარებაში.

სავარაუდო შეკითხვები:

1. რა განსაკუთრებული ფუნქცია აქვს სინციტინ-1-ს?
2. საიდან მოხვდა სინციტინი ადამიანის პლაცენტაში?
3. რას ნიშნავს უკუტრანსკრიფცია? კიდევ რომელ ვირუსს აქვს მისი წარმართვის უნარი?
4. რა არის ინტეგრაზა? რა ფუნქციას ასრულებს ის?
5. ERV განიხილება როგორც „ჩუმი ნაგავი“. რას ნიშნავს ეს?
6. რა არის კონვერგენტული ევოლუცია? დაასახელე სხვა მაგალითებიც;
7. ახსენი, როგორ ხდება რეტროვირუსის შესაბამისი გენი ადამიანის გენომის მუდმივი ნაწილი?
8. აღწერე სინციტინ-1-ის როლი ადამიანის განვითარებაში;
9. აღწერე, როგორ შეუძლია სინციტინ-1-ის არასწორ დროს აქტივაციას, გაფანტული სკლეროზის ჩამოყალიბება;
10. ახსენი ეპშტენ-ბარის ვირუსის როლი სინციტინ-1-ის რეაქტივაციაში;
11. შეაჯამე, როგორ წარმოაჩენს აღნიშნული ქეისი კავშირს ევოლუციას, ვირუსებსა და ადამიანის ჯანმრთელობას შორის.

ქეისის ლექსიკონი:

გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგია:
- გენი
- ცილა
- დნმ
- რნმ

ჯანმრთელობა და დაავადებები
- გაფანტული სკლეროზი
- აუტოიმუნური დაავადება
- ასტროციტი
- ოლიგოდენდროციტი
- მიელინის გარსი

ვირუსოლოგია და რეტროვირუსები
- რეტროვირუსი
- ენდოგენური რეტროვირუსი
- ERVW-1
- სინციტინი-1
- უკუტრანსკრიფტაზა
- ინტეგრაზა

იმუნოლოგია და პათოლოგია
- იმუნური პასუხი
- ანთება
- ეპშტენ ბარის ვირუსი

ემბრიოლოგია
- სინციტიოტროფობლასტი
- პლაცენტა
- ემბრიონული განვითარება
- კონვერგენტული ევოლუცია

ჩემი აზრით, წერილი რამდენიმე მიზეზის გამოა საინტერესო მოსწავლეებისთვის:

მოულოდნელობა – სტატიის მთავარი იდეა – ჩვენს გენომში ვირუსული გენი ბინადრობს და ის სასიცოცხლო ფუნქციას ასრულებს – ძალიან მოულოდნელი და შთამბეჭდავია. ის არღვევს სტერეოტიპს, რომ ვირუსები მხოლოდ მავნეა, და მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად კომპლექსურია ევოლუციური პროცესები. მოსწავლეებს აინტერესებთ ისტორიები, რომლებიც მათთვის ნაცნობ ფაქტებს ეჭვქვეშ აყენებს;

კავშირი რეალურ ცხოვრებასთან – დავალებებში არა მხოლოდ თეორიულ ცნებებზეა საუბარი, არამედ მათ კავშირზე რეალურ დაავადებასთან – გაფანტულ სკლეროზთან. ეს კავშირი აჩვენებს ბიოლოგიის სწავლის მნიშვნელობას ჯანმრთელობის პრობლემების გააზრებაში;

მრავალი დისციპლინის ერთიანობა – დავალება აერთიანებს გენეტიკას, ევოლუციას, იმუნოლოგიასა და ემბრიოლოგიას;

დროში მოგზაურობის ფორმატი – ქეისი მოგვითხრობს გენის „ორმაგ ისტორიას“ – როგორ წარმოიშვა, როგორ გახდა შეუცვლელი და როგორ გადაიქცა პოტენციურ საფრთხედ. ამბავი დრამატული და დამაინტრიგებელია, რაც იპყრობს მოსწავლეების ყურადღებას. სამეცნიერო ფაქტებს მოთხრობის სახით აწვდის და თეორიას აკავშირებს რეალობასთან. ეს კი ასახავს, რამდენად გასაოცარი და მოულოდნელია ბიოლოგია.

 წყარო:

https://www.biologycorner.com/2025/07/12/case-study-the-placenta-ms-and-a-viral-past/

ქეთევან ოსიაშვილი

როგორ ამოვიცნოთ დისლექსია ბავშვებში

როგორც წესი, ბავშვების ყველა პრობლემა, რომლებიც სწავლას უკავშირდება, მშობლების და არა მხოლოდ მათი მხრიდან, ბანალურ სიზარმაცეს მიეწერება. „ის უბრალოდ ზარმაცია"; „არ ცდილობს"; „მასწავლებელმა რაც არ უნდა გააკეთოს, მას არ სურს სწავლა"; „მე კი ვცდილობ, ვებრძვი, ყველაფერს ვაკეთებ, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი". – ასეთი ფრაზების მოსმენა და საყვედურები, როგორც მშობლების, ისე პედაგოგების მხრიდან დღეს უჩვეულო და იშვიათი აღარ არის. ალბათ, ძალიან ცოტა თუ დაფიქრებულა იმაზე, რომ პრობლემა შეიძლება სულაც არ იყოს სიზარმაცე. ხშირად ხდება, რომ ბავშვს ობიექტურად უჭირს ინფორმაციის აღქმა და ათვისება. ის ამაში აბსოლუტურად არ არის დამნაშავე, მაგრამ ისჯება. თუმცა, უფროსების ასეთ ქმედებას არანაირი დადებითი შედეგი არ მოჰყვება.

თუ პრობლემის მოგვარება გვსურს, პირველ რიგში, ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზი უნდა ვიპოვოთ. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, დღეს ბავშვებში სასწავლო პრობლემების გამომწვევი ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი, საკმაოდ ხშირ შემთხვევაში, დისლექსიაა. დისლექსია, ასევე დისგრაფია და დისკალკულია ინფორმაციის აღქმის თავისებურებებია, რის გამოც ბავშვს უჭირს კითხვის, წერისა და მათემატიკის სწავლა. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ დისლექსია დაავადება არ არის, ის ნეირობიოლოგიური თავისებურებაა. დისლექსიის მქონე ბავშვის ინტელექტი არ არის დარღვეული, დაქვეითებული და მისი პრობლემა საერთოდ არ არის სწავლის სურვილის არქონა ან სიზარმაცე.

ძირითადი ნიშნები, სიმპტომები, რომლებიც დისლექსიის ამოცნობაში დაგვეხმარება:

მართალია, წერის, კითხვის, მათემატიკური ოპერაციების განხორციელების უნარი სკოლაში იწყებს გამოვლენას, მაგრამ ზოგიერთი ნიშნის შემჩნევა უფრო ადრე, სკოლამდელ პერიოდშიც შეიძლება.

- ასეთ ბავშვებში მეტყველება ვითარდება უფრო ნელა, ვიდრე მის თანატოლებში;
- სიტყვების წარმოთქმასთან დაკავშირებული სირთულეები შენარჩუნებულია 5-6 წლის შემდეგაც;
- უჭირს ლექსების დამახსოვრება და სწავლა;
- ერთმანეთში ერევა წელიწადის დროები, ასევე კვირის დღეები და დღის მონაკვეთები;
- ბევრ შეცდომას უშვებს კითხვისა და წერის დროს, ნელა კითხულობს და უჭირს წაკითხულის გააზრება;
- ახასიათებს კითხვისას – ბგერების, ხოლო წერისას – ასოების ჩანაცვლება, ერთი ასოს ნაცვლად თითქმის ყოველთვის გვხვდება მეორე;
- ვერ ხვდება წაკითხულის მნიშვნელობას, არ შეუძლია წარმოთქვას, დაასახელოს ახლახან წაკითხული სიტყვა, ვერ იმახსოვრებს მას;
- ცვლის სიტყვების დაბოლოებებს, ბოლომდე ვერ კითხულობს სიტყვას, ცდილობს უბრალოდ „გამოიცნოს" ის პირველი ასოთი;
- წერისას ტოვებს ასოებს, მარცვლებს და მთლიან სიტყვებსაც კი;
- კითხულობს ასო-ასო, უჭირს წინადადების აგება;
- აღინიშნება ბგერებისა და მარცვლებისათვის ადგილის შეცვლა ერთ სიტყვაში;
- არასწორად წარმოთქვამს, არასწორად კითხულობს სიტყვების დაბოლოებებს; ამახინჯებს, ურევს ბრუნვებს;

დისლექსია განაჩენი ნამდვილად არ არის. სწორი დამოკიდებულების შემთხვევაში შეიძლება მისი დაძლევა. თუ დროულად გავაცნობიერებთ, რომ დისლექსიასთან გვაქვს საქმე და შევიმუშავებთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ბავშვს ექნება შანსი დაეუფლოს წერასა და კითხვას, გახდეს განათლებული ადამიანი და შეძლოს საკუთარი თავის რეალიზება.

- კითხვისა და წერის დროს ფიქსირდება ასოების, მარცვლების, რიცხვების თანმიმდევრობის ცვლილებები;
- ასეთ ბავშვებთან ასევე შეიმჩნევა მნიშვნელობითა და ბგერებით მსგავსი სიტყვების ჩანაცვლება;
- ხშირად ბავშვი უარს ამბობს ხმამაღლა კითხვაზე, ასევე დავალებად მიცემული თხზულების დაწერაზე;
- აქვს მართლწერისა და კითხვის პრინციპების დაუფლების სირთულეები;
- უჭირს სივრცეში ორიენტაცია და ისეთ ცნებებში გარკვევა, როგორიცაა „მარჯვენა-მარცხენა“, „ზევით-ქვევით“;
- შეიძლება იგნორირება გაუკეთოს მარცხნივ განთავსებულ ნიშნებს, ასოებს და მთელ გვერდსაც კი;
- ხატავს ან გვიჩვენებს რაიმეს მარჯვნიდან მარცხნივ; ასევე ცდილობს, წაიკითხოს მარჯვნიდან მარცხნივ;
- ხშირად სარკისებურად წერს ასოებსა და ციფრებს, ერთმანეთში ურევს მსგავს ასოებს;
- კითხვისას ვერ მიჰყვება ერთ ხაზს, „ხტება“ ერთიდან მეორეზე, კითხულობს ერთ სიტყვას ერთ ხაზზე და მეორე სიტყვას უკვე მეორე ხაზზე. ბავშვი ჩივის, რომ ასოები და ციფრები „ხტუნაობენ“, „ცეკვავენ“, „გარბიან“, „იმალებიან“;
- არასწორად ასახელებს ნაცნობ ასოებს, ციფრებს, ფორმებს. ერევა ისრების მიმართულება, უჭირს ოპერირება სივრცითი მიმართულების აღმნიშვნელი სიტყვებით;
- არ მოსწონს თამაშები, რომლებიც საჭიროებს სივრცით აზროვნებას;
- მოძრავ თამაშებში ავლენს მოუქნელობას და კოორდინაციის დაბალ დონეს;
- აქვს პრობლემები წვრილი მოტორიკის განვითარებაში – ვერ ახერხებს ფეხსაცმლის თასმების შეკვრას, მაკრატლის გამოყენებას, მოზაიკის აწყობას;
- არასწორად უჭირავს კოვზი, ფანქარი, ავტოკალამი;



- ვერ ახერხებს კონცენტრირებას, არის მოუსვენარი, უყურადღებო, ბოლომდე ვერ მიჰყავს დაწყებული საქმე;
- ყველაფერს ან ძალიან ნელა აკეთებს, ან პირიქით – იმპულსური და ჰიპერაქტიურია;
- ახასიათებს ადვილად დაღლა. წერის ან კითხვის დაწყებიდან სულ რამდენიმე წუთში ბავშვს აშკარად ეტყობა, რომ დაიღალა – იფშვნეტს თვალებს, უჩივის თავის ტკივილს.

დისლექსიის გამომწვევი მიზეზები:

1. ნეირობიოლოგიური – ამ შემთხვევაში ტვინის გარკვეული უბნები, რომლებიც მნიშვნელოვან ფუნქციებზე არიან პასუხისმგებელნი, ნაკლებად აქტიურია, ვიდრე ადამიანების უმეტესობაში. ამის მიზეზი შეიძლება იყოს: ასფიქსია, ანემია, გულის მანკი, სხვადასხვა ინფექცია, დედის გახანგრძლივებული მშობიარობა ან საკეისრო კვეთა, წამლისმიერი ინტოქსიკაცია, ცვლილებები ნაყოფის განვითარებაში. გარდა ამისა, შეიძლება დაირღვეს ტვინის მარცხენა და მარჯვენა ჰემისფეროების ბალანსი. ამ შემთხვევაში უმჯობესია კორექცია სპეციალისტებთან ჩატარდეს;
2. გენეტიკური – ითვლება, რომ ბავშვში დისლექსიის გაჩენაზე მოქმედი მთავარი ფაქტორი გენეტიკური წინასწარგანწყობაა. ცნობილია შემთხვევები, როდესაც მშობელს დისლექსიის ოდნავ შესამჩნევი ფორმა ჰქონდა, მის შვილში კი ეს აშლილობა უფრო სერიოზული ფორმით გამოვლინდა;
3. სოციალური ფაქტორები:
   - უზომო სასწავლო დატვირთვა, რომელსაც ბავშვი, ასაკიდან გამომდინარე, ვერ უმკლავდება. მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც მშობელი ცდილობს 3-4 წლის ბავშვი ვუნდერკინდად „აქციოს“, ასწავლის მას კითხვას, წერას და ვერ აცნობიერებს, რომ ტვინის მთავარი ფუნქცია ამ ასაკში ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური განვითარებაა. მოგვიანებით კი - სკოლა, ახალ გარემოსთან ადაპტაცია, მიღებული ინფორმაციის მოცულობა, საშინაო დავალებები, წრეები, სპორტული სექციები, სხვადასხვა საკლუბო სამუშაოები. ასეთი დატვირთვით მუშაობა, ასეთი რიტმით ცხოვრება უფროსსაც კი გაუჭირდება;
   - სოციალური დეზადაპტაცია – როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ბავშვის გარემოსთან ურთიერთქმედების დარღვევა, პირველ რიგში, გავლენას ახდენს ფსიქიკაზე, რომელიც სუსტდება და ვერ ახერხებს გარედან მომდინარე სირთულეების დაძლევას. ეს ფაქტორი ასევე მოქმედებს სკოლის მოსწავლეში სხვადასხვა დარღვევების, მათ შორის დისლექსიის აღმოცენებაზე;
   - არახელსაყრელი ფსიქოლოგიური ატმოსფერო ოჯახში, რომელიც ბავშვის სიცოცხლის პირველივე დღეებიდან მის ტვინში ილექება და შესაბამისად გავლენას ახდენს პატარას შემდგომ განვითარებაზე; სიტუაციები შეიძლება ძალიან განსხვავებული იყოს, ბავშვის მიმართ მშობლების გულგრილობიდან ჰიპერმზრუნველობამდე. დასკვნა მხოლოდ ერთია – მშობლის ყველა არასწორი ქმედება სერიოზულ შედეგებს იწვევს. ყველაზე მნიშვნელოვანია, შევეცადოთ სიმშვიდის შენარჩუნება, ყოველთვის მოვუსმინოთ და გავუგოთ ბავშვს. დისლექსია ასევე შეიძლება გამოწვეული იყოს ცერებრალური დამბლის სხვადასხვა ფორმით, ქალა-ტვინის ტრავმებით და მხედველობის პრობლემებით. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ბავშვის ტვინი გადატვირთულია და იწვევს ტვინის ზოგიერთი უბნის დეაქტივაციას.

რეკომენდაციები – როგორ დავეხმაროთ დისლექსიის დიაგნოზის მქონე ბავშვს:

- ბავშვის სასწავლო პრობლემებზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება. გავითვალისწინოთ, რომ ამ დროს ბავშვს ცუდი მოსწრების გამო საყვედურების, ჩხუბის ნაცვლად დახმარება სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს სხვადასხვა სახის გადახრა;
- აუცილებელია სპეციალისტებთან – ნეიროფსიქოლოგი, ლოგოპედი, ფსიქოლოგი – დაკავშირება, მათი ჩართვა და მათგან დახმარების მიღება. თუ სპეციალისტები ბავშვს დისლექსიის დიაგნოზს დაუსვამენ, მშობლები მზად უნდა იყვნენ იმისათვის, რომ მათ დამატებით მოუწევთ შვილთან მუშაობა, მისთვის მეტი დროის დათმობა და ყურადღების მიქცევა.

თუ პრობლემის მოგვარება გვსურს, პირველ რიგში, ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზი უნდა ვიპოვოთ. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, დღეს ბავშვებში სასწავლო პრობლემების გამომწვევი ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი, საკმაოდ ხშირ შემთხვევაში, დისლექსიაა. დისლექსია, ასევე დისგრაფია და დისკალკულია ინფორმაციის აღქმის თავისებურებებია, რის გამოც ბავშვს უჭირს კითხვის, წერისა და მათემატიკის სწავლა. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ დისლექსია დაავადება არ არის, ის ნეირობიოლოგიური თავისებურებაა.

ასეთი ბავშვები საჭიროებენ განსაკუთრებულ მიდგომას სწავლებაში და ამისთვისაც აუცილებელია, ვიყოთ მზად. საჭირო იქნება სასწავლო პროგრამის ადაპტირება და ლოგოპედის, ასევე ფსიქოლოგის ჩართვა ბავშვთან მუშაობაში;

- კარგი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ დისლექსიის მქონე ბავშვები სხვებზე უკეთ აღიქვამენ და უფრო სწრაფად იმახსოვრებენ აუდიოწიგნებით მიწოდებულ ინფორმაციას. ტრადიციული, დაბეჭდილი და ელექტრონული ტექსტები კი მათ დიდ სირთულეებს უქმნის;
- დისლექსიის მქონე ბავშვები თვალსაჩინო ხატებით აზროვნებენ, მათი აზროვნება თვალსაჩინო-ხატოვანია. ამიტომ, არ უნდა გავკიცხოთ ბავშვი, თუ საშინაო დავალების მომზადებისას ის ხატავს. დიდი ალბათობით ის ამ გზით უკეთესად იგებს და იმახსოვრებს მასალას. გამოვიყენოთ სწავლებაში მეტი თვალსაჩინო მასალა, ისტორიის შესწავლისას გამოვიყენოთ დოკუმენტური ფილმები, მივცეთ საშუალება, წერისას გამოიყენოს სხვადასხვა ფერის ავტოკალმები და ფანქრები;
- საჭიროა გვახსოვდეს, რომ დისლექსიის მქონე ბავშვები რაიმე სახის ნიჭიერებით გამოირჩევიან. ისინი შეიძლება იყვნენ შემოქმედებითი პიროვნებები, იაზროვნონ არასტანდარტულად. ამიტომ, საჭიროა, კარგად შევიცნოთ ასეთი ბავშვები და საკმარისი ყურადღება დავუთმოთ მათ იმისათვის, რომ დავეხმაროთ ძლიერი მხარეების განვითარებაში;
- დისლექსიის პრევენცია ადრეულ ასაკში უნდა განხორციელდეს. მშობლებმა თავად, ან სპეციალისტების დახმარებით უნდა განუვითარონ ბავშვს მეხსიერება, ყურადღება, წვრილი მოტორიკა, ჩამოუყალიბონ ასოებისა და სიტყვების სწორად გამოთქმის უნარი;
- ვეცადოთ, ვიყოთ ლოიალური პატარას მიმართ. პრობლემას მშვიდად და მოთმინებით მივუდგეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება გამოვიწვიოთ დანაშაულის გრძნობა ბავშვში. გვახსოვდეს, რომ ის არ არის დამნაშავე აღმოცენებულ პათოლოგიაში. მთავარია, მას დრო მივცეთ. ნუ გადავტვირთავთ მეცადინეობებით, ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს პრობლემის მოგვარებაზე;
- გავითვალისწინოთ, რომ დისლექსიისგან განთავისუფლება აამაღლებს ბავშვის თვითშეფასებას და თავიდან ააცილებს სირთულეებს კომუნიკაციაში;
- გვახსოვდეს, რომ დისლექსია, დისგრაფია და დისკალკულია იშვიათად იღებს ტოტალურ ფორმას, როდესაც ადამიანს საერთოდ არაფრის წაკითხვა, არაფრის დაწერა და დათვლა საერთოდ არ შეუძლია. სიტუაციის კორექტირება ყოველთვის შეიძლება იმ დონეზე, რომ ბავშვმა თავი გაართვას არც ისე დიდ და არც ისე რთულ ამოცანებს.

დაბოლოს, დისლექსია განაჩენი ნამდვილად არ არის. სწორი დამოკიდებულების შემთხვევაში შეიძლება მისი დაძლევა. თუ დროულად გავაცნობიერებთ, რომ დისლექსიასთან გვაქვს საქმე და შევიმუშავებთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ბავშვს ექნება შანსი დაეუფლოს წერასა და კითხვას, გახდეს განათლებული ადამიანი და შეძლოს საკუთარი თავის რეალიზება.

ნინო ლომიძე

ტექსტი, როგორც თვითმიზანი

წიგნიერებისა და კრიტიკული აზროვნების უნარების გამომუშავებას იმაზე მეტი დრო სჭირდება თანამედროვე სამყაროში, ვიდრე ჩვენ ვუთმობთ.

სკოლაში მხატვრული ლიტერატურის შესწავლასა და დამუშავებას დიდი დრო ეთმობა; კითხვასა და წიგნიერების ხელშეწყობას – ნაკლები.

რა არსებითი განსხვავებაა შესწავლა-დამუშავებასა და წიგნიერების ხელშეწყობას შორის?

არსებითი.

სავალდებულო საპროგრამო თხზულებების შესწავლა თვითმიზნადაა ქცეული და ამის გამო სწავლა-სწავლება უფრო მეტად ემსგავსება ფილოლოგიის ფაკულტეტის მოსამზადებელი ეტაპის სამუშაოს, და ნაკლებად – წიგნიერების ხელშეწყობას.

ვამბობ წიგნიერებას და ვგულისხმობ:

- აზროვნებისა და მისი განვითარების კვალდაკვალ სამყაროსთან დიალოგის უნარს;
- ფიქრის სტიმულირებას, ნაფიქრის მოწესრიგების უნარს ზეპირად და წერილობით;
- ცოცხალ ურთიერთობას ტექსტთან და საკუთარ თავთან;
- ანალიზის, მსჯელობის, კრიტიკული აზროვნების უნარს;
- წიგნებიდან მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში, სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში გამოყენების უნარს;
- პრობლემების გადაჭრის, დასახული მიზნების შესაბამისად ქმედების უნარს;
- უნარს, განსჯითი შეფასებების მიღმა, კატეგორიზაციის მიღმა მსჯელობისა, პროაქტიულად ფიქრის, დაგეგმვისა და ქცევის;
- საკუთარ სხეულთან, გონთან, საკუთარ თავთან მოლაპარაკების უნარსა და თვითდისციპლინას;
- ემპათიის უნარის გაღვივებას. ხედვის სხვადასხვა კუთხის შემჩნევის უნარს. როცა შეგიძლია „აღიარებულ ჭეშმარიტებას“ შეხედო განსხვავებულად, განახლებული მზერით, „დამწყების თვალით“, „განულებული“ (სტერეოტიპებისგან დაცლილი) მეხსიერებით.

წიგნიერების თანმდევი ყველა ჩამოთვლილი სიკეთე მუშავდება წიგნების კითხვით და საუკეთესო ასპარეზად ამისთვის საოცნებო საკლასო ოთახები შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. მოსწავლეები ამ კლასებში ინტერესითა და ცნობისმოყვარეობით აღვსილნი სხედან, რადგან მათ „დასასწავლი“ და „დასამუშავებელი“ კი არ აქვთ „პროგრამა“, არამედ კითხვის, ფიქრისა და მსჯელობის შესანიშნავი წუთები ელით.

მათ იციან – მხატვრული ტექსტი მოაზროვნე ადამიანისთვის (ჩვენი სახეობის მთავარი მახასიათებელი კი სწორედ ესაა) სხვა სამყაროებში ტელეპორტაციის საშუალებაა. იქ ისეთ კითხვებზე შეიძლება პასუხების მოძიება, რომლებიც ჩვენც გვაქვს, გვაწუხებს ან გვაინტერესებს. სხვების თავგადასავლებში მონაწილეობის, სხვათა განცდების გათავისების შესაძლებლობა გვაქვს, საკუთარი „მეს“ საზღვრებს შეგვიძლია გავცდეთ და თან ისე, რომ არ გავითქვიფოთ, უკან დავბრუნდეთ „იმაზე უკეთესები, ვიდრე წაკითხვამდე ვიყავით“.

ვამბობ „დასწავლა-დამუშავებას“ და ვგულისხმობ იმას, რომ სასკოლო პროგრამა, სახელმძღვანელოების „საბაზისო პაკეტი“, მხატვრულ ტექსტთან ურთიერთობის მთავარ მიზნად

სკოლაში მხატვრული ლიტერატურის შესწავლასა და დამუშავებას დიდი დრო ეთმობა; კითხვასა და წიგნიერების ხელშეწყობას – ნაკლები. რა არსებითი განსხვავებაა შესწავლა-დამუშავებასა და წიგნიერების ხელშეწყობას შორის?

ამ ტექსტის **შესწავლას** ისახავს. ეს მიზანი ამ სიტყვათშეთანხმებით შეგვიძლია გადმოვცეთ: „ტექსტი-თვითმიზანი“.

რას ნიშნავს ეს?

წაკითხვის შემდეგ მოსწავლე გაგება-გააზრების დონის კითხვებს უპასუხებს (კითხვები შინაარსის გაგებასა და გააზრებაზეა ორიენტირებული).

ჩვენი პროგრამული ტექსტების უმრავლესობა ენობრივად საკმაოდ რთული და ლექსიკურად გადატვირთულია, ამიტომ ეს მნიშვნელოვანი ნაწილია და დიდ დროსაც საჭიროებს. ამის შემდეგ სამუშაო წარიმართება ამ მიმართულებებით:

- რა არის ტექსტის მთავარი სათქმელი;
- რის თქმა სურდა ავტორს.

ამ ეტაპზე ხშირად მნიშვნელოვანია ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, სხვადასხვა დარგის თეორიული მასალის/ცნობების მიწოდება, რათა „მთავარი სათქმელი“ სწორ კონტექსტში იქნეს გააზრებული. ეს ყველაფერი ისწავლება და მუშავდება **ტექსტის გაგება-გააზრებისთვის,** ტექსტისვე კონტექსტში, ტექსტის შესასწავლად.

ამ მიდგომაში არაფერია მიუღებელი.

ეს კლასიკური ტექსტოლოგიური და ანალიტიკური მეთოდია, ფილოლოგიური პრაქტიკა სწორედ ამ სამუშაოებს მოიცავს და წაკითხულის „სწორად“ გაგებისა და გააზრებისთვის ეს უმნიშვნელოვანესია. პრობლემად ის მაშინ იქცევა, როდესაც ენისა და ლიტერატურის სასკოლო კურსის წარმმართველ პრინციპად რჩება. რატომ? იმიტომ, რომ მკითხველის როლი ამ სამუშაოში „რეპროდუქციულია“, ინტერპრეტაცია იზღუდება ავტორის სათქმელის ამოცნობით, მისაღებია მხოლოდ „სწორი“ წაკითხვა.

ახლა დავსვათ მნიშვნელოვანი კითხვა:

არის თუ არა სკოლის ამოცანა (ოდენ) ფილოლოგიური დისციპლინისთვის მნიშვნელოვანი უნარების ჩამოყალიბება?

პასუხია, რასაკვირველია – არა.

გადახედეთ სასკოლო სახელმძღვანელოებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში საშუალო (დამამთავრებელ) საფეხურზე.

დასასწავლი მასალის მიწოდების ერთადერთი და უალტერნატივო მეთოდი ეფუძნება ისტორიზმის პრინციპს. ეს გულისხმობს იმას, რომ, ლიტერატურის ისტორიის (ფილოლოგიის ფაკულტეტზე ამ საგანში ცალკე კურსი იკითხება) კვალდაკვალ, ტექსტები ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა დალაგებული.

წიგნიერების, კრიტიკული აზროვნებისა და ინტერპრეტაციების უნარების ჯეროვნად ჩამოსაყალიბებლად საკმარისი რაოდენობის სავარჯიშოები და აქტივობები სახელმძღვანელოებში არ არის.

პროგრამული მასალა მოცულობითია და გამოყოფილი საათების რაოდენობა არ არის საკმარისი ამ რაოდენობის ტექსტებისთვის.

ჩვენს ინტერნეტგაზეთში გამოქვეყნებულ ამ წერილში დეტალურადაა ყურადღება გამახვილებული იმ ძირითად პრობლემებზე, რომლებიც აქტუალურია ლიტერატურის სასკოლო კურსის კონტექსტში. აქ ამაზე ვრცლად აღარ შევჩერდებით.

როლან ბარტი ნაშრომში „ტექსტისგან მოგვრილი სიამოვნება“ აღნიშნავს, რომ ტექსტის „სტანდარტიზება“ და „ნორმატიული ინტერპრეტირება“ დაუშვებელია. კითხვა ინტიმური, სუბიექტური აქტია და „სწორი წაკითხვა“ არ არსებობს. მკითხველებს ის ორ დიდ ჯგუფად ყოფს – ტექსტის მეგობრები და ტექსტის მტრები. „ტექსტის მეგობართა საზოგადოებას არაფერი ექნება საერთო, მტრების გარდა. ესენი არიან აბეზარი მუდოები, რომლებიც ტექსტებს ხელშეუხებლობის ბეჭედს ასვამენ და მისგან სიამოვნების მიღებას კრძალავენ. ამას ტექსტის მტრები სხვადასხვა მიზეზით ამართლებენ – კულტურული კონფორმიზმი, შეზღუდული თვალსაწიერის რაციონალიზმი, პოლიტიკური მორალისტობა, ბლაგვი პრაგმატიზმი, სხვადასხვა ჯგურის „კეთილგონივრულობა“.

ხისტი და უხეში მახვილგონივრულობაა, არა?

მაგრამ შემაფხიზლებელი, საინტერესო და საჭიროც – უდავოდ.

გვაიძულებს გავიმეოროთ „მარტივი ჭეშმარიტებები და დავფიქრდეთ, რომ:

მხატვრული ლიტერატურის მნიშვნელობის „დავიწროება“ ტექსტის დასწავლა-დამუშავების თვითმიზნამდე საცოდაობაა.

ფილოლოგიური სამეცნიერო მეთოდოლოგია ენისა და ლიტერატურის სასკოლო კურსს არ უნდა განსაზღვრავდეს.

წიგნიერებისა და კრიტიკული აზროვნების უნარების გამომუშავებას იმაზე მეტი დრო სჭირდება თანამედროვე სამყაროში, ვიდრე ჩვენ ვუთმობთ.

დიად მიზნებსა და ესგ-ში გაწერილ შესანიშნავ, ბრწყინვალე ამოცანებს რამდენად ვასრულებთ იმ პროგრამით, იმ საათობრივი ბადითა და მეთოდოლოგიით, რაც დღეს გვაქვს – საკითხავია.

როდის ვიკვლიეთ ბოლოს თანამედროვე მოზარდების ინტერესები, საჭიროებები, ასაკობრივი განვითარების თანმდევი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც საჭიროა სტანდარტის რევიზია?

ამ საკითხებზე დაფიქრებისა და სამოქმედო ნაბიჯების შესაბამისად დაგეგმვის გარეშე კი ლიტერატურის სასკოლო კურსი სწორედ ტექსტების დასწავლა-დამუშავების ასპარეზად გვაქვს ქცეული.

მაია მენაბდე

„ნუცას სკოლა“ სკოლაში

გარდა სოციალური დატვირთვისა, სპექტაკლს საგანმანათლებლო დანიშნულებაც აქვს: უამრავ საჭირო უნარს ავითარებს. ისიც ფაქტია, რომ ხელოვნება, შემოქმედებითობა, ინტერესების სფეროს უფართოებს ადამიანს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს პიროვნების ჩამოყალიბებაში.

11 წლის წინ, როცა ჩვენს სკოლაში „მკითხველთა და კრიტიკოსთა კლუბი“ გაიხსნა, პირველ ფილმად სწორედ მერაბ კოკოჩაშვილის „ნუცას სკოლა“ ვაჩვენეთ.

ფილმების შერჩევისას ასეთი პრინციპი გვაქვს: ერთად უნდა ვუყუროთ ისეთ ფილმებს, რომლებსაც, როგორც წესი, მოზარდები ცალკე იშვიათად ან თითქმის არ უყურებენ.

სამწუხაროდ, ამ კატეგორიაში შედის ქართული ფილმების უმეტესობა (არაციფრული ხარისხის გამო) და, ზოგადად, ისეთი ფილმები, რომლებიც, უბრალოდ, გასართობი არაა, კარგად დაკვირვება, ღრმად ფიქრი და ერთად მსჯელობა უხდება.

ისე კი, უყვართ თანამედროვე ბოევიკები, მელოდრამები, კომედიები, საშინელებათა ფილმები...

სტუდენტობისას შემთხვევით აღმოვჩნდი „ნუცას სკოლის“ პრემიერაზე და დღემდე არ გამნელებია მაშინდელი ემოციები. არც ისე ცნობილი ფილმია. უმეტესად გაგონილიც არა აქვთ მოზარდებს, არადა, უმნიშვნელოვანეს პრობლემაზეა.

საკმაოდ მძიმეა ემოციურად, რა თქმა უნდა, არც საბავშვოა, ამიტომაც ვაყურებინებ მოზარდებს 15 წლიდან ზემოთ. 2000 წელს გადაღებული ეს ფილმი ძალიან მნიშვნელოვან თემას ეხება: **როგორ უნდა ჩამოყალიბდეს და როგორი უნდა იყოს ინკლუზიური საზოგადოება. თემას, რომელიც დღემდე პრობლემად რჩება, დღემდე მტკივნეულია. მაშინ კი სრულიად ახალი იყო.**

მერაბ კოკოჩაშვილი იხსენებს: *„ეს ფილმი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან მოვიდა. მისი პროტოტიპები გრემში ვნახე, გონებაშეზღუდულ ბავშვთა სკოლაში, რომელიც ნანა ყიფიანმა და ნიკა კვაშალმა დააარსეს. აქ ისინი ოჯახურ გარემოში შრომობენ, ურთიერთობენ და თავს ბედნიერად გრძნობენ. ჩემი თვალით ვნახე, სიყვარულმა, მოთმინებამ და შემწყნარებლობამ როგორი კეთილი ნაყოფი გამოიღო. გმირები ფილმში ლამის უცვლელად გადმოვიტანე. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ადამიანთა ურთიერთობა, ის სიკეთე და სიყვარული, რომელიც ავადმყოფს ჯანმრთელად აქცევს. თორემ უსიყვარულობის პირობებში ჯანმრთელიც ავადმყოფად გადაიქცევა. გრემის სკოლაში „ნუცას სკოლა“ რომ ნახეს, ნიკა კვაშალმა დამირეკა და მითხრა: ფილმმა ბავშვებზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა, ისინი თავის თავს და ერთმანეთს ცნობდნენ, ეს მე ვარ და ეს შენ ხარო... ეს ჩემთვისაც მნიშვნელოვანი იყო...“.*

ფილმში ძალიან კარგად ჩანს ის სამკუთხედი, რომელიც ინკლუზიური საზოგადოების მთავარი კომპონენტების ერთობას წარმოადგენს:

- **რა უხარიათ, რა სწყინთ, რა სჭირდებათ სპეციალური საჭიროების ადამიანებს;**
- **როგორები უნდა იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ზრუნავენ მათზე;**

როგორი უნდა იყოს ან არ უნდა იყოს საზოგადოება, რომელშიც სპეციალური საჭიროების ადამიანებს უწევთ ცხოვრება.

ფილმის მთავარი გმირი ნიკა, რომელსაც თავად ჰყავს, სპეციალური საჭიროების მქონე შვილი, ზრუნავს სხვებზეც, გადადის სოფელში, თავისი წინაპრების სახლში და საოცარ გარემოს ქმნის მათთვის. ეს არის სივრცე, სადაც ყველას თავისი ფუნქცია და მოვალეობა აქვს, თითოეული მათგანი რეალიზებულად გრძნობს თავს. ზოგი სამზარეულოშია, ზოგი ბაღს უვლის, ზოგი – საქონელს. დიდი ოჯახის ყოველი წევრის ფუსფუსი იმის გამოხატულებაა, რომ თითოეული ერთმანეთისგან აღიარებული და დაფასებულია.

ინკლუზიური განათლების საუკეთესო მაგალითია სპექტაკლი, რომელშიც უფროსებიც და უმცროსებიც დიდი სიხარულითა და მონდომებით მონაწილეობენ – ეს ქმნის სრულ იდილიას ამ საზოგადოებაში. მართლა ზღაპრულია შექმნილი გარემო, ჰარმონიულად ავსებენ ერთმანეთს მონაწილეები, მძივივით იკინძება ერთობა.

გარდა სოციალური დატვირთვისა, სპექტაკლს საგანმანათლებლო დანიშნულებაც აქვს: უამრავ საჭირო უნარს ავითარებს. ისიც ფაქტია, რომ

ფილმი არაა მარტივად საყურებელი ბავშვებისთვის, მაგრამ ამის არ უნდა შეგვეშინდეს. ტრაგიზმი და პოეტურობა, უსაზღვრო სევდა და იუმორი, ადამიანთა დაუნდობლობა და დიდი კაცთმოყვარეობა ისე ენაცვლება ერთმანეთს, რომ ეს სიმძაფრე, პირიქით, იზიდავს ხოლმე მოზარდებს და ფიქრის, ანალიზის, მსჯელობის სურვილს უღვივებს.

ხელოვნება, შემოქმედებითობა, ინტერესების სფეროს უფართოებს ადამიანს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს პიროვნების ჩამოყალიბებაში.

თუმცა ნიკას მიზნები უფრო შორს მიდის. მას სურს წინაპრების ნასახლარზე სკოლის დაარსება ანიკოსთვის, კუკასთვის, პედროსთვის, ვალიასთვის, არსენისთვის და სხვებისთვის, რათა განათლება დაეხმაროს მათ, საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იგრძნონ თავი.

საგულისხმოა, რომ ნიკა მარტო არაა ამ საქმეში, მართალია ცოტანი, მაგრამ მაინც არიან ადამიანები, რომლებიც ხედავენ და აფასებენ, მის მონდომებას, უანგარობასა და გულითადობას. კახი კავსაძის გმირი სასულიერო პირია, რომელიც თითქოს სულაც არ ჯდება სტანდარტებში, შინაგანი თავისუფლება მის გაბურძგნილ თმა-წვერსა და ბავშვებთან ფეხბურთის სათამაშოდ აკეცილ ანაფორაშიც გამოიხატება. ამ სილაღესა და უშუალობაში ჩანს დიდი სიყვარულიც. ამ ყველაფერს ემატება პასუხისმგებლობის განცდა: *„მოგვეც მოთმინება, ამ გზაზე ვატაროთ ისინი, ვისაც უმეგზუროდ არ შეუძლია გზის გაკვლევა!“* – ამას ევედრება ღმერთს.

რაც შეეხება გარშემო მყოფ საზოგადოებას, მათ უმეტესობას არა აქვს არანაირი ემპათია, თანაგანცდა სსსმ პირების მიმართ. ისინი ან გულგრილები არიან, ან უფრო მეტიც – აგრესიულები. ადამიანების დამაკნინებელი დამოკიდებულება იკვეთება მაშინაც, როცა ნიკას დიდ ოჯახს „ნუცას სკოლას“ ეძახიან. ერთგვარი მტკივნეული ირონიაა იმაში, რომ სწორედ ადამიანთა დამოკიდებულებებზე ბევრისმთქმელი ეს ფრაზა აირჩია რეჟისორმა სათაურად. საზოგადოების სახე არსენის მაგალითზეც კარგად ჩანს: როცა სურთ, იმსახურებენ; როცა უნდათ, მისით ერთობიან; როცა ეგუნებებათ, დასცინიან და ჩაგრავენ კიდეც. აბსოლუტურად მიუღებელია ეს რეალობა ნიკასთვის. მხოლოდ მისგან იგრძნო სიყვარული და დაფასება არსენმა, ნიკა დააკვირდა მის ინტერესებს, მისცა ფუნქცია და რწმენა, რომ სასარგებლო რამეს აკეთებს და, ალბათ, ეს განაპირობებს არსენის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებასაც. როცა ამავე დაუნდობელი საზოგადოების გამო ნიკა იძულებულია, დატოვოს სოფელი, არსენი მაინც არ მიჰყვება ქალაქში.

საზოგადოებას რომ ზნეობრივი საყრდენი გამოცლილი აქვს, ღვთის გზიდან გადასულია და ათი მცნებაც დაავიწყდა, ეს ფილმის ბევრი მომენტიდან ჩანს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ რეჟისორს ამ საზოგადოების, ალბათ, ყველაზე დაუნდობელი, უარყოფითი წევრი მიჰყავს აღიარებამდე. ის ნიკას არსენსა და კუკაზე მიუთითებს და ეუბნება: *„ნიკა, ამათშია ღმერთი!“.*

ფილმში კარგად ჩანს, ზოგადად, ქვეყნის პოლიტიკურ-სოციალური ვითარებაც. როგორ იპარავენ და ანადგურებენ ყველაფერს: *„ლევან მეფის ზარბაზანი მოიპარეს, სპილენძისა არისო. 4 საუკუნე თვითონ უვლიდნენ, თვითონ პატრონობდნენ, მერე ადგნენ და თვითონ მაიპარეს“.* მხოლოდ საეჭვო „რჩეულებს“ აქვთ უპირატესობა, ძალაუფლება და ავტორიტეტი. ირიბად ჩანს ომიც – ომში უკონტროლოდ მიმავალი ბიჭები. ქვეყანაში არსებული ვითარება, დეგრადირებული, გულგრილი საზოგადოება კარგი ასპარეზია უცხოელი შარლატანებისთვის.

თუმცა ყველა ერთნაირად გულგრილი და შეუბრალებელი არაა ამ საზოგადოებაში. სიუჟეტში ძალიან ფაქიზი დეტალებით შემოდის სიყვარული კაკოი ბიჭისა და ვალიასი, რომელიც ნიკას დადგმულ სპექტაკლში შემთხვევით არ განასახიერებს ბუნებასა და დოვლათს. ისეთი ლაღია და სუფთა, ისეთი ტრაგიკული და თან იმედისმომცემია ეს სიყვარული!

კიდევ ბევრი დიდი თუ მცირე თემის გამოყოფა შეიძლება, რომლებზეც ყურადღების გამახვილება, ნამდვილად დაეხმარებათ მოზარდებს, დაინახონ პრობლემები, დასვან კითხვები, გაუჩნდეთ საკუთარი დამოკიდებულება ფილმში ასახული საკითხების მიმართ.

როგორც თავიდანვე აღვნიშნე, ფილმი არაა მარტივად საყურებელი ბავშვებისთვის, მაგრამ ამის არ უნდა შეგვეშინდეს. ტრაგიზმი და პოეტურობა, უსაზღვრო სევდა და იუმორი, ადამიანთა დაუნდობლობა და დიდი კაცთმოყვარეობა ისე ენაცვლება ერთმანეთს, რომ ეს სიმძაფრე, პირიქით, იზიდავს ხოლმე მოზარდებს და ფიქრის, ანალიზის, მსჯელობის სურვილს უღვივებს. მთავარია, ჩვენ დისკუსიითა და სხვა აქტივობებით მთავარი ნიშნულები ვაპოვნინოთ, მნიშვნელოვანი აქცენტები აღმოვაჩენინოთ, ფილმში ჩამალულ მინიშნებებზე დავაფიქროთ, პრობლემებს თავად დაინახავენ და გააანალიზებენ, თავადვე მივლენ დასკვნებამდე.

როცა „ნუცას სკოლაზე“ ვფიქრობ, მაქვს განცდა, რომ ამ ფილმში წარმოუდგენლად, უჩვეულოდ ბევრი თემა ჩაატია რეჟისორმა, რომლებზე საუბარიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის, თუმცა მათ შორის ყველაზე მთავარი ადამიანი, ადამიანობის არსის განსაზღვრაა: რას გულისხმობს ადამიანობა? რა ზნეობრივ საყრდენებს, ღირებულებებს უნდა ვიყენებდეთ, რომ ადამიანური სახე არ დავკარგოთ?.. ამ კითხვებზე დასაფიქრებლად ბავშვებს ვთავაზობ აქტივობას – **„აირჩიე გმირი“**. პირობა ასეთია: ფილმში მათ უნდა შეარჩიონ მათთვის განსაკუთრებით საინტერესო ერთ-ერთი გმირი, რომელიც, უბრალოდ კი არ უნდა დაახასიათონ, არამედ დააკვირდნენ და ისაუბრონ, როგორია, მისი დამოკიდებულება, ქცევა სხვა მთავარი თუ მეორეხარისხოვანი პერსონაჟების მიმართ (ასე აღმოაჩენენ, რით განისაზღვრება ადამიანის „მე“). ამის შემდეგ, უნდა ეცადონ, წარმოიდგინონ ის, რაც ფილმში ღიად ვერ დაინახეს: რას და როგორ ფიქრობს ხოლმე ეს გმირი სხვადასხვა მომენტში (მიხვდებიან, როგორ დაიჭირონ მინიშნებები კინოენაში და კადრს მიღმა გახედვას ისწავლიან).

კარგი იქნება, თუ გარკვეულ მომენტებს, რომლებზეც მოზარდი საუბრობს, პარალელურად ხელმეორედ ვაჩვენებთ.

ეს აქტივობა ერთ-ერთი მაგალითია მხოლოდ. ამ არაჩვეულებრივი ფილმისგან აღძრული საფიქრალი კი მრავალფეროვანია. მთელი გულით მჯერა, რომ მსგავსი ფილმების (და წიგნების) დახმარებით მოზარდებში თანაგრძნობის გაღვივება, პრობლემებზე დაკვირვება, მათ გადაჭრაზე ფიქრის აღძვრა, ნამდვილად არის ერთი პატარა, მაგრამ მტკიცე აგური ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოების შენებაში და ჩვენ, მასწავლებლებს, ეს გვევალება და გამოგვდის კიდეც.

ნათია ნაფეტვარიძე

ახალი მოსწავლე მერხთან

გარდატეხის ასაკში მოსწავლეები არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ ემოციურადაც განიცდიან ძალიან მნიშვნელოვან ცვლილებებს. ეს პერიოდი ხშირად ეხმიანება თვითშეფასებისა და სოციალური თვითგაგების ახლებურ გააზრებას, რაც ბევრ დაბრკოლებას უკავშირდება.

ყველას შეგვიძლია გავიხსენოთ ჩვენი ცხოვრების ის მომენტი, როცა რაღაც ახალი ეტაპი უნდა დავიწყოთ. ამ დროს ძალიან ვღელავთ, ემოცია და შფოთვა, რასაკვირველია, ბუნებრივია, მაგრამ მარტივი გადასატანი ნამდვილად არ არის. სხვათა შორის, მარტივი არც ძველთან მიბრუნებაა ხანგრძლივი გაშორების შემდეგ (გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის ცნობილი სიტყვები „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე?“)...

და რა ხდება მაშინ, როცა მოსწავლეს, განსაკუთრებით, გარდატეხის ასაკში, სკოლის შეცვლა უწევს? ახლა თავი იმ მოსწავლის ადგილას წარმოვიდგინოთ, რომელსაც ისედაც სტრესულ გარემოში ყოველდღიურად უწევს სირთულეებთან შეჯახება და ამ სირთულეებს ახლა გარემოს შეცვლაც ემატება. თავში უამრავი კითხვა უტრიალებს: როგორ მიიღებენ ახალ სკოლაში? შეძლებს კი ახალი მეგობრების პოვნას? რამდენად მარტივად გაართმევს თავს ყოველდღიურ გამოწვევებს?

როგორც ზემოთ ვახსენე და როგორც ალბათ თითოეულმა ჩვენგანმა არა მხოლოდ ინტუიციის დონეზე იცის, რომ ცვლილებები ყოველთვის რთულია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ბავშვების ცხოვრებაში ხდება. ახალი მოსწავლისთვის ადაპტაციის პროცესი სწორედ ასეთ რთულ და გადამწყვეტ ეტაპს წარმოადგენს. ცვლილებები, რომლებიც მოსწავლის ცხოვრებაში ხდება – ახალი სკოლა, ახალი მეგობრები, ახალი ნორმები – არა მხოლოდ სირთულეებს, არამედ ახალ შესაძლებლობებსაც მოიტანს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ცვლილებები აუცილებელია, ბავშვებს ხშირად უჭირთ მათთან შეგუება. მით უმეტეს, როცა ეს გარდატეხის ასაკში ხდება.

გარდატეხის ასაკში მოსწავლეები არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ ემოციურადაც განიცდიან ძალიან მნიშვნელოვან ცვლილებებს. ეს პერიოდი ხშირად ეხმიანება თვითშეფასებისა და სოციალური თვითგაგების ახლებურ გააზრებას, რაც ბევრ დაბრკოლებას უკავშირდება. ამ პროცესში მნიშვნელოვანია, ბავშვებმა იგრძნონ, რომ მათ გარშემო ადამიანები მზად არიან, დაეხმარონ და გაუგონ მათ, რადგან ცვლილებების წინაშე სიჩუმე და მარტოობა კიდევ უფრო ამძიმებს პროცესს.

როგორ დავეხმაროთ ახალგადმოსულ მოსწავლეს ამ პროცესში? სასწავლო წლის დასაწყისში ალბათ ყველა მასწავლებელს გვაწუხებს ეს კითხვა და ბედნიერები ვართ, თუ ამ შეკითხვის პასუხი წარმატებამდე მიგვიყვანს.

პირველი ალბათ მაინც ყურადღება და ემპათიაა. პირველ რიგში, ჩვენს ძველ მოსწავლეებს უნდა დავეხმაროთ, გააცნობიერონ, რომ ახალი მოსწავლე განიცდის დაძაბულობას და შეიძლება მარტოსული იყოს. ახალმა მოსწავლემ უნდა იგრძნოს, რომ მისი აზრები, ინტერესი და პერსონალური სივრცე პატივისცემას იმსახურებს. თუ სხვა ბავშვები ამოიცნობენ მის ინტერესებს ან ჰობის, მათ უფრო გაუმარტივდებათ ადაპტაციის პროცესი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია გულწრფელობა: ახალგადმოსულ მოსწავლესთან მასწავლებელს აქტიური კონტაქტი. მან არამარტო უნდა ამოიცნოს ბავშვის ემოციები, არამედ შეძლოს

მისი დახმარება საჭიროების შემთხვევაში.

ძალიან დაგვეხმარება, ასევე, ჯგუფური თუ გუნდური სამუშაოები, სადაც ახალი მოსწავლე შეიძენს კლასელებთან ურთიერთობის გამოცდილებას.

კომუნიკაცია და საზოგადოებაში ინტეგრაციაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ახალ მოსწავლეს ძალიან გაუჭირდება, თუ იგრძნობს, რომ მისი აზრები არავის აინტერესებს. აქ, ვფიქრობ, სხვა ბავშვების მიერ გამოჩენილ ინიციატივას ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა. შეიძლება გამოძებნონ საერთო ინტერესები, საერთო თემები და მათზე საუბრით დაამყარონ გახსნილი ურთიერთობა.

რა თქმა უნდა, დიდ როლს თამაშობს ნდობის ფაქტორიც: თუ მოსწავლე რაიმე პრობლემას აწყდება, მისთვის აუცილებელია, ნებისმიერ მომენტში შეეძლოს, მიმართოს დამრიგებელს ან რომელიმე მასწავლებელს. მასწავლებელმა შეიძლება შექმნას „ინკლუზიური“ ჯგუფები, სადაც ახალი მოსწავლის ურთიერთობა სხვა მოსწავლეებთან დაეფუძნება საერთო ინტერესებს. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც საკლასო, ისე კლასგარეშე თემატიკას.

რაც შეეხება ემოციური მხარდაჭერას, მოსწავლეებს



ბავშვები, რომლებიც გრძნობენ თანადგომას, უფრო თავდაჯერებულად უყურებენ საკუთარ თავსა და გარემოს. ისინი სწავლობენ, რომ ცვლილება – მიუხედავად სირთულეებისა – განვითარების, ზრდისა და ახალი შესაძლებლობებისკენ გადადგმული ნაბიჯია.

შეუძლიათ, ურთიერთობა დაამყარონ ისეთ გარემოში, სადაც ერთმანეთს დაეხმარებიან როგორც მეგობრები და არა როგორც კონკურენტები. ახალი მოსწავლე შეიძლება დაუბრკოლებლად მოერგოს ახალ გარემოს, თუ დაეხმარებიან და მის მიმართ გულისხმიერ დამოკიდებულებას გამოიჩენენ.

მასწავლებელმა უნდა შექმნას უსაფრთხო და წამახალისებელი გარემო, სადაც ყველა მოსწავლე თავს მნიშვნელოვნად იგრძნობს.

მოსწავლეები უნდა დაუახლოვდნენ და დაეხმარონ ახალ მეგობარს, როცა მას ეს სჭირდება.

მასწავლებელმა უნდა ასწავლოს მოსწავლეებს, როგორ დაეხმარონ ახალ მოსწავლეს, არ იგრძნოს თავი გარიყულად.

არანაკლებ შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს სხვადასხვა აქტივობასა თუ კლუბების მუშაობაში ჩართვა. მეგობრების გაჩენა ბავშვს თავდაჯერებას შესძენს და თვითშეფასებასაც აუმაღლებს.

მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი ინტერესების აღმოჩენაში.

ახალი მოსწავლის ადაპტაცია სკოლასა და კლასში შეიძლება გამოწვევას წარმოადგენდეს, მაგრამ სწორი მიდგომით, გულშემატკივრობითა და მხარდაჭერით, ყველაფერს შევძლებთ, დავეხმარებით ახალგადმოსულ მოსწავლეს გარემოსთან შეგუებაში. მნიშვნელოვანია, რომ ადაპტაციის პროცესში აქტიურად იყოს ჩართული როგორც მასწავლებელი, ისე თითოეული მოსწავლე, რადგან მნიშვნელოვანია თითოეული მტკიცე ნაბიჯი ახალი მოსწავლის ინკლუზიისა და კომფორტისთვის.

როგორც ზემოთ ვახსენე, ცვლილებები არასდროს არის მარტივი – მით უმეტეს, როცა ბავშვი გარდატეხის ასაკშია და ამ დროს ერთდროულად ეჯახება ახალ სკოლას, ახალ კლასელებსა და საკუთარ შინაგან ცვლილებებს. გარდატეხის ასაკში ახალგადმოსული მოსწავლისთვის ეს პროცესი შეიძლება ერთდროულად იყოს მტკივნეული, დამაბნეველი და გამოწვევებით სავსე. სწორედ ამიტომ, ამ გზაზე მხარდაჭერა ყველაზე ფასეული რამაა, რის გაწევაც მასწავლებელსა და კლასელებს შეუძლიათ...

გავიხსენოთ ონჯალი რაუფის ბესტსელერი „ბიჭი ჩემი კლასის ბოლო მერხზე“ – როგორ მოახერხეს პატარა ლტოლვილი მეგობრის ტკივილის გაზიარება და ამით მისი დახმარებაც. უცნაური ბიჭი, რომელიც არავის ელაპარაკებოდა, არც იღიმოდა, დაიმეგობრეს და ანუგეშეს. მათმა ძლიერმა სურვილმა, ბიჭს ოჯახის პოვნაში დახმარებოდნენ, დიდი გეგმის განხორციელებაც შეაძლებინა... მეგობრები ხომ სწორედ იმისთვის არსებობენ, რომ ერთმანეთის დასახმარებლად ყველაფერი იღონონ. ერთი მხრივ, ეს აჰმედისთვისაა შედეგის მომტანი, მაგრამ, მეორე მხრივ, თვითონ ბავშვებისთვის, რომლებიც სიკეთის გაკეთებით თავადაც დიდ ბედნიერებას განიცდიან.

ბავშვები, რომლებიც გრძნობენ თანადგომას, უფრო თავდაჯერებულად უყურებენ საკუთარ თავსა და გარემოს. ისინი სწავლობენ, რომ ცვლილება – მიუხედავად სირთულეებისა – განვითარების, ზრდისა და ახალი შესაძლებლობებისკენ გადადგმული ნაბიჯია.
და თუ ჩვენ, უფროსები და თანატოლები, ცოტათი მეტად გავუგებთ, ცოტა მეტ სითბოს, მოთმინებასა და გულწრფელ თანაგრძნობას გამოვიჩენთ, შევძლებთ, რომ ამ ცვლილებების მორევში ერთ ბავშვსაც მაინც დავეხმაროთ თავისი ადგილის პოვნაში – და ეს უკვე დიდ შედეგს ნიშნავს.

შეიძლება ჩვენთვის ეს უბრალო ჟესტი იყოს – მეგობრული მისალმება, საუბრის წამოწყება ან მერხის გაზიარება – მაგრამ მათთვის ეს, შესაძლოა, მთელი სასკოლო ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი აღმოჩნდეს.

და მაინც, რა შეუძლია მასწავლებელს?

მასწავლებელს, თავის მოსწავლეებთან ერთად, შეუძლია შექმნას გარემო, სადაც ეს გარდატეხის პროცესი უფრო შესამჩნევად და მარტივად გადაილახება.

თამამად შეგვიძლია, ამ კითხვას ასე ვუპასუხოთ: მასწავლებელს, მოსწავლეებთან ერთად, ყველაფერი შეუძლია.

ლევან ალფაიძე

ახალი გამოღვიძება. ციფრული სამყარო და ჩვენ

„ამ ამბის თქმა გარჩევითა გულმან ამად არ მინება,
ბევრი ავი გამოჩნდების ჩვენი, მაზე მერცხვინება.
მტერს შაესმის, იამების, მოყვარეს კი ეწყინება.
რასაც ახლა ვამბობ, ვგონებ, ამაზედაც მხვდეს გინება“.

დავით გურამიშვილი, „დავითიანი“
166. საწყაულის მოწყვა ღვთისაგან

„სულიერი და გონებრივი აღორძინების ასეთი პერიოდები (XX ს. დასასრული და XXI ს. დასაწყისი) ხშირად დიდი მასშტაბის საზოგადოებრივი და სულიერი გამოღვიძებით იწყება ხოლმე და, როგორც ჩანს, დღეს ჩვენ შესაძლოა ერთი ასეთი „გამოღვიძების“ (ინგლ. Awakening – გამოფხიზლება, გამოღვიძება) მოწმენი გავხდეთ“[1]. სემ პრესლერისა და პიტ დეივისის წერილს თუ მოვიშველიებთ, ჩვენ, ოცდამეერთე საუკუნის პირველ მეოთხედში მცხოვრები თაობები, როგორც ჩანს, ნელ-ნელა შევდივართ რაღაც ახალში – დროსა თუ სამყაროში, რომელიც ჯერ არ გვინახავს და არც დაგვსიზმრებია, მაგრამ რომელიც უკვე მეორე ათწლეულია, საყოველთაო „გაციფრულების“ ან „დიგიტალიზაციის“ ფონზე და მისი მეშვეობით მიმდინარეობს და რომელმაც უკვე მოახდინა არასახარბიელო გავლენა ადამიანთა საზოგადოებაზე. ამ გავლენის მაგალითებია საყოველთაო და გლობალური მასშტაბის მრავალენოვანი, ჭრელა-ჭრელა სოციალური ქსელებისა და პლატფორმების გავლენა ადამიანზე, საზოგადოებრივი კავშირების ცვლილება და ზოგჯერ მოშლა, არაპიროვნული ურთიერთობების გაბატონება, ვირტუალური „კავშირები“ და არაპიროვნული ურთიერთობების ფორმატის გავრცელება, სკანდალური ტიპის, ხელოვნურად შექმნილი ცრუ-ინფორმაციისა და ფეიკ-შინაარსის უწყვეტი ნაკადი ვირტუალურ სივრცეში, ციფრული და ონლაინ თაღლითობა და სხვა.

ამ ციფრული შემოტევისა და აგრესიული ზემოქმედების ფონზე ბევრი უკვე განიცდის გაუცხოებას არსებული ტექნოლოგიების გამო და მით უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მოწოდებებს თუ საზოგადოებრივ დებატებს თემაზე *„რა არის კარგი ცხოვრება“* და *„როგორ უნდა იყოს მოწყობილი ჩვენი საზოგადოება“*.

ეს გახლავთ დასტური იმისა, რომ გაბატონებულ აზრს, იდეოლოგიებსა და წარმოდგენებს ყოველთვის, ნებისმიერ ეპოქაში სჭირდება გადახედვა და თავიდან გააზრება ახალი გარემოებებისა და მდგომარეობების ან ახალი რეალობის გათვალისწინებით.

მაგალითი აშშ-ს უახლესი ისტორიიდან: 1817-1825 წლებში ერის ტბის (ინგლ. *Lake Erie*) არხის მშენებლობამ[2] ნიუ-იორკის შტატში აფეთქების დარი ეკონომიკური ზრდა მოიტანა და ხელი შეუწყო აშშ-ში მილიონობით ახალი მიგრანტის (იაფი მუშახელის) მოზიდვას, რამაც მე-19 საუკუ-

ცხოვრების სულ უფრო მეტი ასპექტის ონლაინ რეჟიმში გადასვლამ (განსაკუთრებით – ნოუთბუქების კლასისათვის) გამოიწვია ის, რომ ადამიანებმა თვალნათლივ დაინახეს ის პირქუში აბსურდულობა, რომელიც თან ახლავს ამდენი დროის გატარებას უსახო, კონტექსტიდან ამოვარდნილ ციფრულ რეალობაში.

ნის 50-იან წლებში ნიუ-იორკის შტატი ეკონომიკურ ბუმთან მიიყვანა.

ამ ცვლილებას მალევე მოჰყვა ახალი იდეალისტურ-რელიგიური თუ უტოპისტური საზოგადოებების გაჩენა, რასაც შემდგომ „მეორე დიდი გამოღვიძება“[3] დაერქვა – ამან შვა ახალი მოძრაობები, რომლებმაც შეცვალა ქვეყანა. ეს მოძრაობები გახლდათ *აბოლიციონიზმი* (მოძრაობა მონობის გაუქმებისთვის), *ტემპერანსი* (ინგლ. Temperance – მოძრაობა ალკოჰოლური სასმელებისგან თავშეკავებისთვის), *საარჩევნო უფლებებისთვის ბრძოლა* და *მორმონიზმი*[4]. „მეორე დიდმა გამოღვიძებამ“ დიდი გავლენა მოახდინა ამერიკულ საზოგადოებასა და კულტურაზე. მან გააძლიერა მორალური პასუხისმგებლობისა და აქტივიზმის განცდა და ხელი შეუწყო აშშ-ს მოსახლეობის უდიდეს ნაწილში პროტესტანტული იდენტობის ჩამოყალიბებას.

როგორც ისტორია გვიჩვენებს, ყოველ „გამოღვიძებას“ აშშ-ში აუცილებლად მოჰყვებოდა სამოქალაქო შემოქმედების, ექსპერიმენტებისა და რეფორმების ხანგრძლივი პერიოდი *(სულ აშშ-ს ისტორიაში სამი „გამოღვიძება“ იყო. იხ. წყარო: Thomas S. Kidd – The Great Awakening: The Roots of Evangelical Christianity in Colonial America, 2007; ან https://www.britannica.com/event/Great-Awakening)*. ამერიკის კოლონიზაციის ისტორია გვიჩვენებს, რომ 1880-1920 წლებში აშშ-ში გაჩნდა ათეულობით საზოგადოებრივი მოძრაობა, წევრობაზე დამყარებული ორგანიზაცია და ასოციაცია (მაგ. ქალი-სკაუტები, როტარიკლუბები, 4-H ტიპის ორგანიზაციები[5]).

ამ ეპოქაში ჩნდება აშშ-ს პროფესიული კავშირების გაერთიანებები, რომლებიც ორგანიზებას უწევენ სამუშაო ძალას, ეწევიან ემიგრანტების მხარდამჭერ და საინტეგრაციო საქმიანობას, ყალიბდება საქალაქო პარკებისა და საბავშვო მოედნების განვითარების ორგანიზაცია, ხდება სახელოსნო და სახელოვნო მოძრაობის ხელშეწყობა.

საზოგადოდ, მე-19 და მე-20 საუკუნეებში აშშ-ში პროფესიული კავშირების (Trade Unions / Labor

Unions) გაძლიერებამ მრავალი მნიშვნელოვანი შედეგი მოიტანა – როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური და პოლიტიკური. მათ შორის გამოვყოფთ რამდენიმე მოვლენას, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო კაცობრიობის ისტორიისათვის: ა) შრომის პირობების გაუმჯობესება (სტანდარტული რვასაათიანი სამუშაო დღე); ბ) შრომის ანაზღაურების ზრდა (გაჩნდა მინიმალური ხელფასის ცნება); გ) დასვენების დროისა და შვებულების სისტემის შემოღება (ანაზღაურებადი შვებულება, შაბათ-კვირის დასვენება და დღესასწაულების ანაზღაურება).

ყველა ეს პროფკავშირული, უფლებათა დაცვის, საზოგადოებრივი ინიციატივებისა თუ იდეოლოგიური მოძრაობა, როგორც ჩანს, ერთი ქსოვილის სხვადასხვა ძაფი იყო – მათ საფუძველს წარმოადგენდა ტექნოლოგიური და ეკონომიკური ცვლილებები, მშრომელთა კოლექტიური „გამოღვიძება", უფლებებისთვის ბრძოლა და განახლებისკენ სწრაფვა.

შესაძლოა, დღეს, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, ჩვენ ახალი „გამოღვიძების" მოძრაობის ზღვართან ვიდგეთ და ამ მომენტის გააზრება და გაგება ისტორიულ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე საჭიროა, ვისწავლოთ წარსულის გამოცდილებიდან, გავითვალისწინოთ წარსულის შეცდომები, გავიზიაროთ მიღწევები და გავაგრძელოთ სვლა წინ.

„გამოღვიძების" ახალი ტალღის აზვირთების კატალიზატორად შესაძლოა იქცა ის უცნაური მოვლენა, რომლის შედეგადაც ადამიანის ყურადღება და მისი ურთიერთობა-კავშირები რეალურიდან (ე.წ. ანალოგურიდან) ციფრულ სამყაროში გადავიდა.

ეკრანების მიმართ ჩვენი რთული დამოკიდებულება მეოცე საუკუნის შუა წლებიდან, ტელევიზიის გაჩენასთან ერთად იღებს სათავეს. ეს დამოკიდებულება გამძაფრდა და გაძლიერდა პერსონალური კომპიუტერების, ინტერნეტის, სმარტფონების, სოციალური ქსელების, სტრიმინგ-სერვისებისა და ვიდეოკავშირების აქტიურად დანერგვის შემდეგ. ამ დარგების განვითარებამ მოახერხა ჩვენი ყურადღების მიზიდვა სხვადასხვა სახის სერვისისა და გართობისკენ, რამაც შვა როგორც მანქანასთან ურთიერთობის, ისე ამ ურთიერთობების აწყობის მეთოდები. შედეგად ჩვენ ნაკლები მეგობარი გვყავს, უფრო მეტ დროს ვატარებთ მარტოობაში 1990-2000-იან წლებთან შედარებით და გაცილებით მეტს, ვიდრე მე-20 საუკუნის შუა წლებში, ხოლო შეხვედრისას ჩვენი ურთიერთობებიც საკმაოდ არის შეცვლილი.

ავტორთა მოსაზრებით, ციფრულ სუპში ჩვენი ასეთი „ხარშვა" შესაძლოა კიდევ დიდხანს გაგრძელებულიყო, მაგრამ მოულოდნელმა გლობალურმა მოვლენამ, COVID-19-მა, მძლავრი ბიძგი მოგვცა როგორც საზოგადოებას – სწორედ ამ დროს ჩამოყალიბდა ახალი ტექნოლოგიური ეკოსისტემები, რომლებიც საშუალებას გვაძლევდა, შინიდან გაუსვლელად გვემუშავა, გვესწავლა, შეგვეძინა პროდუქცია, გვეთამაშა და სხვა. ცხოვრების სულ უფრო მეტი ასპექტის ონლაინ რეჟიმში გადასვლამ (განსაკუთრებით – ნოუთბუქების კლასისათვის) გამოიწვია ის, რომ ადამიანებმა თვალნათლივ დაინახეს ის პირქუში აბსურდულობა, რომელიც თან ახლავს ამდენი დროის გატარებას უსახო, კონტექსტიდან ამოვარდნილ ციფრულ რეალობაში. ყველამ გააცნობიერა, რომ *კარგი ცხოვრება,* უმჯობესია, რეალურ სამყაროში მიმდინარეობდეს და არა ვიღაცის მიერ შექმნილ ვირტუალურ რეალობაში. ამის გაცნობიერებამ მრავალ ამერიკელს აუხილა თვალი და მათ დაიწყეს საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და თავისუფალი ასოციაციების აღორძინებისთვის ზრუნვა თავიანთ ქალაქებში, სოფლებსა და თემებში.

დღეს ეს ახალამოწვერილი ყლორტები უკვე ჩანს მიწის ზედაპირზე. ახალმა სამოქალაქო ორგანიზაციებმა (მაგ. Warm Cookies of the Revolution[6] და CivicLex[7]) კვლავ დაიწყეს დასახლებების მცხოვრებთა, მეზობლებისა და ადგილობრივ თვითმმართველობაში მომუშავე ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირება შესამჩნევი ხალისითა და სიხარულის შეგრძნებით.

ამერიკის სამოქალაქო საზოგადოებრივი ისტორია მდიდარია ასეთი თავისუფალი გაერთიანებებით და ციფრული ეპოქაში მათი აღმოცენება ბუნებრივიც არის – ახალი ორგანიზაციების მისია ადამიანების ერთმანეთთან რეალური, ფიზიკური (და არა ვირტუალური) კავშირების აღორძინებაა. პანდემიის შემდეგ ბევრგან გაჩნდა (ბრუკლინში,

კარგი ცხოვრება, უმჯობესია, რეალურ სამყაროში მიმდინარეობდეს და არა ვიღაცის მიერ შექმნილ ვირტუალურ რეალობაში. ამის გაცნობიერებამ მრავალ ადამიანს აუხილა თვალი და მათ დაიწყეს საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და თავისუფალი ასოციაციების აღორძინებისთვის ზრუნვა თავიანთ ქალაქებში, სოფლებსა და თემებში.

ჩიკაგოში, ტენესიში, ჩრდ. კაროლინაში) ურთიერთდახმარების ფართო ქსელები – ეს წარმონაქმნები სოლიდარული ერთობით უკვე ქმნიან ახალ, ადგილობრივ ეკონომიკურ და სოციალურ გაერთიანებებს.

რამდენიმე სახელმწიფო შემოქმედებითმა ორგანიზაციამ, მათ შორის – ბოსტონის სამოქალაქო ორგანიზაციების სამმართველომ, დაიწყო მიკროგრანტების გაცემა მოსახლეობისთვის ქუჩის საღამოებისა და სამეზობლოს შეხვედრების ხელშეწყობის მიზნით. ისეთი ტექნოლოგიური ტექნოლოგიებიც კი, როგორებიც არიან New-Public, Front Porch Forum და Common Agency, ერთიანდებიან, რათა ააწყონ ლოკალური, ფიზიკური ურთიერთობები იმ სიჩქარით, რომელიც მხოლოდ ურთიერთნდობას ხელეწიფება.

ციფრულ ეპოქაში აშშ-სა და ევროპაში შეიქმნა რამდენიმე ინოვაციური სამოქალაქო ინიციატივა, რომლებიც ცდილობენ, ადამიანები ერთმანეთთან რეალურ, არავირტუალურ ურთიერთობაში დააბრუნონ და ციფრული ხაფანგიდან თავის დაღწევაში დაეხმარონ. ასეთი სამოქალაქო ინიციატივებიდან და ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია რამდენიმე: *The Human Library* (მონაწილეები „თხოულობენ“ ადამიანს წიგნის ნაცვლად – მაგალითად, უსახლკაროს, მიგრანტს ან ვეტერანს – და ესაუბრებიან); *Digital Detox* (ბანაკები, ბუნებაში, სადაც აკრძალულია სმარტფონები, სოციალური მედია და ეკრანები); *Public Space One* - აერთიანებს დიალოგისთვის და კოლექტიური იდეების წამოსაჭრელად ეკრანებისა და ინფორმაციის ციფრული მატარებლების გარეშე; *Talk To Me London / Berlin* – საზოგადოებრივი კამპანია, რომელიც ქუჩაში ხალხს მოუწოდებს უცნობებთან საუბრისკენ (მაგ. „Talk to me, I'm friendly“ მოწოდებით); *Slow Communication Movement* (დანია, ნიდერლანდები), სადაც წახალისებულია „ნელი კომუნიკაციის“ მეთოდები – ხელით დაწერილი წერილები ან პირისპირ შეხვედრები ურთიერთობისა თუ საქმიანობისთვის და სხვა.

დასასრულ, შეგვიძლია, ჩვენს ძვირფას მკითხველებს, მასწავლებლებს, მოსწავლეებს, სასკოლო ადმინისტრაციას, მშობლებსა და, საზოგადოდ,

სკოლასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ადამიანს ვუთხრათ, რომ დღეს ახალფეხადგმული ანტიციფრული მოძრაობები და ინივიატივები წარმოადგენს რეაქციას „ციფრული საყოველთაოობის“ ან, უფრო მკვახედ, „ციფრული ტოტალიტარიზმის“ წინააღმდეგ. ეს მოძრაობები და ინიციატივები ემსახურება რამდენიმე კეთილშობილურ მიზანს, რომელიც უკვე აუცილებელია და რომლსი მიღწევაც შესაძლოა მალე ყველასთვის საშური საქმე გახდეს: 1) ნამდვილი ადამიანური კავშირების აღდგენას – ეკრანზე დამოკიდებული კომუნიკაციის ნაცვლად პირისპირ ურთიერთობების წახალისებას; 2) ციფრული დამოკიდებულების დაძლევას – ადამიანების დახმარებას იმაში, რომ გააცნობიერონ ტექნოლოგიების მოხმარების ზეგავლენა და შეამცირონ მათზე დამოკიდებულება; 3) საზოგადოებრივი და სამოქალაქო ჩართულობის ხელახალ გაძლიერებას – საერთო სივრცეების შექმნას, სადაც ადამიანები ერთმანეთს ხედავენ, ფიზიკურად გევრდიგვერდ არიან და იღებენ გამოცდილებას, რომლებიც ავითარებს ნდობას, დიალოგსა და მონაწილეობას რეალურ სამყაროში; 4) გონებრივი ჯანმრთელობის მხარდაჭერას – ონლაინ რეჟიმში დიდხანს ყოფნასთან დაკავშირებულ შფოთვის, მარტოობის განცდისა და ემოციურ გადაღლის შედეგების გააზრებას, ანალიზს და ამ მდგმარეობის შემსუბუქებას ადამიანური ურთიერთობების მეშვეობით; 5) დროისა და ყურადღების დაბრუნებას – ადამიანებს ეძლევათ საშუალება, შეანელონ საქმიანობის ტემპი, სიღრმისეულად და არა ზერელედ ფოკუსირდნენ საკითხზე და ფიზიკურად მთელი არსებით ჩაერთონ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

შენიშვნები

1 პუბლიკაცია ეფუძნება ამერიკელი ბლოგერებისა და ჟურნალისტების სემ პრესლერისა და პიტ დეივისის სტატიას, რომელიც 2025 წელს ელექტრონულ ჟურნალ After Babel-ში (https://www.afterbabel.com/) გამოქვეყნდა.

2 ერის ტბის არხი (Erie Canal) – 540 კმ სიგრძის არხი ნიუ-იორკის შტატში, რომლის მშენებლობამ აშშ-ს დიდი ტბების შტატები სანაოსნო გზით პირდაპირ დააკავშირა ატლანტის ოკეანესთან (მდ. ჰადსონის გავლით) და მნიშვნელოვნად გააადვილა აშშ-ს შიდა შტატების კავშირი მსოფლიოს სავაჭრო საზღვაო გზებთან. ამ მშენებლობამ გამოიწვია საკვების გაიაფება, ნიუ-იორკის მოსახლეობის რაოდენობის გაორმაგება, ათასობით ახალი სამუშაო ადგილის შექმნა და სხვა.

3 მეორე დიდი გამოღვიძება (Second Great Awakening) გახლდათ მნიშვნელოვანი რელიგიური მოძრაობა აშშ-ში, რომელიც განვითარდა 1790-იანი წლებიდან დაახლოებით 1840-იან წლებამდე. ეს იყო ფართომასშტაბიანი რელიგიური გამოღვიძება, რომელიც ხაზს უსვამდა პირად ხსნას, რელიგიურ მორალურ განცდებს და ინდივიდუალურ რწმენას ფორმალური დოგმატიკის ნაცვლად.

4 მეორე დიდი გამოღვიძების ერთ-ერთი მთავარი ნიშანი იყო რესტავრაციონიზმი – რწმენა იმისა, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანობა (იგულისხმება პროტესტანტული სექტები) დასუსტებული და კორუმპირებულია და საჭიროებს აღდგენას. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა მრავალი ახალი სექტა და თითოეული მათგანი აცხადებდა, რომ მხოლოდ მას შეეძლო “საწყისი” ქრისტიანული ეკლესიის აღდგენა. მორმონიზმი იყო ამ სწრაფვის ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური გამოხატულება – იგი აცხადებდა სრულ აღდგენას ახალი წმინდა წერილის (მორმონის წიგნი) და წინასწარმეტყველური ლიდერობის მეშვეობით.

5 4-H კლუბები აერთიანებs სამოხალისეო ასოციაციებს/ორგანიზაციებს შემდეგი მიმართულებებით: სოფლის მეურნეობა და ფერმერობა, ტექნოლოგიები, ინჟინერია და მათემატიკა (STEM), ჯანმრთელობადა კვება, საზოგადოებრივი აქტივობები და მოხალისეობა, ხელოვნება, ხელსაქმე და საჯარო გამოსვლების ხელოვნება.

6 Warm Cookies of the Revolution გახლავთ ქ. დენვერში (კოლორადო, აშშ) დაფუძნებული არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც 2012 წელს შეიქმნა. მისი მიზანი იყო მოქალაქეების უფრო აქტიურად ჩაერთვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი წევრები საკუთარ თავს უწოდებენ „სამოქალაქო ჯანმრთელობის კლუბს“ (Civic Health Club) და მიზნად ისახავენ მოქალაქეობრივი ჩართულობის ხელშეწყობას ხელოვნებისა და კულტურის მეშვეობით.

7 ლექსინგტონში (კენტუკის შტატი, აშშ) დაფუძნებული არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს მოქალაქეობრივი ჩართულობის გაძლიერებას და ადგილობრივი მმართველობის პროცესების გამჭვირვალობას. CivicLex ასევე სთავაზობს კონსულტაციას და საზოგადოებრივი ჩართულობის ამაღლებას. მისი საქმიანობა მოიცავს საზოგადოებრივი გამოკითხვების ჩატარებასა და ანალიზს, საგანმანათლებლო კამპანიების ორგანიზებას, საზოგადოებრივ შეხვედრებსა და სემინარებს, მმართველობასთან ეფექტური თანამშრომლობის სტრატეგიების შემუშავებას.

მარიამ გოდუაძე

ენისა და მეტყველების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობანი

კომუნიკაცია არის ორ ან მეტ ადამიანს შორის ინფორმაციის, იდეების, ფიქრების, ემოციების გაცვლა. ადრეული კომუნიკაციის უნარი ბავშვის მომავალი ენობრივი და ინტელექტუალური განვითარების წინაპირობაა.

განათლებაში ჩართულ არაერთ ადამიანს ჰგონია, რომ ენისა და მეტყველების სპეციალისტი ლოგოპედია, რომელსაც საჯარო თუ კერძო საგანმანათლებლო სივრცეში კორექციული პედაგოგიკის ფუნქცია-მოვალეობანიც ეკისრება. თუმცა, საზოგადოდ, მიჩნეულია, რომ ენა და კომუნიკაცია არ შედის ლოგოპედის კომპეტენციაში. ლოგოპედია არის დარგი, რომელიც მხოლოდ მეტყველების სირთულეების გამოვლენისა და კორექციისთვის იყენებს სპეციალურ მეთოდებს.

მიჩნეულია, რომ ენისა და მეტყველების თერაპევტის მოვალეობაში შედის ისეთი სფეროების განვითარების ხელშეწყობა, როგორიცაა: კომუნიკაცია, ენა და მეტყველება.

კომუნიკაცია არის ორ ან მეტ ადამიანს შორის ინფორმაციის, იდეების, ფიქრების, ემოციების გაცვლა. ადრეული კომუნიკაციის უნარი ბავშვის მომავალი ენობრივი და ინტელექტუალური განვითარების წინაპირობაა. სპეციალისტები მიუთითებენ[1], რომ წარმატებული კომუნიკაციის პროცესის მისაღწევად აუცილებელია, ბავშვი ჩაერთოს სხვა ადამიანთან ურთიერთობაში. მან უნდა მისცეს გარკვეული ფუნქცია კომუნიკაციის პროცესს, მიესალმოს, მოითხოვოს სასურველი, შეესიტყვოს, გამოხატოს ემოცია, უარი თქვას არასასურველზე ან, უბრალოდ, დაასახელოს ობიექტი. ამის მიღწევა ბავშვს სხვადასხვა ხერხითა და ფორმით შეუძლია, მაგალითად, თვალით დიდხანს უყუროს ნივთს, რითაც გამოხატოს ამ ობიექტით დაინტერესებისა და მისი მიღების სურვილი; მიგვანიშნოს თითით ან ჟესტით, დაწეროს, დახატოს და ა.შ. აუცილებელია, ყურადღებით დავაკვირდეთ ბავშვის ქცევას და ამოვიცნოთ, რა სახის კომუნიკაციის მიმანიშნებლებს იყენებს. თითოეულ მათგანს მივანიჭოთ გარკვეული მიზანი და ჩვენც შესაბამისი ქცევით ვუპასუხოთ.

მეორე ასევე მნიშვნელოვანი სფერო, რომელიც ენისა და მეტყველების თერაპევტის სამუშაოს ნაწილია, არის **ენა**. ენა არის შეთანხმებული სიმბოლოების სისტემა, რომელიც კომუნიკაციისა და აზრის გადმოსაცემად გამოიყენება. სანამ ბავშვი სიტყვების, სიტყვათშეთანხმებებისა და წინადადებების ფუნქციურად გამოყენებას შეძლებს, მანამდე ენისა და მეტყველების თერაპევტმა, ასევე მშობლებმა და ოჯახის წევრებმა, ბავშვს ბუნებრივ სიტუაციაში უნდა ასწავლონ მათი მნიშვნელობები. მაგალითად, ჩანგლის ფუნქცია და დანიშნულება გააცნოს საკვების მიღების დროს. გარდა ამის, მნიშვნელოვანია, ბავშვს ვასწავლოთ უკვე ათვისებული სიტყვების გარემოსა და სიტუაციის შესაბამისად გამოყენება.

ენისა და მეტყველების თერაპევტის კომპეტენციის კიდევ ერთი სფერო **მეტყველებაა**. მეტყველების დარღვევის დროს საქმე გვაქვს მშობლიური ენისთვის დამახასიათებელი ბგერების წარმოთქმის თავისებურებებთან. მეტყველება თითოეული ბგერისა და ბგერათკომპლექსების სწორად გამოთქმას გულისხმობს. თუმცა სანამ მეტყველებაზე მუშაობამდე მნიშვნელოვანია, ბავშვის სმენის აუდიოლოგიური შეფასება, რათა გამოირიცხოს ნებისმიერი სახის სმენის დაქვეითება. აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ მეტყველებაზე მუშაობა მიმდინარეობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ნახსენები სფეროები, კომუნიკაცია და ენა, მეტ-ნაკლებად კარგად არის განვითარებული. მეტყველების დარღვევის ერთ-ერთი ტიპია ენაბორძიკიც.



ენისა და მეტყველების თერაპევტის სამუშაო მოიცავს კვებასთან დაკავშირებულ ისეთ პრობლემებზე მუშაობასაც, როგორიც არის ღეჭვა, ყლაპვა და დამოუკიდებლად ჭამა, რაც ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია კომუნიკაციის, ენისა და მეტყველებისთვის.

მაშასადამე, ენისა და მეტყველების თერაპევტი მუშაობს 0-დან 18 წლამდე ბავშვებთან და მოზარდებთან, რომელთაც აქვთ სირთულეები შემდეგ სფეროებში:

- კომუნიკაციის – როდესაც ბავშვს ან მოზარდს უჭირს საკუთარი აზრების და ფიქრების გამოხატვა, თანატოლებთან ურთიერთობა და თამაში, პირადი სივრცის და ემოციების გაზიარება;
- რეცეფტული ენის – რაც გულისხმობს მოსმენასა და მოსმენილის გაგებას;
- ექსპრესული ენის – რაც მოიცავს ცალკეული სიტყვებისა და წინადადებების წარმოებას, რამდენად შეუძლია უკვე აღქმულის გადმოცემა;

ენა არის შეთანხმებული სიმბოლოების სისტემა, რომელიც კომუნიკაციისა და აზრის გადმოსაცემად გამოიყენება. სანამ ბავშვი სიტყვების, სიტყვათშეთანხმებებისა და წინადადებების ფუნქციურად გამოყენებას შეძლებს, მანამდე ენისა და მეტყველების თერაპევტმა, ასევე მშობლებმა და ოჯახის წევრებმა, ბავშვს ბუნებრივ სიტუაციაში უნდა ასწავლონ მათი მნიშვნელობები.

- მეტყველების – როცა არის ბგერების წარმოთქმის სირთულე, მეტყველება რთულად გასაგებია, არის საარტიკულაციო აპარატის მოტორული სირთულეები, ჰიპერსალივაცია, ანუ ჭარბი ნერწყვდენა[2].
- კვების – კვებასთან (ღეჭვა-ყლაპვასთან) დაკავშირებული სხვადასხვა სირთულეები.

მეტყველების სპეციალისტი აფასებს, გეგმავს და წარმართავს სასწავლო პროცესს. თუკი ამა თუ იმ მოსწავლის ენისა და მეტყველების შესახებ სკოლაში უკვე დასკვნა **მომზადებულია და დიაგნოსტირებულია ბავშვის უნარები, რომლებიც მოიცავს** ბავშვის მეტყველების, ენის, ხმის, სმენის, ყლაპვისა და კომუნიკაციის უნარების შეფასებას, სპეციალური ტესტებისა და დაკვირვების გამოყენებას, ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე მდგომარეობის განსაზღვრას, ამის შემდეგ აუცილებელია ჩარევის დაგეგმვა, რაც შემდეგ პროცესებს მოიცავს:

- ინდივიდუალური და ჯგუფური თერაპიის გეგმის შედგენა,
  - მიზნების განსაზღვრა ასაკისა და საჭიროებების მიხედვით,
  - გრძელვადიანი და მოკლევადიანი სტრატეგიების შემუშავება.

საგაკვეთილო სესია უნდა წარმართოს იმგვარად, რომ განვითარდეს ბგერა, სუნთქვა, არტიკულაცია, ლექსიკა, გრამატიკა, კომუნიკაცია და პრაგმატული უნარები. ამავდროულად, მხარდაჭერილი უნდა იყოს დისლექსიის, დისგრაფიისა და სხვა სწავლის სირთულეები. თუ საჭიროება მოითხოვს, უნდა გამოვიყენოთ ალტერნატიული და დამატებითი კომუნიკაციის საშუალებები (მაგ.: სურათები, ჟესტები, ტექნოლოგია).

პროფილაქტიკისა და პრევენციისთვის აუცილებელია:

- მეტყველების დარღვევების დროული აღმოჩენა;
- მშობლებისა და პედაგოგებისთვის რეკომენდაციების გაცემა;
- სკოლაში, ბაღსა ან სტაციონარში პრევენციული აქტივობების დაგეგმვა.

კონსულტაცია და თანამშრომლობა

- მშობლებთან, მასწავლებლებთან, ფსიქოლოგებსა და ექიმებთან ერთობლივად მუშაობა;
- რეკომენდაციები სასწავლო გარემოს ადაპტაციისთვის;
- ოჯახის წევრთა ინფორმირება სახლში აქტივობების გაგრძელების გზებზე.

დოკუმენტაციის წარმოება

- შეფასების შედეგებისა და პროგრესის რეგულარული ჩანაწერები;
- ინდივიდუალური განვითარების გეგმის განახლება;
- ანგარიშგება.

ენისა და მეტყველების სპეციალისტი მუდმივად უნდა აახლებდეს საკუთარ ცოდნას, ეცნობოდეს თანამედროვე მეთოდებსა და კვლევებს, მონაწილეობდეს ადგილობრივ თუ საერთაშორისო სემინარებსა და ტრენინგებში.

შენიშვნები:

1 https://mhc.ge/post/223
https://tinyurl.com/yzy76byf
2 https://mhc.ge/post/131

არა უშავს



ნათია ფურცელაძე

ძალიან მიყვარს სიტყვებზე დაკვირვება.

ალბათ გიკითხავთ მოსწავლეებისთვის, რომელი სიტყვის ან წინადადების მოსმენას მოაქვს მათთვის სიმშვიდე, სიხარული, ბედნიერება... მეც ვეკითხები ხოლმე ამას ბავშვებს, ვთხოვ, დაფიქრდნენ და ჩამოწერონ. რა აღარ ამომიკითხავს მათი პასუხებიდან. თითოეული ჩანაწერი ძალიან საინტერესოა. გასათვალისწინებელიც.

გაინტერესებთ, რას წერენ ხშირად? რისი მოსმენა ამშვიდებთ ბავშვებს? დიახ, სწორად მიხვდით და უკვე ამოიკითხეთ კიდეც, როცა სათაურს დახედეთ: ეს არის „**არა უშავს**“.

არა მხოლოდ პატარებს, უფროსებსაც გვჭირდება, ხშირად შეგვახსენონ, რომ არა უშავს! მასწავლებლებმა თეორიულად თითქოს ვიცით, რაოდენ მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის იმის სწავლება, რომ შეცდომა ტრაგედია არ არის, რომ შეცდომებზე ვსწავლობთ, რომ შეგვიძლია, შეცდომები განვითარების შესაძლებლებლობად ვაქციოთ და სხვა, მაგრამ პრაქტიკულად ხანდახან გვიჭირს, ბავშვები ამაში დავარწმუნოთ.

ცოტა ხნის წინ ერთი წიგნი წავიკითხე – როდრიგო მუნიოს ავიას „იდეალური ოჯახი“. კითხვის დროს ვფიქრობდი, მწერალმა მე და ჩემს მოსწავლეებს ხომ არ მოგვისმინა და ისე დაწერა-მეთქი, ცხადია, ასე არ ყოფილა, უბრალოდ, მთავარი პერსონაჟი, სკოლის მოსწავლე ალექსი, ისეთ თემებზე საუბრობს, რომლებიც ერთნაირად აფიქრებთ მთელი მსოფლიოს ბავშვებს.

როდრიგო მუნიოს ავია გვაცნობს ოჯახს, რომლის უმცროსი წევრი მიიჩნევს, რომ ოჯახში ყველა იდეალურია მის გარდა, მაგრამ ამის გამო არ ითრგუნება და ცდილობს, ამოხსნას ცხოვრებისეული ამოცანები. მკითხველი ალექსის თვალით აკვირდება მოსწავლის ყოველდღიურობას და მასთან ერთად ეძებს პასუხებს კითხვებზე.

ჩემთვის, მასწავლებლისთვის, დამაფიქრებელი აღმოჩნდა ერთი ეპიზოდი.

„მასწავლებელმა იკითხა, X კვადრატის კვადრატული ფესვი რამდენიაო. ვიფიქრე, რომ ძალიან მარტივი კითხვაა და პასუხი აუცილებლად X უნდა ყოფილიყო. ოღონდ თქმა ვერ გავბედე. მასწავლებელმა ღრმად ამოისუნთქა და თქვა, რომ მისი კითხვის პასუხი ნამდვილად X-ია. მეც ამოვისუნთქე, ცოტა უფრო მსუბუქად. არ ვიცი, ამით რისი თქმა მინდოდა, მაგრამ ასე მოვიქეცი“.

რატომ მიიქცია ამ ეპიზოდმა ჩემი განსაკუთრებული ყურადღება, ალბათ, მიხვდით: არ მეგულება მასწავლებელი, მსგავსი ამბავი თავს რომ არ გადახდენოდეს. მაშინვე ვკითხე საკუთარ თავს ის, რაც აქამდეც არაერთხელ მიკითხავს:

– რატომ ჩუმდებიან ბავშვები?

– რატომ ვერ ბედავენ ხმის ამოღებას?

პასუხი სხვადასხვა იქნება, მაგრამ ერთ-ერთი ეს არის: შეცდომის ეშინიათ.

გაინტერესებთ, რას წერენ ხშირად? რისი მოსმენა ამშვიდებთ ბავშვებს? დიახ, სწორად მიხვდით და უკვე ამოიკითხეთ კიდეც, როცა სათაურს დახედეთ: ეს არის „არა უშავს“.

მეც მახსოვს ჩემი ბავშვობა და რადგან გამოვცადე, რას ნიშნავს, გეშინოდეს შეცდომისა და ხანდახან ამის გამო დადუმდე, ახლა ვცდილობ, ხშირად ვუთხრა ჩემს მოსწავლეებს: არა უშავს!

ვინაიდან ეს პრობლემა აქტუალურია როგორც მასწავლებლებისთვის, ისე მოსწავლეებისთვისაც, კარგი იქნება, წავუკითხოთ ეს წიგნი ბავშვებს, მერე კი ერთად ვიმსჯელოთ, რა პრობლემაა წარმოჩენილი და, ერთი მხრივ, როგორ შეიძლება, მოსწავლემ გაბედოს ხმის ამოღება და ახსოვდეს, რომ თუ შეეშლება, არა უშავს, მეორე მხრივ კი – რა უნდა გააკეთოს ამისთვის მასწავლებელმა.

ვაპირებ, „იდეალური ოჯახი“ მკითხველთა კლუბის წევრებს გავაცნო. ინტერესი რომ აღვუძრა, შევთავაზებ, ორმხრივ ჩანაწერთა დღიური შეავსონ. თუ გაინტერესებთ, თქვენც სცადეთ. საინტერესოა, როგორ უპასუხებთ ესპანელ მწერალს:

ამონარიდი ტექსტიდან	ჩემი კომენტარი
ნაცვლად იმისა, რომ დავიმალოთ, ჩვენს პრობლემებზე უნდა ვისაუბროთ.	
უმაღლესი შეფასება რომ ვერ მივიღოთ? – ეს აზრი გვაშინებს. ჩვენც გვინდა, ყველაფერი იდეალურად გამოგვივიდეს.	
თურმე ხანდახან შეცდომას თვალი უნდა გაუსწორო და არ დაემალო.	
ხანდახან იდეალურობა ძალიან ახლოს არის დიდ იმედგაცრუებასთან.	

ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი ხომ გვეუბნება, გახსოვდეთ, საიდან მოდიხართ, არ დაგავიწყდეთ, ბავშვები რომ იყავითო. ჰოდა, მეც მახსოვს ჩემი ბავშვობა და რადგან გამოვცადე, რას ნიშნავს, გეშინოდეს შეცდომისა და ხანდახან ამის გამო დადუმდე, ახლა ვცდილობ, ხშირად ვუთხრა ჩემს მოსწავლეებს: **არა უშავს!**

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

წიგნს:
„მედიაწიგნიერების გაკვეთილები“

www.tpdc.ge